140
1979/2

ISSN 0132-5973

ეროვნული ბიბლიოთეკა



(70)

# პიონერი

1
1979

# ლ. ი. ბრეჟნევი: ბავშვები ჩვენი მომავალია

1979 International Year of the Child

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წელი ბავშვის წლად გამოაცხადა. იუნესკომ მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებსა და საზოგადო მოღვაწეებს სთხოვა ახალი წელი მიელოცათ ბავშვებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ინიციატივასთან დაკავშირებით.

1 იანვარს ცენტრალური ტელევიზიით გადაიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა. გთავაზობთ ამ გამოსვლის ტექსტს:

გამარჯობათ, ძვირფასო ნორჩო მეგობრებო! გილოცავთ ყველას ახალ წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს, გადაწყვიტა ეს წელი ბავშვის წლად გამოაცხადოს. ეს ძალიან კარგი, სწორი გადაწყვეტილებაა. ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ.

სამწუხაროდ, დღეს ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრგან გაისმის სროლა, იღვრება სისხლი და იღუპებიან არა მარტო მოზრდილები, არამედ ბავშვებიც. ჯერ კიდევ ბევრი ბავშვი იხოცება შიმშილითა და ავადმყოფობით. ამას ვერ შევურიგდებით. საბჭოთა კავშირში ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს. ჩვენ ავაშენეთ და კვლავაც ავაშენებთ ათასობით ნათელ, მოხერხებულ საბავშვო ბაგას, საბავშვო ბაღს, სკოლას. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ სიკეთე, მეგობრობა, ვასწავლოთ იცხოვრონ კეთილმეზობლურად ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ყველა ადამიანთან, ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

ძვირფასო ბავშვებო! გოგონებო და ბიჭუნებო! მოვა დრო და თქვენც გაიზრდებით, მაშინ მომავლისათვის ზრუნვა თქვენ დაგეკისრებათ. ჯერ-ჯერობით კი გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობიან და საამურ ცხოვრებას.

ს. ვინოგრადსკაია

# ჩეკუნოვის წერილი

მხატვარი ე. ამბოკაძე

მოთხრობა

ვალოდია ტროიცკის ხიდზე გადადიოდა, კრემლისკენ მიიჩქაროდა. ხელში საშვები ეჭირა, ხელი კი ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი, სადაც ლენინისათვის გადასაცემი წერილები ედო.

ორ კოშკს შორის გადებულ ხიდქვეშ ალექსანდრეს ბაღი ხმაურობდა. ტანწერწეტა ხეთა კენწეროები ზედ ხიდთან ირწეოდნენ. მწვანე ტოტებიდან ჟივილ-ხივილით, გუნდ-გუნდად წამოფრინდებოდნენ ხოლმე ჩიტები და კოშკების წვეტებისაკენ მიქროდნენ. ვალოდიას ეგონა, თითქოს ისიც მათ კვალდაკვალ მიფრინავდა — ის ხომ ლენინთან მიდიოდა.

ვალოდიას თხუთმეტი წელი შეუსრულდა. ამას წინათ წითელ არმიაში მიღება ითხოვა. როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, მამაკაცის ადგილი ფრონტზეა. მაგრამ უარი უთხრეს: ადრეა შენთვის, ჯერ კიდევ პატარა ხარო.

ვალოდია შიკრიკად მუშაობდა „ბედნოტის“ რედაქციაში, თან უფროსი თანამშრომლების დახმარებით რეპორტიორის მუშაობასაც ეზიარებოდა.

რედაქცია ვაგანკოვის შესახვევში წამოჭიმულ მდიდრულ სახლში იყო მოთავსებული. ვრცელ ოთახებში საწერი მაგიდები იდგა, რომლებზეც ხელნაწერები, წერილების კალათებშიც ხელნაწერები, წერილები, ქაღალდები ეყარა. კარადებშიც, ეტაჟერებზეც ქაღალდები ეწყო. ვალოდიას ქაღალდებს ატანდნენ და სხვადასხვა დაწესებულებაში გზავნიდნენ; იქიდანაც ქაღალდები მოჰქონდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე.

„იარაღის ნაცვლად ქაღალდი! — ფიქრობდა თხუთმეტი წლის ყმაწვილი, — საქმეა ეს?“

მაგრამ დღეს მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. რედაქციაში ლენინმა დარეკა და ითხოვა, სასწრაფოდ მიეტანათ მისთვის წერილი, რომლის თაობაზეც გუშინ „ბედნოტის“ რედაქტორი ესაუბრა.

ლაპარაკი იყო ვლადიმირსკელი გლეხის ჩეკუნოვის წერილზე. იგი „ბედნოტის“ რედაქციას ატყობინებდა, რომ მისი სოფლის საბჭოში კულაკებმა შეაღწიეს და გლეხებს შორის მიწა არასამართლიანად გაანაწილეს.

— ილიჩს სხვა წერილებიც აინტერესებს, რომლებშიც ასახულია სოფლად აგრარული რევოლუციის მსვლელობა, — თქვა სათვალიანმა, ხანში შესულმა რედაქტორმა, რომელსაც ლენინი კარგად იცნობდა ემიგრაციაში ყოფნის დროიდან. — მარგარიტა ვლადიმეროვნა, შეარჩიეთ ამ თვალსაზრისით საინტერესონი.

ლები, ქაღალდები დახვავებულიყო. მაგიდების ქვეშ მავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარგარიტა ვლადიმერის ასული იამშჩიკოვა, ცნობილი მწერალი ქალი, მოსკოვში სამხედრო ორგანიზაციის მუშაკებთან ერთად ჩამოვიდა პეტროგრადიდან. „ბედნოტის“ რედაქციაში გლეხი კორესპონდენტების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მან მაგიდის უჯრიდან ჩეკუნოვის წერილი ამოიღო, შემდეგ საქაღალდეები ამოქექა და რედაქტორს გაუწოდა ოკრობოკროდ, წვერმოტეხილი ფანქრით, წყალწყალა მელნით, შესახვევ ქაღალდზე, რვეულის ფურცლებზე, საკანცელარიო ანგარიშების მეორე გვერდზე დაწერილი რამდენიმე წერილი.

ვიდრე რედაქტორი ამ წერილებს კითხულობდა, იამშჩიკოვამ შიკრიკი გამოიძახა, ხოლო შემდეგ რუსეთის ვეებერთელა რუკაზე პაწაწინა ალმების ჩარჭობას შეუდგა.

ერთი შეხედვით ეს რუკა სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბრძოლო მოქმედების ამსახველი გეგონებოდა. სინამდვილეში კი ალმებით აღნიშნული იყო ის გუბერნიები და მაზრები, საიდანაც „ბედნოტაში“ წერილები მოდიოდა. უმეტესწილად ცენტრალური რუსეთის სოფლებიდან იწერებოდნენ.

ახალგაზრდა შიკრიკს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მარგარიტა ვლადიმეროვნას ეს საქმიანობა. ვალოდია ქედს იხრიდა ამ ქალის წინაშე, რომელიც ოქტომბრის დღეებში ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციაში მუშაობდა და რომელიც წერდა რომანებს მამაკაცის ფსევდონიმით — „ალ. ალტაევი“. წაკითხული ჰქონდა მისი ერთი წიგნი და ვერაფრით ვერ გაეგო: მწერალი ქალი, რომელსაც საოცრად საინტერესო ამბების თხრობა შეუძლია, რატომ იტანჯავს თავს ამ ბატიფეხურით ნაწერი წერილების კითხვით, ჩასწორებით, გაზეთში დაბეჭდვით. ერთხანს თვითონაც დაიწყო მათი კითხვა, მაგრამ მალე მოეშვა — მოსაწყენი რაღაც იყო, მეტი არაფერი. ყველა თითქმის ერთსა და იმავეს იწერებოდა: „მიწა, ღარიბთა კომიტეტები, სათესლე ფონდი, სესხი, ინვენტარი, ცხენი...“ აი, მისთვის მიეცათ ცხენი და ფრონტზე გაეშვათ, ისეთ წერილებს დაწერდა, რომ... ასეთ სისულელეებს კი არა! ეს რუკაც სისულელეა. ალმები იქ უნდა ჩაირჭოს, სადაც თეთრებს ურტყამენ.

ასე სჯიდა ვალოდია, რომელსაც უკვე ჰქონდა თავისი განსაკუთრებული აზრი ყველაფერზე.

„აზროვნებს ყმაწვილი, მაგრამ საქმის არსს ვერ სწვდება“, — აღნიშნავდნენ უფროსი თანამშრომლები და ურჩევდნენ ვალოდიას „უფრო ღრმად შეეცნო მასების მნიშვნელობა რევოლუციურ პროცესში“. აძლევდნენ ბროშურებს, რომლებშიც გაზეთის მომავალი მუშაკისათვის ამ მნიშვნელოვან საკითხზე იყო საუბარი. მაგრამ ვალოდია ყოველთვის როდი მისდევდა სხვების რჩევას. მარტო დღეს მოულოდნელად შეერყა შეხედულებები— თურმე ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გლეხთა წერილებს...

— რა საწყენია, რომ საშუალება არა გვაქვს წერილები მანქანაზე გადავბეჭდოთ, — წუხდა იამშჩიკოვა. — სხვა რა გზაა, ვლადიმერ ილიას ძეს დედნები უნდა გავუგზავნოთ...

მარგარიტა ვლადიმერის ასულმა რედაქტორის მიერ ლენინისათვის შერჩეული წერილები ერთმანეთზე დააწყო და ვალოდიას მისცა.

— აბა, ცოცხლად. საშვები უკვე შეკვეთილია.

შიკრიკმა დაჭმუჭნული კარტუზი ხუჭუჭა თავზე მოირგო, წერილები ჯარისკაცური მაზარის ჯიბეში ჩაიდო და კრემლისკენ გაეშურა.

ტროიცკის კოშკში თუჯის ჭიშკრიდან შევიდა. ირგვლივ ნესტის სუნი იდგა. ყველაფერს სიძველის იერი დაჰკრავდა. მხოლოდ ორი შაშხანიანი კურსანტი იყო, სრულიად ახალგაზრდა. ერთი მათგანი კედლის გასწვრივ მიდი-მოდიოდა, მეორემ ვალოდიას საშვები გამოართვა შესამოწმებლად.

„ჰაი, გიდი! — წყენით გაიფიქრა ახალგაზრდა შიკრიკმა, — სულ ოდნავ თუ იქნები ჩემზე მეტი ხნისა და უკვე კურსანტი ბრძანდები, შაშხანაც გაქვს. კრემლს დარაჯობ. მამოწმებ...“

ვალოდიას ძალზე შეშურდა კურსანტის ბედი: მართალია, აქ ფრონტი არ არის, მაგრამ ხელში შაშხანით სიარული მაინც სჯობს ქაღალდების მიტან-მოტანას.

მაგრამ უცებ გულზე მოეშვა — ლენინთან ხომ მე უნდა შევიდე და არა ეს კურსანტიო. უკვე აღარ ეხარბებოდა მისი. გუშაგმა საშვები დაუბრუნა და შიკრიკი პირქუში კოშკიდან მზით გაჩახჩახებულ მოედანზე გავიდა. გეზი აღმოსავლეთით აღმართული მაღალი შენობებისაკენ აიღო. ერთხანს იარა და ცაკისა და სახკომსაბჭოს ნათელ კორპუსს მიადგა, რომლის გუმბათზე უზარმაზარი წითელი დროშა ფრიალებდა. აქაც გაუსინჯეს საშვები.

ვალოდია გრძელ დერეფანს გაუყვა. მის წინ, ხელში პორტფელით, გოგონა მიდიოდა. თეთრსაყელოიანი თალხი კაბა ეცვა, ნაწნავები კეფაზე დაეგრაგნა. ბიჭს უკვირდა, თან იბოღმებოდა, როცა ხედავდა, რა სწრაფად გაატარებდნენ ხოლმე გუშაგები გოგონას, საშვებს არც კი დახედავდნენ, ხოლო „ბედნოტის“ შიკრიკს, რომელსაც რუსი გლეხების წერილები მიჰქონდა ლენინთან, გულმოდგინედ უსინჯავდნენ საშვებს.

გოგონა უკვე გაუჩინარდა შესახვევთან, ვალოდია კი ისევ მიაბიჯებდა ვიწროთაღებიან დერეფანში. იატაკზე ტელეგრაფის მავთულები იყო გაჭიმული. კედლებთან მაგიდები იდგა, ყუთები და რაღაც აპარატები ეწყო, გეგონებოდა, აქ სამხედრო შტაბია და არა მთავრობის რეზიდენციაო. და ყოველივე ეს თხუთმეტი წლის შიკრიკს გულს უჩქროლებდა.

როგორც იქნა, ვალოდიას მიუთითეს იმ ოთახის კარი, რომელშიც უნდა შესულიყო. ყმაწვილმა მთელი თავისი სითამამე მოიკრიბა, რომ მშვიდად გაეღო კარი. ამ კარს მიღმა ხომ ლენინი მუშაობს. ახლა ვალოდია დაინახავს მას და ეტყვის: „ამხანაგო ლენინ, მოგიტანეთ ჩეკუნოვის წერილი, აგრეთვე სხვა გლეხების წერილები სოფლად აგრარული რევოლუციის მსვლელობის შესახებ“.

შიკრიკმა კარი შეაღო, მაგრამ სანამ გონს მოეგებოდა, უკვე ჩამოართვეს წერილები და ლენინს შეუტანეს. თქვენ აქ დაიცადეთო, უთხრეს.

საკმაოდ დიდი ოთახი, სადაც ვალოდია იცდიდა, ლენინის კაბინეტი კი არ იყო, არამედ მისი სამდივნო. ვალოდია რომ შევიდა, ვიღაცამ ხმამაღლა თქვა: „მარია იგნატიევნა, „ბედნოტიდან“ მოვიდნენ“. ყმაწვილი დიდად გააოცა იმ ამბავმა, რომ ვისაც მარია იგნატიევნა დაუძახეს, ის პორტფელიანი გოგონა აღმოჩნდა, დერეფანში რომ მის წინ მიდიოდა. თეთრსაყელოიანი კაბითა და კეფაზე დახვეული ნაწნავებით იცნო. მაგრამ გოგონა კი არა, ვალოდიაზე ბევრად უფროსი ქალიშვილი იყო. პენსნე ეკეთა. ბავშვობაში გადატანილმა მძიმე ავადმყოფობამ შეაჩერა მისი ზრდა.

კიდევ უფრო განაცვიფრა ვალოდია მარია გლიასერის გამჭვირვალე, ფაქიზნაკვთებიანმა სახემ, მწუხარე თვალებმა, ნაადრევად დაღარულმა მაღალმა შუბლმა, გამოუთქმელი სევდით მოკუმულმა ბაგეებმა.

„ჰო, მე კი არა, სწორედ ასეთსახიანი ქალიშვილი უნდა შედიოდეს ლენინთან აი, იმ აღთქმულ კარში“, — გაიფიქრა ვალოდიამ.

უეცრად ის კარი გაიღო. გამოჩნდა მარია გლიასერი, მას ლენინი გამოჰყვა.

— ეს თქვენა ხართ, ამხანაგო, „ბედნოტიდან?“ სადაა ჩეკუნოვის წერილი?

ახალგაზრდა შიკრიკს სწრაფად უახლოვდებოდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.

— ჩეკუნოვის წერილი? — თავზარი დაეცა ვალოდიას. — განა ახლა არ გადმოგცეს?

— ჩეკუნოვის წერილს მე ვერა ვხედავ აქ, — ლენინმა ხელი გაშალა და წერილების მთელი დასტა უჩვენა.

ვალოდიამ მაზარის ჯიბეში ჩაიყო ხელი, იქ ქაღალდი იპოვა და ამოიღო. კრემლის საშვები აღმოჩნდა. კვლავ ჩაიყო ხელი იმავე ჯიბეში, მერე მეორეში. წერილი არა და არ ჩანდა. მაზარა გაიხსნა, იქნებ შარვლის ჯიბეშია?

— მანდ რატომ ეძებთ? — ჯიბეებზე მიუთითა ლენინმა, — რით დაგაქვთ წერილები?

— ჯიბით...

— უბრალოდ ჯიბით?! — გაოცდა ლენინი. — რატომ ჩანთით არა?

— ჩანთით ქალები დადიან...

— ქალები? — გაიმეორა ლენინმა. — მაგრამ ჯარისკაცები? აი, ჩვენთან, სახკომსაბჭოში, შიკრიკებს მთავრობის პაკეტები მხოლოდ ჩანთით დააქვთ.

ვალოდია დუმდა. დაძაბული ელოდა, რა მოხდებოდა.

— რა გქვიათ? — დაინტერესდა ლენინი მოულოდნელად.

— ვალოდია...

— ჰმ... — ლენინმა ალმაცერად შეავლო თვალი სეხნიას, თითქოს მისი შესაფერი მიმართვის ფორმას აზომებსო. — მითხარით, ახალგაზრდა ამხანაგო, რამდენი წერილი გამომიგზავნა რედაქციამ?

— არ დამითვლია... რაც მომცეს, წამოვიღე.

— იქ, თქვენსას, წერილები რომ ჩაიბარეთ, ხელი მოაწერეთ?

— მე არასოდეს მომიწერია ხელი, — უპასუხა ვალოდიამ და აუხსნა: — მენდობიან...

— გენდობიან? — ჩაეკითხა ლენინი. — მაშ ასე... გენდობიან, გენდობიან. ისინი თქვენ გენდობიან, თქვენც ხელი არ მოგიწერიათ, თქვენ მათ ენდობით და არ დაგითვლიათ, რამდენი წერილი წამოიღეთ. თქვენ მეც მენდობით?

— რასაკვირველია! — მხურვალედ მიუგო შიკრიკმა.

— მაგრამ, წერილებს თუ დავიტოვებ, ხელწერილს მომთხოვთ?

— თქვენ, ამხანაგო ლენინ? ხელწერილს? — ვალოდიას მორიდებულად გაეღიმა: ცხადია, ლენინი ამას ხუმრობით ამბობს. ვლადიმერ ილიას ძის მომლოდინე მზერა რომ დაიჭირა, შიკრიკი თამამად ალაპარაკდა: — თქვენ, ამხანაგო ლენინ, ხელწერილს არ გართმევენ, თქვენ ყველანი გენდობიან.

— მენდობიან... — ნაღვლიანად გაიმეორა ლენინმა,— ყველანი... მაგრამ აი, გლეხი ჩეკუნოვი თუღა გვენდობა, თუ კი ასე ცუდად მოვექცევით მას?..

— მე ცუდად არ მოვქცევივარ! — სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა ვალოდიამ. — ახლავე გავიქცევი. წერილი იქ არის, ცალკე იდო. ახლავე მოვიტან.

— ახლა არა, — შეაჩერა ლენინმა. — დღეს უკვე გვიანია. ხვალ მოიტანეთ. ამჯერად კი თქვენს საქმეში ცოტაოდენ წესრიგს შევიტანთ.

ლენინი გვერდით მდგომი თანამშრომელი ქალიშვილისაკენ მიტრიალდა და სთხოვა:

—მარია იგნატიევნა, რვეული მომეცით, გეთაყვა. დიახ, დიახ, შეიძლება ჩვეულებრივიც, სასკოლო.

პენსნეიანმა ქალიშვილმა თხელი, ლურჯყდიანი რვეული მოუტანა.

ლენინმა გაშალა.

— გვერდი ჯერ გრაფებად უნდა დაიხაზოს, — აუხსნა მან შიკრიკს. — თვითონ შეგიძლიათ დახაზვა? კეთილი. დაიხაზება სამ გრაფად. პირველ გრაფაში უნდა ჩაიწეროს, ვისგან არის მიღებული წერილი, მეორეში — ვის გაეგზავნა, მესამეში კი ხელს აწერს მიმღები. ესე იგი მე. ოღონდ ჩემს მაგივრად ამხანაგი გლიასერი მოაწერს ხელს.

აქ ლენინმა ოდნავ გაიღიმა:

— მე ვენდობი მას.

ვალოდია გაოგნებული უსმენდა.

— ყველაფერი გაიგეთ? — ჰკითხა ლენინმა და განაგრძო: — თითოეული წერილი ამ რვეულში უნდა გაატაროთ და რვეულთან ერთად მოიტანოთ. რედაქციაში კი მეორე რვეული უნდა გქონდეთ, სადაც თქვენ მოაწერთ ხელს.

— ამხანაგო ლენინ, თქვენ ხომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგი ხართ... მაშ რა საჭიროა ასეთი ბიუროკრატიზმი! — აღმოხდა ახალგაზრდა შიკრიკს.

— ბიუროკრატიზმი? ახალგაზრდა ამხანაგო, თუ გესმით იმ შრომის მნიშვნელობა, თქვენ რომ გაკისრიათ, ა? ეს წერილები ხომ ჩვენ რუსეთის გლეხთა მასებთან გვაკავშირებენ...

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თვალებში ნაპერწკლებმა გაკვესა.

ვალოდიას თვალებში კი სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ცრემლი დაინახა. მის წინაშე იდგა გამხდარი, ფერგადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლოდ

შალვა ფორჩხიძე

თითქოს ძირს ფეხად ჩამოდის ზეცა,
თოვს, —
საახალწლოდ
თოვლს ვინ არ ნატრობს!
რამდენი ფიფქიც მიწას დაეცა,
იმდენი ტკბილი დღე შეგემატოთ!
თოვს,
მიწა თეთრად მორთულა წუხელ,
მოდით,
გახედეთ მთებსა და სერებს...
დღეს ჩაშაქრებულს გაჭმევთ ჩურჩხელებს,
თქვენც ასე ტკბილად რომ დამიბერდეთ!
თოვს,
საახალწლოდ თოვლი კარგია,
ქარი გუგუნით ფიფქებს აყრის ხევს...

თქვენ კი სიცილით დილაადრიან
გარს უვლით
თეთრად მორთულ ნაძვის ხეს.
ნახეთ,
ბაბუაც თქვენს შორის ცეკვავს,
ნუ გიკვირთ
მისი წვერის სითეთრე...
რამდენი ფიფქიც მოწყდება ზეცას,
იმდენი ტკბილი დღე გაგითენდეთ!
იმდენ ახალ წელს შეგასწროთ ბედმა,
რამდენი ფიფქიც დაცვივა ირგვლივ,
ღმერთმა გიცოცხლოთ
სამშობლო,
დედა,
და მშობლიური ენა და წიგნი!..

ლეული ყმაწვილი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ სხვისი ნაცვამი ფარაჯა ეცვა. და ეს ყმაწვილი ლამის ატირებულიყო.

— ეს ბიუროკრატიზმი არ არის, ახალგაზრდავ, — ლენინის ხმა უფრო რბილი გახდა, — ეს წესრიგია, ანგარიშგებაა. ასეთი ბიუროკრატიზმი ჩვენთვის აუცილებელიც კია. ეს საჭირო ბიუროკრატიზმია...

აღელვებული ვალოდია ანგარიშმიუცემლად ჭმუჭნიდა რვეულს ათრთოლებული ხელებით.

— რატომ აწვალებთ ამ რვეულს ასე? — უკვე სრულიად გულკეთილად ჰკითხა ლენინმა. — თუ რვეულიც ბიუროკრატიზმია?

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე თანამშრომელი ქალიშვილის მაგიდაზე დაიხარა, ბლოკნოტში რამდენიმე სიტყვა დაწერა და ფურცელი ამოხია.

— ამხანაგო გლიასერ, აი ბარათი — ეს ახალგაზრდა ამხანაგი ასადილონ. ამას კი ხელწერილი მიეცით, რომ თქვენ ჩემთვის რვა წერილი ჩაიბარეთ. უჩვენეთ გვარები — ვისი წერილებია. ეს ხელწერილი კი, — ლენინი შიკრიკს მიუბრუნდა, — რედაქციაში ჩააბარეთ, ნუ შფოთავთ, ასეთი ბიუროკრატიზმი სასარგებლოა. მაგრამ... მხოლოდ ასეთი!

ამის შემდეგ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე თავის კაბინეტში გავიდა.

ვალოდია კრემლიდან სირბილით წამოვიდა. მას არ უსადილია, დაკარგული წერილისათვის ჩქარობდა.

— ვალოდია! — ხელები ერთმანეთს გადააწნა იამშჩიკოვამ. — ვალოდია! — გაისმა ერთდროულად რამდენიმე ხმა: — ჩეკუნოვის წერილი რომ დაგრჩენია?

— მომეცით! — დაიხიხინა ვალოდიამ. — ჩანთაც მომეცით ამ წერილისათვის. ახლავე წავიღებ! — მან ღრმად ჩაისუნთქა და კრემლისკენ გააქნია თავი.

იამშჩიკოვა ყველაფერს მიხვდა. იმავე წამს მაგიდაზე გადმოყარა გასაღებები, ხურდა ფული, ცხვირსახოცები და თავისი დაცარიელებული ნატის ხელჩანთა გაუწოდა ვალოდიას.

— აჰა!

— არა! — ხელი აიქნია ვალოდიამ, — ასეთი კი არა!

მიმოიხედა, მაგიდაზე დადებული საქაღალდიდან ხელნაწერები ამოყარა, შიგ ჩეკუნოვის წერილი ჩადო და კარისკენ გავარდა. უცებ შეჩერდა (რაღაც გაახსენდა!), ჯიბიდან სახკომსაბჭოს სამდივნოს მიერ მიცემული ხელწერილი და ლურჯყდიანი რვეული ამოიღო, მერე მაგიდას მიუჯდა, რვეული გაშალა, პირველი გვერდი გრაფებად დახაზა და პირველი გრაფის შევსებას შეუდგა.

— რასა შვრები? სამუშაო დღე თავდება, ვალოდია, დაგაგვიანდება, — აჩქარებდნენ თანამშრომლები. — ნეტა რას ჩხირკედელაობ?

შიკრიკმა სიბრალულით გადახედა მათ და თავისი საქმე განაგრძო. ყველაფერი გულდასმით ჩაწერა რვეულში, როგორც ლენინმა უთხრა. როცა ამას მორჩა, კრემლში წასვლას უკვე აღარ ჰქონდა აზრი.

— ეშმაკმა წაგიღოს! — ბრაზობდნენ თანამშრომლები. — რაღაცის ჯღაბნის გამო კრემლში დაგაგვიანდა...

— ეს ჯღაბნა არ გახლავთ! — შეჰყვირა ვალოდიამ. — თქვენ იქნებ ისიცა თქვათ — ეს ბიუროკრატიზმიაო. ჩვენ კი სწორედ ასეთი ბიუროკრატიზმი გვჭირდება. მაგრამ... მხოლოდ ასეთი!

დილით ახალგაზრდა შიკრიკმა წერილი ლენინს წაუღო. წერილი საქაღალდეში ედო. იქვე იდო რვეულიც, და ვალოდიამ მიმღებს სთხოვა, ბოლო გრაფაში ხელი მოეწერეთო.

თარგმნა ს. ბეჩოელმა

**ვსწავლობთ ახალ კონსტიტუციას**

„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება“

სსრკ კონსტიტუცია, მუხლი 41

# ისვენებენ, პატარებიან



ზინაიდა კვაჭაძე,
საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია ადამიანზე ზრუნვა, მისი ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მისი სწავლა-განათლების, პირადი კეთილდღეობისა და ბედნიერების უზრუნველყოფა.

საბჭოთა კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, რომელმაც კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა სოციალისტური ცხოვრების წესის აშკარა უპირატესობა ყველა სხვა საზოგადოებრივ წყობილებასთან შედარებით, საბჭოთა მოქალაქის მრავალრიცხოვან სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა შორის ხაზგასმით დააკანონა დასვენების უფლება.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება მშრომელი ადამიანის დასვენების ორგანიზაციისათვის. მარტო 1977 წელს პროფკავშირთა საგზურებით დაისვენა და იმკურნალა 45 მილიონმა საბჭოთა მოქალაქემ. ამასთან უნდა ითქვას, რომ სანატორიუმების საგზურთა 20 პროცენტს და დასასვენებელი სახლების 10 პროცენტს მშრომელები უფასოდ იღებენ, ხოლო დანარჩენისათვის საგზურის ღირებულების მესამედზე ნაკლებს — მხოლოდ 30 პროცენტს იხდიან. კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებს ამაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ.

პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ნორჩი თაობის აღზრდა. ჩვენში ყველაფერი კეთდება სულიერად მდიდარი, მორალურად წმინდა და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანის აღსაზრდელად. უახლოეს მომავალში ხომ დღევანდელმა პატარებმა უნდა განაგრძონ მშობლებისა და უფროსი და-ძმების საქმე — იბრძოლონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის, კაცობრიობის სანუკვარი მომავლისათვის!

მაგრამ ამისათვის საჭიროა არა მარტო სწავლა და შრომა, არამედ გონივრული და ორგანიზებული დასვენებაც.

იმის გასაგებად, თუ რა კეთდება საქართველოს მოზარდი თაობის დასვენების უზრუნველყოფისათვის, „პიონერის“ რედაქციამ რამდენიმე შეკითხვით მიმართა რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანს ზინაიდა კვაჭაძეს.

**— მოზარდი თაობის დასვენების რა ფორმები არსებობს პროფკავშირთა სისტემაში?**

— ბავშვთა დასვენება ძირითადად სამგვარად ხორციელდება — დედათა და ბავშვთა სანატორიუმში, საოჯახო დასასვენებელ სახლებში და პიონერთა ბანაკებში. ამათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია პიონერული ბანაკები, მათი რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში 1977 წელს 467 იყო, 1978 წელს კი — 801. მომავალში ეს რიცხვი გაიზრდება, ზოგი ბანაკიც გაფართოვდება, და თუ გასულ წელს პიონერულ ბანაკებში გეგმით 139 ათას ბავშვს უნდა დაესვენა, ფაქტიურად კი 148500-მა დაისვენა, მიმდინარე წელს ეს რიცხვი 160000-ს მიაღწევს, ხოლო გაისად 175 500-ს გადააჭარბებს (არაფერს ვამბობ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და განათლების სამინისტროს საუწყებო ბანაკებზე). როგორც ხედავთ, მატების ტემპი მაღალია, მაგრამ საჭიროება კიდევ უფრო მეტია.

**— რვაასზე მეტი პიონერული ბანაკი... ისინი, ალბათ, სხვადასხვა ტიპისანი არიან...**

— დიახ. ძირითადად შემდეგი ტიპის ბანაკები გვაქვს: ქალაქგარე (სტაციონარული), საქალაქო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, შრომა-დასვენების, სანატორიუმის ტიპისა, სარაიონთაშორისო, კოლმეურნეობათაშორისი... ყველაზე მეტ ბავშვს ქალაქგარე (სტაციონარული) ბანაკები ემსახურებიან. ასეთი ბანაკი 160-მდეა. ისინი რესპუბლიკის ყველა კუთხეში, მთასა და ბარში, უმთავრესად საკურორტო ადგილებში მდებარეობენ, ბევრი ბანაკია შავი ზღვის პირას — აჭარაში, აფხაზეთში... თითოეული მათგანი მოზარდის სრულფასოვანი დასვენებისა და გაჯანსაღების კერაა, აქ ყველა პირობაა შექმნილი სამისოდ, რომ პიონერი მშობლიურ სკოლასა და ორგანიზაციას გაკაჟებულ-გამოწრთობილი, ახალი ენერგიითა და ხალისიანი განწყობილებით სავსე დაუბრუნდეს.

**— ამდენი ბანაკი და ეს მრავალფეროვნება ალბათ ყველა მსურველს დააკმაყოფილებდა...**

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა, ყველას ვერ გასწვდა, და 2500-

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
1 იანვარი 1979
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ზე მეტ ბავშვს ფასანაურის, შოვის, ტბის (ბორჯომის რაიონი), ჯავის, ფოთის, ოქროს ნაპირის (გუდაუთა) ტურბაზები მოემსახურნენ. აქვე დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო ერთი ფაქტი: გასულ წელს ქუთაისში გაჩნდა პიონერთა ბანაკების ახალი ფორმა, რომელსაც მაშინვე გამოეძებნა სახელი — „პროფილური ბანაკი“. ასეთი ბანაკი რამდენიმე იყო და თითოეული მათგანი იმ პიონერებს აერთიანებდა, რომელთაც ინტერესთა საერთო წრე ჰქონდათ. ასე რომ, თავ-თავიანთ ბანაკებში ერთ მთლიან საინტერესო კოლექტივებად ისვენებდნენ და მუშაობდნენ ნორჩი ტექნიკოსები, ნორჩი ნატურალისტები, ნორჩი სპორტსმენები, მსახიობები, ფიზიკოსები და მათემატიკოსები, მხატვრები, შემოქმედნი და ფილოლოგები, ქორეოგრაფები, მუსიკოსები... პიონერებს ძალიან მოეწონათ ასეთი ბანაკები... და ჩვენ გადავწყვიტეთ, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მშვენიერ ინიციატივას მხარი დავუჭიროთ, მომავალში უფრო დავხვეწოთ და გავამდიდროთ ბანაკის ეს ფორმა.

ცალკე უნდა ითქვას სამხედრო-პატრიოტული პროფილის ბანაკთა შესახებ, რომლებიც ნამდვილად საჭირო და სასარგებლო საქმიანობას ეწევიან. ბოლნისისა და ქობულეთის რესპუბლიკური მნიშვნელობის, ბათუმის, რუსთავის, ქუთაისის, გაგრის ადგილობრივი მნიშვნელობის ბანაკებში გასულ ზაფხულს ისვენებდა და იწრთობოდა ასობით უფროსკლასელი მოსწავლე.

**— თქვენ წელან საოჯახო დასასვენებელი სახლები ახსენეთ. რატომ ჰქვია მათ „საოჯახო“?**

— საქმე ისაა, რომ თუ პიონერულ ბანაკებში .ბავშვები უმშობლებოდ მიდიან, საოჯახო დასასვენებელ სახლში მოზარდს (5-დან 14 წლამდე) აუცილებლად დედა, მამა ან ბებია ახლავს ხოლმე. ზოგ მშობელს დასასვენებლად ორი ან სამი ბავშვი მიჰყავს. ამის მიხედვით საგზურები ორ, სამ ან ოთხ ადამიანზე გაიცემა და დასასვენებელ სახლში ოთახიც ამის მიხედვით გამოეყოფათ. საგზურები თორმეტდღიანი ან თვრამეტდღიანია, ფასი — 180 მანეთიდან 264 მანეთამდე. ოჯახი იხდის საგზურის ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტს, საგზურთა მთელი რაოდენობის 10 პროცენტი კი უფასოდ ეძლევა მუშათა ოჯახებს.

**— ეს ჭეშმარიტად ხელსაყრელი ფორმა ყოფილა... მაგრამ ასეთი დასასვენებელი სახლი ბევრია საქართველოში?**

— სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მათი რიცხვი გაიზარდა, საკმარისი მაინც არ არის, ჯერჯერობით სულ თორმეტიოდეა. ისინი საკურორტო ზონებშია აგებული, ამიტომ მოთხოვნა დასვენების ამ ფორმაზე დიდია და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენ ამას ვითვალისწინებთ და, ცხადია, გარკვეულ ზომებსაც ვღებულობთ. თვითონ განსაჯეთ: მარტო კეჩხობში 1977 წელს 2464-მა კაცმა დაისვენა, 1978-ში — 3080-მა, ხოლო წლეულს მათი რიცხვი 3500-ს მიაღწევს. დამსვენებელთა ნახევარზე მეტი ბავშვი იყო. მწვანე კონცხის საოჯახო დასასვენებელ სახლში შარშან ზაფხული გაატარა 856 კაცმა, მიმდინარე წელს კი აქ 1070 მოქალაქე დაისვენებს. ასეთივე მდგომარეობაა ბეშუმში, მზიურში (მახინჯაური), გუმისთაში და სხვაგან. ავადხარაში ამჟამად სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და გაისად იგი 2450 კაცს გაუწევს მასპინძლობას; დასასვენებელი სახლი „ჰორიზონტი“ (ქობულეთში) წელს 2724 დამსვენებელს მიიღებს, გაისად კი — 5450-ს. კიდევ ორ ციფრს დაგისახელებთ: 1977 წელს საოჯახო საგზურით 17387-მა კაცმა დაისვენა, 1980 წელს კი მათი რიცხვი 25600-ს გადააჭარბებს. ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უამრავი თანხა დაუჯდება, მაგრამ თანხა რა სახსენებელია, როცა საქმე მშრომელი ადამიანის და კომუნიზმის მომავალი მშენებლის დასვენებას და გაჯანსაღებას ეხება!

**— სანატორიუმზეც ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდე სიტყვას?**

— როგორც გითხარით, პროფკავშირთა სისტემაში გვაქვს ერთი (ჯერჯერობით ერთადერთი) დედათა და ბავშვთა სანატორიუმი „ფაზისი“. იგი უწერაშია, რაჭაში. ეს გახლავთ თანამედროვე ტიპის კეთილმოწყობილი სანატორიუმი თავისი სასადილოთი, სააბაზანოთი, სამედიცინო მომსახურებით. ისევე, როგორც ბანაკებსა და საოჯახო დასასვენებელ სახლებში, ბავშვები აქაც უზრუნველყოფილნი არიან ათასგვარი გასართობი ატრაქციონებით, სპორტული მოედნებით, კინოფილმებითა და კონცერტებით... „ფაზისში“ შარშან ორასმა ბავშვმა დაისვენა. ამდენივე დაისვენებს წლეულს.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის პროფსაბჭო ძალას არ იშურებს, რათა რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა გაიკაჟოს ორგანიზმი დ აღიდგინოს ენერგია ზაფხულის პერიოდში. გასულ წელს ჩვენ შევძელით შინაარსიანი და გონივრული დასვენება უზრუნველგვეყო 162 ათასამდე მოზარდისათვის, მომავალ წლებში მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს ბუნებრივიცაა: სახელმწიფო, რომელმაც თავის მოქალაქეს დაკანონებული სახით მისცა დასვენების უფლება, კიდევაც ზრუნავს ამ უფლების დაცვა-განხორციელებისათვის!

**საუბარი ჩაიწერა**
**ნ. აფხაზავამ**



კურორტ ბიჭვინთის ხედი



# ჩიბუხა

„ჭაობი ცალკე ქვეყანაა დედამიწაზე, ქვეყანა განსაკუთრებული, რომელსაც საკუთარი სიცოცხლე აქვს, ჰყავს ბინადარნი, დროებით გამვლელი მოგზაურნი, თავისი ხმიანობა, ხმაურობა და თავისი საიდუმლოება განსაკუთრებით“.

გი დე მოპასანი

**ზაზა ქინქლაძე**

მხატვარი ზ. ფორჩხიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

შეშინებული აფრინდა ჩიბუხა. ათიოდე მეტრზე თეთრი ძაღლი ჩხრეკდა ბალახს.

— უჰ, შენი! რა ტყვიასავით გავარდა! — დიდრონთვალება მონადირე განაწყენებული გაჰყურებდა უკვე მიმქროლავ ჩიტს.

ისევ სწრაფმა ფრთებმა უშველეს ჩიბუხას, ზიგზაგებით გაფრინდა ტბისკენ.

— ჭყიი! ჭყიი! — დიდხანს ისმოდა მისი ხმა. საბედისწერო ჩვეულება აქვთ ამ ფრთოსნებს, თუ რამემ შეაკრთო, ვაი-ვიშითა და ყვირილით გაურბიან საფრთხეს, და მონადირეც, რომელსაც შეიძლება არც კი შეუნიშნავს ჩიტის აფრენა, ადვილად აგნებს მათ ადგილსამყოფელს. იხვი, მწყერი, ტყის ქათმები ჩუმად არიან, მაგრამ ნელა, სწორხაზოვნად მიფრინავენ და ტყვიაც ადვილად ეწევათ. ჩიბუხა კი ხშირ შემთხვევაში მოუხელთებელია, ამიტომაც მასზე დიდი ჟინით და შიშითაც ნადირობენ, რადგან ბევრჯერ პირში ჩალაგამოვლებული რჩებიან.

განა რა არის ჩიბუხა? მწყერისხელა ჩიტია, მასავით ბაცი ყავისფერი, მხოლოდ ოდნავ წაგრძელებული სხეული აქვს და ლამაზ მრგვალთვალებიან თავზე გრძელი, ვიწრო ნისკარტი; ამ ნისკარტის გამო თავი ძალიან მიუგავს ჩიბუხს და მისი სახელიც აქედან წარმოსდგება.

აი, ამ პაწია, მშვიდობისმოყვარე, მფრთხალ, მჭლე ჩიტს ემტერებიან ადამიანები.

— ჭყიი-ამპო! ჭყიი-ამპო! — უკვე პალიასტომის ტბაზე მიფრინავდა ჩიტი. უქარო, მზიანი ამინდი იყო. ზღვა მშვიდად ფშვინავდა ქვიშიან ნაპირთან. სრუტიდან ლურჯი, მარილიანი წყალი შემოდიოდა ტბაში. აღმოსავლეთიდან შავღელე და ფიჩორის მღვრიე ტალღები ამტუტებდნენ მას. ეს დინებები ცენტრში ხვდებიან და წითელი და შავი ჭიანჭველების ლაშქრებივით ერევიან ერთმანეთს. ამ დროს წყალი ზოგან ლურჯია, ზოგანაც ჩალისფერი და მწვანე. ძალიან უყვარს მათი ცქერა ჩიბუხას. საათობით დაფრინავს ხოლმე ტბაზე და ერთობა თოლიების ცქერით, გამჭვირვალე წყალში ყირამალა რომ ეშვებიან, ვერცხლისფერ თევზებს ნისკარტში იმწყვდევენ და მაღლა იჭრებიან...

ახლა კი გაღმა, ჭანჭრობისაკენ მიიჩქარის ჩიტი, იქ ეგულება გაშლილი, რბილი, ტორფიანი ადგილი. სამი ამხანაგი შეუერთდა ჩიბუხას, გადაიფრინეს ტბა, დაზვერეს მიდამო და ნაპირთან ახლოს ჩაეშვნენ.

კატარღაზე ხელით თვალმოჩრდილულმა მონადირემ უხმოდ ანიშნა ამხანაგს და ძრავა აამუშავეს.

დაეშვა ჩიბუხა, ფრთები შეისწორა და გაირინდა ჩვეულებისამებრ. მერე თავი დახარა, ჩაკრა გრძელი ნისკარტი ტორფში, რომელიღაც მცენარის ფესვი დაითრია, გადასანსლა და ამხანაგებს გახედა — ორი მასავით მიწაში იჩიჩქნებოდა, ერთი, დედალი ჩიბუხა კი უძრავად მისჩერებოდა შორეთს.

— რა დაგმართნია? — გასძახა გარინდულ ჩიტს.

ნაღვლიანად გამოხედა მეზობელმა.

— გარიჟრაჟზე მონადირეს გადავუფრინეთ. მოხუცი იყო, კარგი მსროლელი. ორი ერთად მომიკლა — შვილი და ქმარი...

არაფერი თქვა ჩიბუხამ, ბევრისგან სმენია ასეთი სიტყვები. დღეს თუ ხვალ მასაც ელის მსგავსი დასასრული. ის დიდი ხანია მარტოსულია. მეუღლე ა, იმ ჭალის ბუჩქთან მოუკლეს. ტყვიამ მარდი ფრთები დაუხვრიტა საცოდავს, მაინც აფრინდა, შორს ჩაეშვა ბალახებში. მიაგნო წყეულმა ძაღლმა. ისევ აფრინდა. ესროლეს. მოწყვეტით დავარდა დაბლა. ყიჟინით გამოქანდა მისკენ ქოჩორა, პირტიტველა ბიჭი, ეტყობოდა, ახალბედა იყო. ო, რა დაუნდობელი არიან ახალბედები!..

ამ დროს ნაპირს კატარღა მოადგა. შაშვი აუცილებლად გაიგონებდა წყლის ტყლაშუნს და ნაბიჯების ჩქამს, ჩიბუხებს კი არაფერი უგრძვნიათ. უცებ შემოვარდა მათ გუნდში ენაგავარვარებული, კბილებით პირგამოტენილი თეთრი ძაღლი.

— ჭყიი! ჭყიი! — აფრინდნენ თავზარდაცემულები. გაისმა გრიალი, ოთხჯერ ისროლეს. ადგილიდან არ განძრეულა ჩიტი. იცოდა, ახლა მხოლოდ აფრენილებს სდევდნენ. ერთი მოკლეს მხოლოდ, ის, დაქვრივებული.

— ეჰ, ორი გაგვექცა, — ჩაიბურდღუნა წითელულვაშა მონადირემ და ძაღლის პირში ჩამოკონწიალებული ჩიტი აიღო, ასწონა. — კარგია, დიდია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი, ცუდი დროა შემოდგომა. ჯერ არც იხვი შემოსულა, არც ტყის ქათამი და ქედანი. ჩიბუხაზე და მწყერზე ნადირობს ყველა. მწყრები... ეჰ, საცოდავები. რამდენი იღუპება გადაფრენისას...

გაახსენდა ჩიბუხას:

ქარი ქროდა. საღამოს მინდორში მიფრინავდა. აიტაცა ქარმა. არც გასძალიანებია, გაჰყვა.

ცოტა ხანში აელვარებულ კუნძულზე მოხვდა. არ იცოდა, რომ ეს ქალაქის მთავარი მოედანი იყო. უცებ დაიჭექა და მალე წვიმამაც დაუშვა. თვალებდაბინდული იმ კუნძულზე პარკში ჩაჯდა. რაც იქ ნახა, არ დაავიწყდება და ამიტომაც მუდამ ეძულება ადამიანები.

მწყრის გუნდები, რომლებიც ზღვის გაყოლებით თბილ ქვეყნებში მიფრინავდნენ, წვიმამ დაბლა ჩამოყარა. იმ მოედანზე დაეშვნენ საცოდავები. ფრთხიალებდნენ, მაღლა იწევდნენ, მაგრამ დასველებული ბუმბული ისევ მიწაზე ანარცხებდათ.

— ავშენდით!.. არიქა, ბიჭებო! — დაიძახა ვიღაცამ და დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. ვინ ჯოხით, ვინ ტოტით, ვინ პიჯაკით, სხვები საჭერით, ფეხებით დაერივნენ მათ, იჭერდნენ, ჯიბეებში, ბადეებში, ჩანთებში ტენიდნენ და კვლავ გარბოდნენ მობუზული, შუქით დაბრმავებული, გალუმპული ფრთოსნებისაკენ.

— თავი წააწყვიტე, თორემ გაგიფრინდება!

— ფრთები დააგლიჯე!

— მოკალი!

— არ გაგექცეს, შე სულელო!

როცა მოედანი დააცარიელეს, ფარნებით პარკებში, ხეივნებში გადავიდნენ და იქაურობაც გადაჩხრიკეს. ერთი მასაც წაადგა თავზე. ის კი აფრინდა, წინ გაიჭრა.

— ერიჰაა! ჩიბუხაც ყოფილა! — სინანულით დაიძახა ვიღაცამ.

სინათლემ თვალები მოსჭრა ჩიტს და მაღალი სახლის ფანჯარას შუბლით მიასკდა. დიდხანს ეგდო გაბრუებული რაფაზე. როცა გონს მოვიდა, სახლში შეიჭყიტა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შემოვიდა, შუქი აანთეს და ტელევიზორი ჩართეს. რაღაც კინოფილმს უყურებდნენ. ცხენების ჭიხვინი და თოფის სროლა ისმოდა.

— მხეცები... რა დააშავეს, რას ერჩიან? — ამბობდა დროდადრო ქალი.

გაუკვირდა ჩიბუხას, ნუთუ ამათაც იციან სიბრალულიო.

მთელი ღამე ფანჯარასთან გაატარა. დილით გამოიდარა. ჩიბუხამაც ძალა მოიკრიბა და ჭანჭრობებისაკენ გაფრინდა. გაეცალა იმ საშინელ კუნძულს.

ახლა კი ზის გასუსული ბალახში. იმ კუნძულიდან მოსულნი დააბოტებენ ირგვლივ, ეძებენ მას და ჩახმახებს აწვალებენ. უკვირს ჩიტს, რად არ მიფრინავს, რად არ გადაევლება თავს ამ ველსა და ტბას, რად არ მონახავს უშიშარ ადგილს. მობეზრდა, მობეზრდა ყველაფერი, დაიღალა...

— წავედით. აქ რაღა გაჩერდებოდა? ყველა დავაფეთეთ. — მოესმა მონადირის ხმა და კატარღის ძრავაც აგრუხუნდა.

„გადავრჩი! — გაიფიქრა ჩიბუხამ. — კი მაგრამ, რა მქონდა გადასარჩენი? მე ხომ არავის ვემტერები, არავის არაფერს ვუშავებ..."

ვერ მონახა პასუხი.

გრძელი ჩრდილი დაეცა ჭანჭრობს. ქორი ირაოთი ზვერავდა მიდამოს. მწყერჩიტები ჟივილ-ხივილით მიმოიფანტნენ. ჩიბუხას ქორისა არ ეშინია. ჯერ ერთი, მისი ზურგის ფერი მიწას ეხამება და შეუმჩნეველია, მეორეც, ქორი ვერ დაეწევა. ნელა გაჰყვა ნაპირს. ალაგ-ალაგ ნისკარტი ჩაკრა ტორფს და პატარა ჭია გადასანსლა.

უცებ მოშორებით ლელიანიდან მელოტა აფრინდა, მაშინვე თოფიც გავარდა. ერთი შეიფრთხიალა შავმა თავთეთრა ფრინველმა და ისევ გაფრინდა. ნელა, ქანაობით ძლივს მიაღწია ლელქაშებამდე.

„დაიჭრა!" — გაიფიქრა ჩიბუხამ.

თქაფუნი გაისმა ლელიანში. ეძებს მონადირე, დაინახა. ის იყო, უნდა ესროლა კვლავ, ჩაყვინთა მელოტამ.

— ჰმ, წყეული! — აქეთ-იქით იყურება ადამიანი, ფრინველი კი არ ჩანს.

ჩიბუხამ იცის, რომ მელოტა უკვე დაიხრჩო, როცა ჩაყვინთა, ის ნისკარტით მოეჭიდა ბალახის ფესვს. მოკვდა, მაგრამ ხელში არ ჩაუვარდა მტერს.

„ღმერთო ჩემო, ეს რა არის? ნუთუ ტბის დედოფალია?.. აქეთ მოფრინავს. მოკლავს წყეული"... შეშფოთებული ჩიბუხა გასცქერის ტბას, რომელზეც თეთრი, კისერგაწვდილი გედი მოფრინავს. „შენიშნა მონადირემ. ჩასაფრდა... უნდა ვუშველო!"

— ჭყიი!... ჭყი! — ტყვიასავით გაფრინდა ჩიბუხა. — აქეთ ნუ მოდიხარ, გედო, იქ მონადირეა, გაბრუნდი! გაბრუნდი!

ვერ ხვდება ფრინველი, რას ეძახის ჩიბუხა, მიუახლოვდა.

— რა იყო, ძმობილო? — კითხულობს.

— მონადირე! მონადირე!

მოკეცა ფრთები გედმა, შეტრიალდა, უკან გაფრინდა. დელფინივით გასრიალდა თეთრი ლანდი ტბაზე. იჭექა თოფმა. გადაიშხუილა საფანტმა, მაგრამ გედს ვერაფერი დააკლო, შორს იყო უკვე. მიჰყვა ჩიბუხა.

— დედოფალო, ნუ იფრენ ასე დაბლა. დაუნდობელი არიან ადამიანები, ლამაზებს ყველაზე უფრო ემტერებიან.

— აღარ,აღარ ვიფრენ, ძმობილო. მადლობელი ვარ, გადამარჩინე.

— საიდან მოდიხარ, დედოფალო? დიდი ხანია არ მინახავხარ, ბევრი ხართ კიდევ?

— ეჰ, ჩიბუხავ, თითო-ოროლაღა დავრჩით. თითზე ჩამოსათვლელნი ვართ! — ნაღვლიანად ამბობს გედი და იქნევს ღონიერ, თოვლივით თეთრ ფრთებს.

— ფრთხილად იყავი, გემუდარები.

— შენ საით, ჩიბუხავ?

— წავალ, ფიჩორის მინდვრებში ჩავჯდები. იქ ნაკლებად მოდიან მონადირეები.

— შენც ფრთხილად იყავი, ძმობილო. შენც გემტერებიან. მშვიდობით.

— მშვიდობით, დედოფალო.

ნაღვლიანად გასცქეროდა ჩიბუხა გედს, რომელიც თეთრი ღრუბელივით გადნა ლაჟვარდში.

დიდხანს მიფრინავდა ჩიტი. ქვევით ხმალივით კვეთდა ტყეს მდინარე. ალაგ-ალაგ მთლიანად დაეფარათ კალაპოტი ასწლოვან მუხებს, ცაცხვებსა და რცხილებს, ზოგი ხე წყალში გადამხობილიყო, ზოგი ერთმანეთს ჩაბორჯღლოდა და ამ მწვანე ხანძარში აქა-იქ კვამლივით გაიელვებდა წყლის ზედაპირი. თითქმის ფიჩორის სათავეში გავიდა ჩიბუხა და ყანის პირას ნატბორალში ჩაეშვა. გაირინდა. ასე იყო კარგახანს.

ამ გარინდებისას ის ყოველთვის იგონებდა ლაღ ბავშვობას, ჭოვილოს და ყანჩის ბარტყებთან მეგობრობას. ახსენდებოდა დედა, რომელსაც თავზე ბუმბული ჰქონდა გაცვენილი ტყვიისაგან, რის გამოც „დედაბერს" ეძახდნენ. უკვე კარგად იყო წამოჩიტული, როცა ერთხელ მშობელმა რბილ ტორფთან მიიყვანა და უთხრა:

— აბა, ჩაჰკარი ნისკარტი, ამოიღე საზრდო.

გაუჭირდა პატარას, ვერ გახვრიტა მიწა. დიდხანს ეწვალა და ბოლოს, როგორც იქნა, ამოიყვანა პატარა ჭია, გადასანსლა, ფრთები აафათქუნა გახარებულმა და დედას შეხედა. ბედნიერებისაგან ცრემლი მოსდგომოდა თვალებში „დედაბერს".

— ხომ ტკბილია შენი შრომით მოპოვებული ლუკმა? — ჰკითხა მან.

— კი, დედი! — უპასუხა პაწიამ.

— ამიტომაც მოგვანიჭა განგებამ ფრენის უნარი...

გაახსენდა ბრძენი თეთრი ყანჩა, რომელიც მასზე ასჯერ დიდი იყო, მაგრამ მაინც მეგობრობდა. ერთხელ ფეხებთან მიუფრინდა მას, როცა გოლიათმა ყანჩამ დიდი ბაყაყიააწიაპა და გადაყლაპა.

— რატომ გადასანსლე? ხომ ცოდვაა?

— შენ რაღად ყლაპავ ჭიებს? — კითხვა დაუბრუნა ბრძენმა ყანჩამ.

— არ ვიცი. მითხარი, რატომ ვიქცევით ასე?

სწორედ მაშინ ნახა პირველად და უკანასკნელად, როგორ დაიბნა ყანჩა, ვერაფერი უპასუხა.

— ყვაა! ყვაა! — დაიჩხავლა შორიახლო მდგარმა ყვავმა, რომელსაც ესმოდა მათი საუბარი. — იმიტომ ყლაპავ, რომ გშია.

— მურდალო! განა არ ვიცი ეგ, მაგრამ არ ვეუბნები, — გაბრაზდა ყანჩა. — ბავშვობა მაინც აცალე. ბავშვობა ხომ იმითაა ყველაზე კარგი, რომ ჭამაზე არ ფიქრობენ.

მართლაც, მაშინ მხოლოდ მზესა და მეგობრობაზე ფიქრობდა ჩიბუხა. ფიქრობდა? არა, გრძნობდა. ფიქრი... ფიქრს მაშინ ვიწყებთ, როცა გრძნობას არ ვენდობით და გვეშინია, არ მოვტყუვდეთ...

ჩიბუხა შემაღლებულზე იდგა და მის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია სიმინდის რხევა ყანის შუაგულში. ქარი არ ქროდა. „რა უნდა იყოს? კურდღელი? იქ ხომ მუხუდო არ არის, არც კომბოსტოა. ან იქნებ... ან იქნებ მელიაა?"

უცებ შორიახლოს რაღაც მოჩახჩახე აიჭრა ჰაერში და მისკენ გამოქანდა. შეშინდა ჩიტი, ეგონა მზის ნატეხიაო: ალაგ-ალაგ წითლად, ყვითლად ღუოდა, ზოგან სულაც ჩამქრალიყო და მწვანედ თუ ყავისფრად იბჟუტებოდა. ის იყო, გაქცევა გადაწყვიტა ჩიბუხამ, რომ ის უცნაური რამ ტყისკენ შებრუნდა და განაპირში ჩაეშვა.

„ხოხობი ყოფილა. — გაეღიმა ჩიტს. — ხახამშრალი დატოვა მელია. უი, მისი ცალიც აქ ყოფილა! — თვალი გააყოლა ბოლოგაშლილ ყავისფერ ფრინველს. — ეჰ, ტყის დედოფალო, ბედნიერი ხარ, ხშირ ხე-ბუჩქნარებში ცხოვრობ, ადვილად ვერ გიპოვნიან ორფეხები. თქვენი ადგილსამყოფელი რომ იცოდნენ, ალბათ, მთელი სოფელი დაგედევნებოდათ... ღმერთო ჩემო, ნუთუ წამდაუწუმ შიათ ადამიანებს, მუდამ რომ თოფებით დადიან?"

მდინარეზე შორეული გუგუნი გაისმა. ნელ-ნელა ახლოვდებოდა.

„ისინი არიან", — გაიფიქრა ჩიბუხამ.

მალე ორი ბიჭი მოადგა ნაპირს. ერთმა, ქერათმიანმა, გახედა ტყეს და თქვა:

— ვითომ აქ იქნება?

— იმ დღეს ა, იმ ბუჩქიდან აფრინდა. გაშტერებული ვუყურებდი. სხვა რა უნდა მექნა? თოფი არ მქონდა.

— აბა მოვიხელთებთ?

— ეჭვიც არ მეპარება. ოღონდ, თუ ძმა ხარ, არავისთან წამოგცდეს ამ ადგილზე, თორემ დიდ-პატარა აქ დაიწყებს ნადირობას.

— რამდენი კილომეტრია აქედან სახლამდე?

— ორმოცამდე.

— ერიჰაა! კარგად გვივლია! აბა, ვისაუზმოთ, აწზორა, და შევიდეთ მერე.

„ჩემი დარდი არავის აქვს", — გაიფიქრა ჩიბუხამ. არ აფრენილა. აინტერესებდა, რა მოხდებოდა.

ძაღლები წინ გაუშვეს და მიჰყვნენ მონადირეები. ტყეში დროდადრო ერთმანეთს ეხმიანებოდნენ.

— წინ ნუ წახვალ! ძაღლები შუაში მოვაქციოთ!

— ბილიკს ნუ მიჰყვები!

— სიღრმეში შედი. შიდი, კო, ხახე, ნახე, ჯეკა!

— ე, ბიჭო! — და დაიჭექა.

დედალი ხოხობი ხეებს ასცდა და ტყეს გადაუშხუილა, მამალი კი ძაღლმა მოიქცია პირში.

— კაცი არ ვიყო, ამას ორი ვარია თუ არ დავამატო და არ გაქეიფო! — გახარებული იძახდა ერთ-ერთი. — ხო-ხო, რამხელაა!

— რა ლამაზია! — უთხრა მეორემ.

— აბა, აბა!.. ისე, ცოდვა კია.

— ეჰ, მხეცია ადამიანი.

მერე კვლავ განაგრძეს ტყის ჩხრეკა. დიდხანს იხეტიალეს, ვერაფერს მიაგნეს, დაღლილები განაპირზე გამოვიდნენ და მდელოზე წამოწვნენ.

გარინდული, აცრემლებული გაჰყურებდა მათ ჩიბუხა.

„რატომ? რატომ?" — ამ კითხვასაც ვერ მოუნახა პასუხი.

მონადირეთა უკან ბუჩქნარში ოთხი აცქვეტილი ყური გამოჩნდა. ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ მელები ბიჭებს.

წამოფრინდა ჩიბუხა და თავგანწირული გაფრინდა ადამიანებისაკენ.

— ჭყიი-ამპო! — ჰაერი გაკვეთა მისმა კივილმა.

— ბიჭოს, ამას აქ რა უნდა? — ერთმა თოფს დასტაცა ხელი და წამომჯდარმა ესროლა.

მარცხენა ფრთა აეწვა ჩიბუხას — ერთადერთმა საფანტმა გაუხვრიტა, მაგრამ ნაკაფს გახედა — მელები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ.

„გადარჩნენ!" — უხაროდა ჩიტს და კვნესოდა.

— იქ რა შლიგინი ატყდა? — წამოხტა ხუჭუჭთმიანი.

— ვაიმე, ბიჭო, მელები!.. მელები დაგვიფრთხო ამ ტიალმა! ოხხ!

ნელ-ნელა დაუმძიმდა ჩიბუხას ფრთა. სისხლს ძალაც გაჰყვა და შუა ტყეში ჩავარდა ჩიტი. ცაცხვის რტოში გაიხირა.

დიდხანს იყო ასე. კვნესოდა და გასცქეროდა შუბის ტარზე გადაწვეულ მზეს. ირგვლივ უძრავად იდგა ხეთა ლაშქარი. დუმდნენ ხეები, როგორც სჩვევიათ, რადგანაც იციან, რომ ხმაურიან ქვეყანას მათი სიმშვიდე მალამოსავით ედება...

— კრრ! კრრ!

— ნაუ! ნაუ!

— ჭახ! ჭახ! — ისმოდა ტყეში. მშვიდობას გრძნობდნენ და მღეროდნენ ფრთოსნები.

— ჭყიი! — ძლივს ამოიღო ხმა ჩიბუხამ. — მიშველეთ!

— ჩხიი! ხი-ხი-ხი! შენ აქ რა გინდა, ტალახის ქექიავ? — ცაცხვზე შემოჯდა კრეჭია ჩხიკვი.

— დაჭრილი ვარ, — საწყლად ამოიკვნესა ჩიტმა.

— ჩხოო, ხოო? აბა, სად?.. ახ, ფრთა გაგხვრეტია. არა უშავს, ეგ არაფერია. ერთ წუთში მოგარჩენ .მე რომ მიყურებ, ყვავის დისშვილი ვარ. ყვავი ხომ იცი, ქორის ბიძაშვილია, ქორი კი — ყანჩას მეზობელი. ყანჩა განთქმული დასტაქარია. ჰოდა, მეც ვიცი მკურნალობა. აბა, მაჩვენე ფრთა... ჰოო... რა ვუყოთ?..

— კოდალას დაუძახე, — უთხრა ჩიბუხამ და დაიკვნესა.

— კოდალას? რატომ? აჰა, რომ მომეხმაროს? კარგი, კარგი. ნეტავ სად არის? მოიცა... კაკუნი მესმის. კი, კი, იქ არის. ახლავე მოვიყვან. ჩხიი! — და გაფრინდა.

„ო, რა ლაქლაქაა!" — გაიფიქრა ჩიბუხამ.

მალე მოფრინდა ლამაზი გრძელნისკარტა კოდალა.

— გამარჯობა, ნათესავო! ნუ გეშინია, მე მოგივლი. — ხის ქერქს ნისკარტი დაჰკრა და გრძელი ჭია ამოაძრო. — მიირთვი, ძალა მოიკრიბე.

მადლობის ნიშნად თვალები დააფახულა ჩიბუხამ.

— როგორ გავხართ ერთმანეთს! ორივეს რამხელა ნისკარტები გაქვთ. ახა-ახ, ჩხაა! — თქვა ჩხიკვმა. — მერე და შეიძლება ასე დაკარგვა? მარტო გაჭირვებისას უნდა ნახოთ ერთმანეთი? აი, მე, მაგალითად...



— აბა, ნუ აწუხებ დაჭრილს! ხომ ხედავ, შეუძლოდაა. — დაუცაცხანა კოდალამ.

— კარგი, ჩიბუხავ, საღამოს შემოგივლი. — ჩხავილით გაფრინდა ჩხიკვი.

სამი დღე-ღამე არ მოშორებია კოდალა დაჭრილს, უზიდავდა საზრდოს, ფოთოლში უგროვებდა ცვარს და ასმევდა. მომჯობინდა ჩიბუხა, ძალა მოიკრიბა. დადგა გაფრენის დროც.

— დარჩი ჩვენთან, ჩიბუხავ. ტყე თბილია, ნაყოფიერი და საიმედო. ადამიანი ადვილად ვერ მოგაგნებს. გუშაგებიც ბევრი გვყავს: შაშვი, ჩხიკვი, წიწკანა...

— მე გაშლილ ველზე მიყვარს ცხოვრება, ძმობილო, იქ ლაღად და სწრაფად დავფრინავ.

— იქ რომ ჭაობი და ტალახია?!

— მერე რა? იცი, რა ლამაზია ჭაობი? დილ-დილობით ტბაზე შროშანები იშლებიან. თეთრი შროშანები... და გულში ლამპარივით უნთიათ წითელი ბუტკოები; ისინი ქარს დაყვებიან აქეთ-იქით, საღამოს კი კოკორს კუმშავენ და იძინებენ. ლელიანში წყლის ქათმები და იხვები დაცურავენ, ყვინთავენ, თევზებს იჭერენ. წყლის ვაზის ძირში ტარანები, ქარიყლაპიები, კობრები ცხოვრობენ. ხანდახან კეფალი ამოხტება მაღლა, გაიბრიალებს მზეზე და ხანჯალივით ჩაესობა ტალღებში; ზოგან ტბის ზედაპირი მრგვალი პატარა ფოთლებითაა მოფენილი. ეს წყლის პერია, ხავსთან და სანთელასთან ერთად დაცურავს; ბალახები პატარა კუნძულებსაც ქმნიან, შიგ კოკორინები იკეთებენ ბუდეს და თავთავიანთი სახლებიანად დასეირნობენ აქეთ-იქით; ზოგჯერ გედიც გვესტუმრება ხოლმე, მოიღერებს ლამაზ კისერს და ტივტივებს წყალზე. ნაპირებზე თეთრი დასტაქარი — ყანჩა დგას და სიწყნარეს იცავს ბაყაყების გნიასისაგან; იასავით ნაზი და პატარა წყლის შაშვი ჭილის ტოტზე ქანაობს. არა, ჭაობზე ლამაზი არაფერია! წამოდი, შენც წამოდი იქ, კოდალავ!

— ყველას სამშობლო ლამაზია, — თქვა ტყის ჩიტმა. — წადი, ჩიბუხავ, და არ დამივიწყო.

— მადლობელი ვარ, მეგობარო. ნახვამდის!

აფრინდა ჩიბუხა. ო, რა კარგია ფრენა! მსუბუქად მიაქანებენ ფრთები!

— გამარჯობათ, ტბებო, ველებო, ლელიანო!.. როგორ მიყვარხართ!... როგორ მომენატრეთ!.. გამარჯობა, მწყერჩიტავ!

— გაგიმარჯოს, ჩიბუხავ! სად დაგვეკარგე?

— დაჭრილი ვიყავი, ვმკურნალობდი.

— ახლა ხომ კარგად ხარ?

— არა მიშავს რა.

—მაშ მოდი, ვითამაშოთ. — და მწყერჩიტა ჰაერში ერთ ადგილზე გაშეშდა, ფრთები გაშალა, უცებ ყირამალა გადატრიალდა და წინ გაიჭრა.

— როგორ აკეთებ ამას, მწყერჩიტავ? მასწავლე, რა!

— სულ ადვილია. პირქარს შეუშვირე ფრთები და ბოლოთი წონასწორობა დაიცავი. ერთ ადგილას დაეკიდები, მერე მოიქნიე ბოლო და გადატრიალდები.

— აჰ, არ შემიძლია. მე ხომ ჩიბუხა ვარ.

— მართალია. ყველას თავისებური შნო და ლაზათი მოგვცა ბუნებამ. აი, შენ ისარივით დაფრინავ და დღეში თუნდ მთელ კოლხეთს გადაიფრენ...

— ნახვამდის, მწყერჩიტავ!

— ნახვამდის, ძმობილო!

ცოტა დაღლა იგრძნო ჩიტმა და შავღელის ნაპირთან ჩაეშვა. ლელიანში წყლის ქათამი იქექებოდა, მწვანე ბუმბულს იბანდა და ბალახის ძირებს წიწკნიდა. მისი საყვარელი საჭმელი — ვალისნერიას თესლი — ახლა ფსკერზეა. მხოლოდ გაზაფხულობით რამდენიმე დღით ამოტივტივდებიან ისინი, დაიმტვერებიან და კვლავ ჩაყვინთავენ. მერე კი დატოტვილ, ვიწროღერაკიან მცენარედ იქცევიან.

ჩიბუხას ფართქუნმა ცოტა შეაკრთო ქათამი, მერე დამშვიდდა.

— საიდან მოფრინავ, მეზობელო?

— ფიჩორიდან.

— როგორი ამინდი იქნება, ხომ ვერ მეტყვი?

— წუხელ ცა წითელი იყო. ალბათ, ქარი წამოუქროლებს.

— გვრიტებს გადმორეკავს.

— ჰო... გაიხარებენ მონადირეები.

— მერე რას დაბოდიალობენ ზევით-ქვევით? იყვნენ ჩემსავით დაბლა, ჩუმად, და არც არაფერი დაუშავდებათ. ხშირად დღეები გადის, მე კი ერთხელაც არ ავფრინდები, — თავმომწონედ თქვა წყლის ქათამმა, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ჭკვიანური გამომეტყველება ჰქონოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამაძღარი მარტო იყო და იხვების წვრილშვილიან, გამრჯე ოჯახს ლელიანიდან დაცინვით უთვალთვალებდა.

— განგებას ფრთები მოუცია და მიწაზე გინდა ეთრიო? — უთხრა ჩიბუხამ.

— ფრთები საფრთხისას უნდა გამოიყენო.

— ეჰ! — თავი მიაბრუნა ჩიტმა.

— ჩიბუხავ, შეხედე! შეხედე! — წყლის ქათამმა ფრთები აწურა და მდინარის შუაგულს მიაცქერდა.

სიმინდის მარცვლისოდენა შავი წერტილი მოარღვევდა წყალს. პატარა ტალღები მარაოსავით იშლებოდნენ მის ირგვლივ. ნაპირისაკენ მწვანე ზურგის რხევით, ჭრელი გულმკერდით, ორკაპა ენით, თავისი საშინელი სილამაზით ანკარა მოცურავდა.

— გაბერილო! — გასძახა ჩიბუხამ ბაყაყს, რომელიც ნაპირთან იჯდა და მზის შუქზე თვალებს კუსავდა. — შენი სიდედრი მოდის!

— ყუვა! ვა, საიდან გაჩნდა?.. ტყლუპ! — და წყალმა ჩაყლაპა კვასა.

წყენით გამოხედა ჩიბუხას გველმა თავისი ვიწრო, მომნუსხველი თვალებით, დაისისინა, მერე ნაპირზე ასრიალდა და თქვა:

— დღეს ხმელეთზე ვინადირებ. მიფრთხილდი, ჩიბუხავ!

— სიფრთხილე ყველა ჩვენთაგანს სჭირდება. — ჩიტი ჰაერში აიჭრა და ტბას გადაუფრინა.

— აკი გითხარი, ფრთები საფრთხისას უნდა გამოიყენომეთქი! — ზანტად აფრინდა წყლის ქათამი, ძლივს აზიდა თავისი დონდლო სხეული. ასეთები ხშირად არიან მართლები წვრილმანებში.

ჩიბუხა ტბის გაღმა კვლავ ტაფობში ჩაჯდა. მყუდრო ადგილია, ირგვლივ ჭილის ბუჩქები აკრავს. სადამდეც თვალი მიწვდება, ლელიანის და ისლის ზღვაა — ალაგ-ალაგ ყავისფერი ტალღებივით ილანდება კოლბოხები და გადამწვარი ბალახები. შორს, სამხრეთით, დინოზავრებივით დგანან მწვანე ქედები, თავზე თეთრი მწვერვალები გადმოსდგომიათ. ჰაერი გამჭვირვალეა, არ ბოლავს, რადგან მზე ძველებურად ვეღარ აცხუნებს.

ჩიტმა პალიასტომს გახედა. წამოქოჩრილა. თოლიების ლაშქარს ჰგვანან ზვირთები. ქარი ძლიერდება. ველი აჩურჩულდა, აშრიალდა და აკვნესდა. ზღვის თავზე გვრიტების პირველი გუნდი აიშალა, ერთხანს იქვე იფრინეს, მერე ქვენა ქარმა აღმოსავლეთისკენ გადმორეკა. აქა-იქ თოფებმა დაიყეფეს, ხან აქეთ მიაწყდნენ ფრთოსნები, ხან იქით და ფიჩორის ტყეებს მიაშურეს. იქაც გაისმა სროლა, გუნდი შეთხელდა. ზოგი ფრინველი ხეებში გაეჩხირა, ზოგი წყალში ჩავარდა ან მინდორში ჩაფარფატდა.

— მიდი, კუჩა, მიდი!

— ამარია-ჰა!

— ნახე! ნახე! — როგორც სახლში ქურდების ჩურჩული, ისე ისმის ხმები ტბის სანახებში.

ჩიბუხა დიდხანს დგას გარინდული.

საღამოს ქარი წამოდგა. მზემ ჯერ პალიასტომში ჩააქცია სისხლი, მერე ზღვაში, მაგრამ მოვიდა ღამე და წაშალა მისი ნაკვალევი. ცის ხვრელებიდან ჭრიჭინებივით გამოძვრნენ ვარსკვლავები. მთვარე ბაბაჭუასავით ჩადგა შუაში. ერთხანს ღალღა გასძახოდა ველს, მელოტა გაჰკიოდა ლაქაშებში.. მერე მიწყნარდა არე და ჩამოდგა ველური, სწორუპოვარი სიჩუმე. მთვარემ ცა გაინახევრა და კეფალივით ელავდა წყალზე. — ჩაეძინა ჩიბუხას. მშვიდად ჩაეძინა დაქანცულს, ნაღვლიანს, მაგრამ თურმე არ ეწერა სიმშვიდე იმ ღამითაც. ესიზმრა:

მიფრინავდა მზიან დღეში. ფრთები დაუმძიმდა უცებ. დაიხედა და რას ხედავს: ტანზე უამრავი მორიელი დასევია, კბენენ, შხამავენ. დაბლა დაექანა ჩიტი, მიწას დაენარცხა და... გაეღვიძა.

ანკარა შემოხვეოდა მძინარს.

— სსს! სულელო, ხომ დაგიჭირე? ვიცოდი, ამ ტაფობში გიყვარს გამოძინება.

ამაოდ გაიფრთხიალა ჩიტმა. მჭიდროდ შემოგრაგნოდა გარს ანკარა.

— ნუ მომკლავ, ანკარავ! შემიბრალე!

თვალებში ჩახედა გველმა, დიდხანს უყურა მონუსხულს, მერე შემოეხსნა, მის წინ კოლბოხზე გორგალივით დაეხვია, თავი ასწია და უთხრა:

— ბედი შენი, მაძღარი ვარ. გულწითელა გეახელი წეღან.

ადგილიდან ვერ იძროდა ჩიბუხა.

— ნუ გეშინია, არ მოგკლავ. განა ორფეხა ვარ, არ მშიოდეს და მაინც მოგკლა. ოღონდ, იცოდე, მეორეჯერ არ შემიშალო ხელი ნადირობაში.

როგორც იქნა, გამოერკვა და დამშვიდდა ჩიტი. უეცარი შიშნარევი ნდობა აღეძრა გველისადმი.

— საიდან იცი, რომ ორფეხები მაძღრებიც ნადირობენ?

— სსს! — თავი შეარხია ანკარამ და მთვარის სხივთა ანაცერი აუკვესდა წვრილ თვალებში. — იქ, გადამწვარ კოლბოხებთან, ჩემს სამოსახლოსთან მიწაში მთელი ქალაქია ქუჩებით, მოედნებით, სასახლეებით. ბევრი ცხენის, ძაღლის და ადამიანის ჩონჩხია. ადამიანებიდან ზოგი ერთმანეთს გადასჭდობია, ზოგიც ცალკე გდია. ხელში ხმლები და ფარები უკავიათ. ეტყობა, ერთმანეთი დაუხოცავთ. ირგვლივ კი უამრავი ნაბაღარი და ნავენახარია. თუ შიოდათ, ეჭამათ ხილი და ყურძენი. რა აჩხუბებდათ?

— როდის ცხოვრობდნენ, თუ იცი, ანკარავ?

— დიდი ხნის წინათ. მაშინ, ალბათ, ზღვას პალიასტომი ჯერ კიდევ არ ეშვა.

— მერე? არ გაიხრწნენ?

— სულელო, ჭაობი ყველაფერს უვნებლად ინახავს.

— ეს ქალაქიც რატომ არ დაიფარება წყლით და შლამით? უშიშრად ვიცხოვრებდით მაშინ.

— ისინი ბევრნი არიან, სხვაგან გადასახლდებიან.

— საიდანა აქვთ ნეტავ ცეცხლისმფრქვეველი ჯოხები, დამაბრმავებელი წვიმები, დიდი რკინის თევზები?

— მიწის მეუფემ მისცა სამყაროს გაჩენიდან ცოტა ხნის შემდეგ, იმიტომ, რომ უბალნო, უბრჭყალო, უფარფლონი იყვნენ, არაფრის ძალა არ შესწევდათ და იღუპებოდნენ. მერე სხვა სულიერებმაც შეაწუხეს მეუფე. ის ყველას ვერ აუვიდა და ასე უთხრა: „სხეულთან შედარებით დიდ თავებს მოგცემთ და იმით იცხოვრეთო“. ამიტომაც არის, ყველაზე უძლურები ყველაზე ჭკვიანები არიან.

— რაღად ხოცავენ ადამიანები სხვებს?

— დავიწყებიათ, რომ წინათ უბალნო, უბრჭყალო და უფარფლო იყვნენ.

— საიდან იცი ეგ ყველაფერი, ანკარავ?

— ადამიანებს ჩემი და ჩემი მოძმეების ყველაზე უფრო ეშინიათ და ვძულვართ. მოძულეებმა კი ერთმანეთზე ბევრი რამ იციან. სსს! აბა, ლაქლაქის დრო არა მაქვს, ამაღამ უნდა გამოვიძინო. ძალა მოვიკრიბო. იცოდე, აღარ გამაბრაზო, ჩიბუხავ! — შავი ზოლი ბალახებში გასრიალდა.

— კეთილი ყოფილხარ, ანკარავ!

— ჰო, როცა არ მშია. სსს! — შორიდან მოისმა გველის ხმა.

ჩიბუხა კამეჩის ნაჩლიქარში ჩაჯდა და მთვარეს გახედა. ძლივს გაარჩია მწყერთა გუნდები, ნაღვლიანი ჟღურტულით რომ მიფანტელობდნენ სამხრეთისკენ. დროდადრო დიდი, ფრთებმახვილი ფრინველები შეიჭრებოდნენ მათ შორის, ბრჭყალებით დაითრევდნენ რომელიმეს და მიწისკენ გააქანებდნენ ბუმბულის ფრქვევით: მიმინოები ნადირობდნენ მთვარის შუქზე.

ეცოტავა ჩიბუხას მწყრები. გასულ წლებში ამ დროს ღრუბლებივით გადაფარავდნენ ხოლმე ფრინველები ცას, ახლა კი მეჩხრად მოდიან. ინსტინქტურად იგრძნო, ესეც ადამიანის ბრალი იქნებოდა. აბა რა იცოდა, რომ პურის ყანებში კომბაინებითა და შხამქიმიკატებითაც ნადგურდება უთვალავი ჩიტი!

აღარ დაუძინია ჩიბუხას.

დილას ზღვამ მოგზაურობა დაიწყო: ფერფლისფერი ორთქლი ცაში ავიდა, შეიკრა, გამკვრივდა და ხმელეთისკენ გამოსწია. დაიწყო წვრილი, გაბმული კოლხური წვიმა. ასე გაგრძელდა სამ დღე-ღამეს. ქარიც ამოიჭრა. პალიასტომის, ფიჩორის, შავღელის ნაპირებზე წყალი გადმოვიდა და ტყეებში შეტბორდა. თევზები გასცდნენ ჩვეულ კალაპოტებს და ბუჩქნარებში, ხეებში, ქალაქშიც კი შეცურდნენ. ქალაქში კი, კარგა ხანია, დაიფარა ქუჩები და მოედნები. ღვარმა ბევრ სახლშიც შეაღწია. ზღვა და პალიასტომის ტბა ერთმანეთს თხელი წყლით შეუერთდა და ფოთი მოტივტივე კუნძულს დაემსგავსა. მოსახლეობა შეშინდა. ყოველი შემთხვევისათვის ქალაქის აღმოსავლეთის ჭიშკართან მანქანების კოლონა მზად იყო მათ გასაყვანად.

ჩიბუხა, რა თქმა უნდა, ეწერში ვერ გაჩერდა და ფიჩორის ნაპირებთან შემაღლებულ სერზე გადაფრინდა. მდინარე ნელ-ნელა მაღლა იწევდა. ამღვრეულ-ამტუტებულ წყალს მოზრდილი ხეები მოჰქონდა. დამხრჩვალი ფრინველები და გარეული ღორის გოჭიც ჩამოატარა. ნაპირებთან მოსეირეებივით მოჯარულიყვნენ ლიანებითა და ბარდებით თმააბურძგნული ხეები და უცქეროდნენ მდინარის თავაწყვეტილ მარულას. ძანძახებში ჯოყარები ახორხლილიყვნენ.

თქაფუნი მოისმა ტყიდან და ჩიბუხამ დაინახა, როგორ გამოტოპეს სერისკენ შვლებმა. ეშვებალესილი ტახიც გამოჩნდა მოშორებით. თავაწეული იდგნენ გაწუწული, დამშეული ცხოველები და უცდიდნენ წყლის დაკლებას. აღარ კუთავდა შაშვი, პრ წრიაპებდა გულწითელა, ჭარტალა ენა გადაეყლაპა ჩხიკვსაც და ქოჩორაშლილი თხმელის კენწეროზე იბუზებოდა.

ასეთ დღეებში მდინარის ნაპირებთან მონადირეები უამრავ ალაფს მოიგდებდნენ ხელთ, გადარეული პალიასტომი რომ არ აკავებდეთ. მაინც ბედავენ ზოგნი, უმეტესად ახალგაზრდები, მოჰყვებიან ტბის პირებს ანაფოტებული ნავებით და ჟუჟავენ ფრინველ-ცხოველს (ეს ადგილები კი ამათი უკანასკნელი საბუდარია, რადგან იქ ჯერ არ ამოუშრიათ ჭაობები, არ გაუჩეხავთ ტყეები და არ გადაუწვავთ ველები). არის შემთხვევა, ტალღა იტაცებს მონადირეებს და კვირეების შემდეგ პოულობენ გაშეშებულ, დამახინჯებულ სხეულებს.

ახლაც მოესმა ჩიბუხას ძრავას გუგუნი. ისევ ის ორნი — ქერა და ხუჭუჭთმიანი ბიჭი—მოდიოდნენ ტყის სიღრმეში. როცა სერს მიუახლოვდნენ, დაფეთებული ცხოველები აქეთ-იქით მიაწყდნენ. ზოგი ტყეში შებრუნდა, ზოგი ნაპირს გაჰყვა შლიგინით. ტახმა, რატომღაც, მდინარის გადაცურვა არჩია. სწრაფად, მძლავრი ბიძგებით მიცურავდა მრისხანე ცხოველი. შეამჩნიეს. გათამამებულებმა იმით, რომ წყალში ეშვები ვერაფერს დააკლებდნენ, კატარღა გააქანეს.. დაიქუხეს თოფებმა. მოქანავე ნავიდან კარგად ვერ დაუმიზნეს და მხოლოდ ორი ფინდიხი მოხვდა ფერდში ტახს. დაიზმუვლა გაცოფებულმა ცხოველმა და მონადირეებისათვის მოულოდნელად კატარღისაკენ შეტრიალდა. ეს უკანასკნელი კი ინერციით მიცურავდა მისკენ. დაფეთდნენ, ძლივს მოასწრეს და ბეწვზე გააცალეს პატარა ნავი ღორს. მათი ბედი, რომ ხმელეთზე არ მოხდა ეს ყოველივე, თორემ ვეღარაფერი უშველიდათ. შიშდავიწყებული, ჯაგარაშლილი ტახი კვლავ მისდევდა მონადირეებს ცურვით. ამასობაში თოფები გატენეს ბიჭებმა, ქერათმიანმა მიზანში ამოიღო ცხოველი.

— არ ესროლო! — დაუყვირა ამხანაგმა. — ჩაიძირება! ხმელეთზე გასვლა დავაცადოთ.

ყავისფერი კვალი — ტალახიანი წყლისა და სისხლის ნარევი მისდევდა ღორს. ბოლოს ტახი დაიქანცა და ნაპირისაკენ გაცურდა. მონადირეებიც ხმელეთს მიუახლოვდნენ. როგორც კი ცხოველმა მიწას დაადგა ფეხი, ოთხმა ტყვიამ ტყავ-ხორციააყარა თავსა და ბეჭებზე.

დაეცა და აქოშინდა ტახი. უცებ გვერდზე გადაბრუნდა.

— გავიდეთ ნაპირზე, ანზორა, რაღას უყურებ? — თქვა ქერათმიანმა.

— ერთ ტყვიას კიდევ დავახლი. ვერ ხედავ, ჯაგარი აქვს აშლილი ზურგზე. მგონი ისევ ცოცხალია.

ყურის ძირში მოხვედრილმა ტყვიამ უკანასკნელად შეათრთოლა ღორი.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამის წაღება არ გინდა? თუ ეგერი გადაგვეყარა, ორი წლით დაემშვიდობე მერე ნაცნობ-მეგობრებს.

— ეგერს ერთი ბარკალი მივცეთ და მადლობასაც გვეტყვის.

— ვითომ?

— ეს ჩემზე იყოს. აბა, მომეხმარე.

წვიმდა და წვიმდა.

დიდხანს მოუნდნენ გატყავებას და აქნას. მერე ხორცი კატარღაში გადაიტანეს, ლაბადები წააფარეს და შინისაკენ გასწიეს.

— ერთი ამას შეხედე, როგორ წამოჭიმულა! — ხუჭუჭთმიანმა ჩიბუხაზე მიანიშნა ამხანაგს.

— დავაფასოთ?

— დავაფასოთ, რა გენაღვლება.

ორივემ ერთდროულად ესროლა და ჩიტი ადგილზევე დაემხო.

— წავიდოთ?..





# დილა 50 წლისაა

...ჯერ კიდევ არ გაგღვიძებია, თვალი კარგად არ გაგიხელია, ფრინველთა გალობა ჩაგესმის, გრძნობ შენში შემოჭრილ მზის შუქს, ყურს ხვდება რაღაცნაირი ახალი ხმა — ფოთოლცვენაა თუ წვიმის შხაპუნი, მანქანის შორეული გუგუნია თუ გაღვიძებული ცხოვრების ერთიანი ძალისხმევა? სიცოცხლის დასაწყისივითაა ყოველი დილა. ყველაფერი პირველადაა თითქოს. გაოცებს ეს წამიერება, გაკვირვებს, გაღელვებს, გაფიქრებს... რაღაც ახლებური შეგრძნება გეუფლება, იმედითა და მოლოდინით სავსე...

ასე დგება შენთვის ყოველი დილა.

ასეთ დილას, გაზაფხულის აისის ცის გახსნას ჰგავს ყოველი ქართველი პატარისათვის ჟურნალი „დილა“. შემოფრინდება შინ ეს პაწია ჟურნალი და მასთან ერთად ბავშვთან მოდის მთელი სამყარო, მირიად ფერებად აციაგებული ირგვლივეთი.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ ტრადიციებზე შექმნილი ჟურნალი იმთავითვე შეიყვარეს ბავშვებმა. „ოქტომბრელი“ (ასე ერქვა ომამდე „დილას“) გვზრდიდა ჩვენც, თქვენს მამებსა და დედებს, გვაყვარებდა სამშობლოს, ბუნებას, გვწაფავდა კითხვაში, გვასწავლიდა ადამიანის, მოყვასის სიყვარულს, სილამაზის აღქმას, სიკეთისქმედებას; ვიზეპირებდით იქ დაბეჭდილ ლექსებს, მისი მოთხრობების გმირებივით ვოცნებობდით, ჯადოსნური სამყაროს ბურანში გვხვევდნენ იქაური ზღაპრები.

განუზომელია ამ ჟურნალის ღვაწლი.

მშობლიური ენის, ქართული ასოების, ფერადი ნახატების მეშვეობით პირველად იგი წვრთნის, ათვითცნობიერებს ქართველი მოზარდის გონებას. უკვე შემდეგ, პიონერულ ასაკში იწყება სხვა ჟურნალ-გაზეთების კითხვა; წიგნიც და სხვათა ენებიც შემდეგ შემოდის ყმაწვილის გრძნობა-გონებაში. პირველი კი, იგი არის... „დილა!“

ვინ მოთვლის, რამდენ თაობას ემსახურა „დილა“ პირნათლად. ჟურნალი დროის სულისკვეთებით ცხოვრობდა მუდამ, არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ისტორიის არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენა, „დილა“ არ გამოხმაურებოდეს რაიმე ფორმით; თავისებურად, ნორჩთათვის გასაგებად არ წარმოეჩინოს იგი; მუდამ საბჭოური, ეროვნული აზრისა და იერ-ფერის ჟურნალი სამომავლოდ, პიონერულ საფეხურზე აღსასვლელად ამზადებდა და ამზადებს ნორჩებს.

დიდი ამაგი დასდო მან ქართულ მწერლობასაც. იშვიათად თუ იპოვნით დღეს მწერალს, „დილის“ ფურცლებიდან რომ არ გამოსაუბრებოდეს მკითხველს — ყველაზე სათუთ, ყველაზე ანგარიშგასაწევ მკითხველს, არ გაევლოს ამ თავისებურ მიამიტ და უმანკო „ფილტრში“...

ხშირად შეგვინიშნავს: კინოფილმის ნახვის შემდეგ ბავშვები თავგამოდებით კამათობენ მსახიობებზე მათი სილამაზითა და ოსტატობით დატყვევებულნი, და იშვიათად თუ გაახსენდება ვინმეს დამდგმელი რეჟისორი. არადა, უიმრეჟისოროდ ფილმი ვერ იფილმებდა და მსახიობთა მომხიბვლელობაც გახუნდებოდა. ასეთია დაახლოებით ჟურნალის ბედიც. მის იერსახეს აყალიბებენ, ადუღაბებენ, გეზს აძლევენ მისი რედაქტორი, მისი უჩინარი თანამშრომლები. ამ მხრივ „დილა“ თავიდან სვებედნიერი აღმოჩნდა. გემოვნებიანი, განსწავლული, ბავშვთა სულის სწორუპოვარი მესაიდუმლენი წარმართავდნენ და წარმართავენ, ჰქმნიდნენ და ჰქმნიან მას. თავად განსაჯეთ: ჟურნალის რედაქტორები იყვნენ ირაკლი აბაშიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი. ბოლო წლებში კი „დილას“ მუხრან მაჭავარიანი უდგას სათავეში.

50 წლისაა „დილა“, მაგრამ იგი მუდამ ნორჩი იქნება, თავისი მკითხველებივით უშუალო და საყვარელი.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია, პიონერები — „დილის“ ყოფილი მკითხველები — გულმხურვალედ მიესალმებიან საყვარელ ჟურნალს.

იდღეგრძელოს, კვლავაც გაახაროს პატარების გული „დილამ“.

დაბადების 60 წელი

# იოსებ ნონეშვილი



ფოტო ა. გოგოლაძისა.

გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს იოსებ ნონეშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

იოსებ ნონეშვილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოეტია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ჩვენს უკიდეგანო სამშობლოში.

ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში მოიპოვა მან საყოველთაო აღიარება. მისი შესანიშნავი ლექსი ,,სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე" ელვის სისწრაფით გახმაურდა და სიმღერად იქცა. იმ მრისხანე წლებში ჭაბუკი პოეტი მამულის დამცველთა რიგებში იდგა და ცეცხლოვანი სტრიქონებით ამხნევებდა, აღაგზნებდა თანამებრძოლებს. ხოლო მერე, როცა ქვემეხები დადუმდნენ და ძლევამოსილი საბჭოეთი დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა-განახლებას შეუდგა, სიცოცხლის უკვდავებაზე, ქედმოუხრელი ხალხის შრომითს გმირობაზე ააჟღერა თავისი ჩანგის მუდამ დაჭიმული ლარები. ფაქიზი, გულშიჩამწვდომი ლირიზმით, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით ამეტყველებული პოეტური ქმნილებებით გაამდიდრა, დაამშვენა ქართული საბჭოთა ლიტერატურა.

იოსებ ნონეშვილის პოეზია მხარში უდგას მშობელ ხალხს, აღაფრთოვანებს, საშვილიშვილო საქმეებისაკენ მოუწოდებს. მთელი მისი შემოქმედება ერთი მხურვალე საგალობელია საქართველოსი, მამულის სახელოვანი წარსულისა და ბედნიერი აწმყოსი. იოსებ ნონეშვილის ბევრი, ძალიან ბევრი ლექსი ხალხის კუთვნილება გახდა—მათ იზეპირებენ, მღერიან საწარმოებსა თუ ბაღ-ვენახებში, პლანტაციებსა თუ ყანებში, სკოლებსა თუ ოჯახებში. . . ამ ლექსებში შესანიშნავად არის ახმოვანებული თანამედროვეთა ფიქრები, ოცნებები, სულისკვეთება. განვლილი ორმოცი წლის მანძილზე არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში რაიმე მოვლენა, რომელსაც სასიქადულო მგოსანი თავისებურად არ გამოხმაურებოდეს. საკმარისია ითქვას, რომ მან, საბჭოთა მწერალთაგან ერთ-ერთმა პირველმა მიაშურა ყაზახეთის თვალუწვდენ ტრამალებს, როცა იქ ესესაა იწყებოდა ყამირის ათვისების გმირული ეპოპეა, და შექმნა ლექსების ბრწყინვალე ციკლი, რომელშიაც თვალნათლივ აირეკლა ქართველ ყამირელთა მამაცობა. იგი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, მუდამ აქტიურად მონაწილეობს ხალხისათვის სასარგებლო ყოველ წამოწყებაში.

საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი-ტრიბუნი იოსებ ნონეშვილი დაუცხრომლად იღვწის მშვიდობისათვის, ერთა შორის ძმობისათვის. კეთილი ნების მისიით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოუვლია და ყველგან კაცთმოყვარეობა, სიკეთე უქადაგია.

იოსებ ნონეშვილი ახალგაზრდობის უღალატო მეგობარი და მომღერალია. ახალგაზრდობა მისი საყვარელი თემაა. ,,ახალგაზრდობა — ვარდების თოვა და სიყვარულის ჰანგი პირველი. . ." — წკრიალებს ქალიშვილებისა და ჭაბუკების გულში. ვინ არ მოხიბლულა საამაყო ქართველი გმირი ქალიშვილის, ზოია რუხაძის ცხოვრებაზე შექმნილი პოემით ,,ამბავი ერთი ქალიშვილისა". მოზარდი თაობისადმი ღრმა სიყვარულმა შთააგონა პოეტს ყველასათვის ახლობელი, საოცრად თბილი ლექსი ,,მასწავლებელი": ,,მასწავლებელი—მშობლის ალერსით ამოქარგული ტკბილი ანბანი, მასწავლებელი — ნორჩის თვალებში ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი. . ."

იოსებ ნონეშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობის წინაშე. თორმეტი წლის განმავლობაში რედაქტორობდა იგი ჟურნალ ,,დილას" და არ დაუზოგავს თავისი ნიჭი და ენერგია ყველაზე ნორჩ მოქალაქეთა გასახარად, მათში სპეტაკი, ადამიანური თვისებების დასანერგად.

იუბილარი პოეტი ჩვენი ჟურნალის ამაგდარიცაა. ,,პიონერის" ფურცლებიდან მისი არაერთი პოეტური ქმნილება აფრენილა და მკითხველთა გული და გონება დაუპყრია. ,,სახლში, რაზმში, სკოლაში ვიყოთ დაუძრახველი, ღირსეულად ვატაროთ პიონერის სახელი!" ,,...გვიყვარდეს დედასამშობლო, დედასებრ დასაფიცარი, მათზე ფიქრით და ოცნებით გვეწვოდეს გულის ფიცარი", — ჩააგონებენ ეს ნაწარმოებები წითელყელსახვევიან გოგო-ბიჭებს და ბავშვებიც მათ ავტორს გულწრფელი სიყვარულით უზღავენ ამაგს.

იოსებ ნონეშვილი ,,პიონერის" ერთგული ჭირისუფალია, ამ ჟურნალის შემოქმედებითი კოლექტივის საიმედო თანამდგომია.

ნორჩ მკითხველებთან ერთად სულითა და გულით ვულოცავთ სახელოვან იუბილარს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პოეტური შთაგონების დაუშრეტელობას.

ჟურნალ ,,პიონერის" რედაქცია
და სარედაქციო კოლეგია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიდარის ჩანთა

ბორის კამოვი

მხატვარი
ს. ტროფიმოვი

1979 წლის იანვარში არკადი გაიდარი 75 წლის გახდებოდა. იგი ვერ მოესწრო დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის სახელოვან გამარჯვებას— გმირულად დაეცა ფრონტზე. გაიდარი საბჭოთა ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი მწერალი იყო და არის. მწერლის საინტერესო ბიოგრაფიის ერთ პერიოდს ეხება ს. კამოვის მოთხრობა-ძიება „გაიდარის ჩანთა“, რომელიც ჩვენს ჟურნალში გაგრძელებით იბეჭდება.

მ ო თ ხ რ ო ბ ა-ძ ი ე ბ ა

## ომის დამთავრებამდე საიდუმლოდ!

ლეპლიავიდან დაბრუნებულ ბაშკიროვს „კომსომოლკაში“ სტატია უნდა დაებეჭდა. მაგრამ გაზეთის 1944 წლის მეორე ნახევრის ნომრებში მისი სულ პატარა, ათსტროფიანი ცნობაც კი არ აღმოჩნდა.

გაიდარზე მხოლოდ ერთი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია იყო დაბეჭდილი 1944 წლის 30 ივნისის ნომერში სათაურით: „ბავშვები ახალ თემურს ელიან“, და მას ხელს აწერდა ჟურნალისტი ანდრეევი.

პირველი ბეჭდვითი ცნობა გაიდარის დაღუპვის შესახებ იყო ნეკროლოგი... მაგრამ რა უცნაურად იყო ის შედგენილი და მიწოდებული მკითხველისათვის: „არკადი გაიდარი აღარასოდეს არ მოუყვება ბავშვებს დავაჟკაცებულ თემურზე. იგი მეომარი იყო ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც და თავის პოსტზე მოკვდა“.

როცა „კომსომოლკის“ ყველა სტატია გმირობასა და თავგანწირვას ადიდებდა, ფაშისტებთან შეტაკებისას დაღუპულ მწერალზე ნათქვამი იყო, რომ ის „თავის პოსტზე მოკვდა“. იქნებ იყო გაიდარის სიკვდილის გარემოებებში რაღაც ისეთი, რითაც შეიძლებოდა ესარგებლა ჰიტლერულ პროპაგანდას? იყო ჩანთა. ბრეზენტისა. გაზსაწინალო. ბლოკნოტებითა და ქაღალდებით სავსე. მასთან ერთად მკვლელებმა თან წაიღეს ფოტოსურათებიანი და ხელმოწერილი მწერლური და ჟურნალისტური მოწმობები. ჩანთაში არ იყო მტრისთვის გამოსადეგი სამხედრო ცნობები. ბევრი ჩანაწერი გაიდარს გაკეთებული ჰქონდა მხოლოდ მისთვის გასაგები შიფრით. საშიშროება სხვა რაიმეში იფარებოდა...

## ზოგი რამ ფაშისტური დაზვერვის შესახებ

რა მოხდებოდა, რომ 1944 წლის 30 ივნისს „კომსომოლსკაია პრავდას“ ანდრეევის სტატიის ნაცვლად დაებეჭდა ბაშკიროვის ნარკვევი? ... გაზეთი ფრონტზე მივიდოდა. „გაიდარისთვის!“ — დაწერდნენ თავიანთ ჭურვებზე არტილერისტები, ნაღმებზე — ნაღმმტყორცნელები, ტორპედებზე — მეზღვაურები. მაგრამ იგივე „კომსომოლკა“ უცხოეთის კიოსკებშიც გამოჩნდებოდა.

დავუშვათ, რომ შვეიცარიაში გერმანიის დაზვერვის აგენტმა იყიდა ეს გაზეთი, ამოჭრა ბაშკიროვის სტატია, კონვერტში ჩადო და ბერლინში გააგზავნა. საიმპერიო უშიშროების სამმართველოს ოფიცერმა მიიღო იგი და არქივში დარეკა:

— შეამოწმეთ კარტოთეკაში, ხომ არ მოხვედრილა ჩვენთან საბჭოთა მწერლის, ახალი კომუნისტური თამაშის „თემურის“ გამომგონებლის საბუთები, ქაღალდები, ნივთები.

ჰიტლერის არმიაში არსებული საიდუმლო ინსტრუქციის თანახმად ყოველგვარი საბჭოთა დოკუმენტები, ფოტოგრაფიები, დღიურები, წერილები, რომლებსაც კი ხელში ჩაიგდებდნენ, ბერლინში უნდა გადაეგზავნათ.

შესაძლებელი იყო, რომ ობერ-ლეიტენანტს, რომელთანაც გაიდარის ჩანთა მოხვდა, როგორმე ვერ შეესრულებინა ინსტრუქცია, ანდა ბერლინში გადაგზავნილი კონვერტი გზაზე დამწვარიყო მატარებელში, რომელიც ჩვენმა ავიაციამ დაბომბა. მაგრამ თუკი ის 1941 წელს ფაშისტების დედაქალაქში მოხვდებოდა, ბაშკიროვის სტატიის შემდეგ ჰიტლერელებს შეეძლოთ მისი გამოყენება. მათ ხომ ბრწყინვალედ ჰქონდათ დამუშავებული ყალბისმქნელობის ტექნიკა.

დეზინფორმაციის განყოფილების ფოტოსამქრო სასწრაფო დავალებას მიიღებდა — მოწმობებში ჩაკრული ფოტოების საფუძველზე დაემზადებინა ჯგუფური სურათი: „რუსი მწერალი გაიდარი მეგობრულად ესაუბრება გერმანელ ბავშვებს“. ამავე დროს გრაფოლოგიურ ლაბორატორიაში გამოცდილი ოსტატი გაიდარის ხელმოწერაზე დაყრდნობით ასო-ასო დახატავდა „საბჭოთა ახალგაზრდობის სათაყვანო მწერლის მიმართვას მკითხველისადმი“. შემდეგ კი ფრონტის მთელ ხაზზე ჩამოიყრებოდა ორ მილიონამდე ფურცელი, რომელზეც ეს „პორტრეტი“ და ეს „პირადი წერილი“ იქნებოდა დაბეჭდილი.

არ შეიძლებოდა ჰიტლერელებისათვის ამგვარი პროვოკაციის საბაბის მიცემა, თორემ ფაშისტებს საშუალება მიეცემოდათ შეეგინებინათ გაიდარის ხსოვნა, ჩირქი მოეცხოთ მისი სახელისათვის.

## ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები

მაგრამ ბაშკიროვის სტატიას გაიდარის დაღუპვის შესახებ სხვა აუარებელი გამოხმაურებაც მოჰყვებოდა. მას გამოეხმაურებოდნენ ისინიც, ვინც ორმოცდაერთში არკადი პეტრეს ძესთან ერთად მონაწილეობდნენ ბრძოლებში. და, რაც მთავარია, მას შეიძლებოდა გამოხმაურებოდა ერთი მაშინდელი ბიჭი, „პარტიზან გაიდარის შიკრიკი“, როგორც მას იხსენიებს ბაშკიროვი თავის ანგარიშში. ეს ყოფილი „შიკრიკი“ ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც შეეძლო 1944 წელს ეთქვა რამე გაიდარის ჩანთის შესახებ. მაგრამ რაკი ბუტენკომ დაარწმუნა ბაშკიროვი, რომ მწერლის ქაღალდები გერმანელებთან მოხვდა, ბაშკიროვმა ხელი აიღო მათ ძებნაზე.

## ლოგიკის ძალა

... მაგრამ საიდან იცოდა ბუტენკომ, რომ ჩანთა ჰიტლერელებმა წაიღეს? თვითონ დაინახა თუ იცნობს ვინმეს, ამის მოწმეს?

— თვითონ არ მინახავს.

— ვინ ნახა, გვითხარით.

— არ ვიცი. მაგრამ გერმანელებმა რომ წაიღეს, ეს ნამდვილია. ყველა ასე ამბობს.

ყოფილი პარტიზანები ვარაუდობდნენ, რომ თუ გაიდარის დაღუპვის შემდეგ მისი ჩანთა აღარავის უნახავს, ის დაღუპვის დროს უნდა დაკარგულიყო. მაგრამ, ასე მსჯელობა არ არის სწორი. იქნებ გაიდარმა მაინც მოასწრო ჩანთის გადამალვა? ამას პარტიზანები არ ითვალისწინებდნენ.

ლოგიკა გვასწავლის, ერთი და იგივე აზრი შეიძლება ჭეშმარიტი იყოს და შეიძლება — მცდარი.

... თუ ჩანთა გერმანელებმა წაიღეს, ხელნაწერების ძებნას აღარავითარი აზრი არა ჰქონდა.

მაგრამ თუ არ წაუღიათ, მაშინ სად,

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 12, 1978 წ.

ვისთან შეიძლებოდა დაეტოვებინა არკადი გაიდარს თავისი ჩანთა 26 ოქტომბრის წინა დღეს?

## ჩანთა ხელმისაწვდომზე

აფანასია თევდორეს ასული სტეპანეცი უკვე დიდი ხანია ბებიაა, მაგრამ ცოცხლად და მღელვარედ ლაპარაკობს.

— გახსოვთ გაიდარის ჩანთა?

— მახსოვს. მოვიდოდა ბიჭებთან ერთად. ფარაჯას გაიძრობდა. ფარაჯის შიგნიდან ეკიდა ჩანთა. პირს ჩანთიანად დაიბანდა. მაგიდას ჩანთიანად მიუჯდებოდა. თუ საქმელი მზად არ იყო — ლამპას თავისკენ მიიწევდა, რვეულს ამოიღებდა და წერას იწყებდა. თეფშებს რომ ვალაგებდი, ვხედავდი: წვრილი, თანაბარი ასოებით წერდა... მერე თვალს მოავლებდა, იტყოდა — „მაპატიეთ", რვეულს ჩანთაში ჩადებდა, ჩანთას შეკრავდა და ჭამას შეუდგებოდა. ცოტას შეჭამდა. „მადლობელი ვარ, ფენია, ძალიან გემრიელი იყო", მეტყოდა და კიდევ ცოტას წაიმუშავებდა. ვახშმის შემდეგ ფარაჯას ისევ ჩანთის ზემოთ ჩაიცვამდა. უშნოდ ჰქონდა გამობერილი. ერთხელ ვუთხარი, თან რას დაათრევთ, დამიტოვეთ, როცა დაგჭირდებათ, დაგიბრუნებთ-მეთქი. გაჩერდა. თვალები მოჭუტა. მერე ჩანთიდან ფანქარი და რვეული ამოიღო. ჩანთა მოიხსნა და გამომიწოდა. „ოღონდ გაუფრთხილდით".

აფანასია თევდორეს ასული რუსულ ღუმელთან მივიდა. ჭრელი ჩითის ფარდა გადასწია და ნიში დამანახვა. სიღრმეში თუნუქის სახურავს იქით ღრმული გამოჩნდა:

— აი, იქ შევინახე.

— ახლაც იქ არის?!

— არა.

— მეორე საღამოს არავის ველოდი. ამ დროს პატარა ოთახის დარაბაზე ვიღაცამ დააკაკუნა. გაიდარი იყო. დავალებაზე მივდივართ, ჩანთისთვის შემოვირბინეო...

— მერე, მიეცით?

— აბა რას ვიზამდი. მისი არ იყო?! გამოვუტანე. გაიკეთა. ახლა ფარაჯის ზემოდან.

— ასე უფრო მშვიდადა ვარ,— თქვა, მომიბოდიშა და სიბნელეში გაუჩინარდა.

## სპირალის ხვეულა

ოპანას მაქსიმეს ძე კასიჩი ლეპლიავის ბოლოს ცხოვრობს.

იგი ყვება 26 ოქტომბრის დილაზე, როცა შეამჩნია „გერმანების" რაღაც გაუგებარი სამზადისი, და მიხვდა: „რაღაც უნდა მოხდეს". სროლის შემდეგ კი, როცა გერმანელი ჯარისკაცები წავიდნენ, შეტაკების ადგილზე მივიდა...

უკან დაბრუნებისას ფიჭვების ქვეშ დაინახა ადგილი, სადაც, ეტყობა, იმ დღეს ისვენებდნენ პარტიზანები.

— ნამწვავები ეყარა, ქონის ნაფშვენები, და იქვე, ტალახში — ჩანთა ეგდო. გაცვეთილი, გაზსაწინაღო. ავიღე, ხელში ვატრიალე, დავბერტყე. მხოლოდ თუთუნის ნარჩენები გადმოცვივდა.

... ჩანთას მაშინ აგდებენ, თუ შიგ აღარაფერია.

... სად, როდის და ვის გადასცა გაიდარმა თავისი ქაღალდები?

## რაზმის მთავარი საიდუმლო

— როგორ ფიქრობთ, აფანასია ფიოდოროვნა, შეეძლო არკადი პეტრეს ძეს თავისი რვეულები უჩანთოდ დაეტოვებინა სადმე?

— ძველ ბანაკში არ დაუტოვებია. ბრძოლის შემდეგ ჩვენთან რომ მოვიდა, ჩანთა სავსე ჰქონდა. მერხზე რომ დადგა, სკივრივით გაუნძრევლად იყო გაჩერებული.

— ახალ ბანაკში?

— აბა სადა? ის ტყე არ იცით?! ორი მიწურია და ერთი ხე მეორისაგან ათი მეტრით არის დაშორებული.

— ვთქვათ და მაინც დატოვა მიწურში, სად შეიძლებოდა წასულიყო?

— შეიძლება ბიჭებმა სხვა ნივთებთან ერთად დაფლეს სადმე.

— მაშ პარტიზანებმა დაფლეს რამე?



— აბა რა! როცა გაიდარი დაიღუპა, მეთაურმა თქვა, იატაკქვეშეთში უნდა წავიდეთო. გადამალეს ნაგანები, ტყვიები, არკადი პეტრეს ძის ტყვიამფრქვევი, თოფები. მერე მეთაურმა საკუჭნაოდან პორტფელი მოიტანა, გადმოყარა, რაც შიგ იყო — კომკავშირული და პარტიული ბილეთები, რაღაც მნიშვნელოვანი საბუთები.

— რაიმეში უნდა ჩავაწყოთ, ფენია, სკივრი მოიტანე.

მე მოვიტანე. მუხის სკივრი იყო, რკინის სალტეებიანი, სახელურებიანი. გორელოვმა ჯერ ქაღალდები ჩააწყო, მერე წიგნაკები და ჩაკეტა.

„ფენია, — ძალიან ჩუმად მითხრა მეთაურმა. — რაზმი აღარ არსებობს. ჩვენ იატაკქვეშეთში მივდივართ. მაგრამ ომია და შეიძლება ყველა დავიღუპოთ. მაშინ შენ უნდა შეინახო და გადასცე ჩვენებს ჩვენი რაზმის მთავარი საიდუმლო. ჩვენ გვინდა გითხრათ, სად არის დამარხული არკადი პეტრეს ძე.

— ეგ რა საიდუმლოა. ლეპლიავაში ყველამ იცის, სად დაფლა გზის დარაჯმა გაიდარი.

— ნუ ჩქარობ, ფენია. გერმანელებმა არკადი პეტრეს ძის პირადობის მოწმობა წაიღეს, შეიძლება ცხედრისთვის დაბრუნდნენ. ბილიკთან ყალბი საფლავის ბორცვია. როცა ჩვენები მოვლენ, ალბათ, მოინდომებენ გაიდარი მოსკოვში დაასაფლაონ. შენ გავალებთ, იმ დღემდე მიაღწიო და შეატყობინო წითელი არმიის სარდლობას, როგორ უნდა მიაგნონ ამხანაგ გაიდარის ნეშტს.

მეთაურმა ბლოკნოტი ამოიღო. დახატა ყალბი საფლავის ადგილი.

— ნამდვილი რომ ნახო, ყალბისკენ ზურგით უნდა დადგე, ისე, რომ ჯიხური მარჯვნივ დაგრჩეს და ასე მთელი მინდორი უნდა გადასჭრა. საფლავი ყველაზე დიდი ფიჭვიდან ოთხ-ხუთ მეტრზეა. დაიმახსოვრე?

მეთაურმა ფურცელი ამოხია და ლამპასთან მიიტანა. ქაღალდს ალი მოედო...

1947-ში, როცა გაიდარის გადასასვენებლად მოვიდნენ, მე კიევში ვიყავი.

მთელი მინდორი გადაეთხარათ და საფლავისთვის მაინც მიეგნოთ...

●

ასე ხდება ზოგჯერ ცხოვრებაში.

ექვსი წელიწადი უფრთხილდებოდა აფანასია თევდორეს ასული „რაზმის მთავარ საიდუმლოს“ და როცა მისი გამჟღავნება საჭირო გახდა, შინ არ აღმოჩნდა...

იქნებ ლეპლიავას მახლობელ სოფლებში იცნობდა ვინმე გაიდარს, იქნებ ვინმემ იცის რამე მისი ხელნაწერების შესახებ?

არა, ამ სოფლებში არკადი პეტრეს ძე არ ენახათ. მაგრამ ყველა სახლში, ყველა საუბარში მოისმოდა ერთი კითხვა: „მაინც ვინ გასცა პარტიზანთა რაზმი?“

... მე კოლმეურნის სახლში ვცხოვრობდი. ერთხელ გვიან ღამით კარზე კაკუნი გაისმა.

ოთახში ასე ოცდაათი წლის კაცი შემოვიდა.

— ერთი საათია მივლინებიდან დავბრუნდი. დედამ მითხრა, რომ აქა ხართ.

...ეს იყო პარტიზანული რაზმის კომისრის ვაჟი, მზვერავი გოგონას — „ყვითელი ლენტის“ ღვიძლი ძმა — ნიკოლოზ ილიაშენკო.

— რახანია თქვენი გაცნობა მინდა. აიღეთ თქვენი მაგნიტოფონები. ერთ კაცთან წაგიყვანთ. დიდი ხანი არ არის, რაც ციხიდან დაბრუნდა. ჩემი ვარაუდით, ისიც უნდა იცოდეს, ვინ გასცა რაზმი, და კიდევ გაიდარის მოკვლის ამბავიც.

... რა მომცა ძიებისათვის ცნობილ პოლიცაისთან შეხვედრამ?

უწინარეს ყოვლისა ის, რომ მან თქვა იმ ადამიანის სახელი, ვინც გასცა რაზმი — ალექსანდრე პოგორელოვი.

და თხუთმეტი წლის მანძილზე შეგროვილი ფაქტების საფუძველზე მე შევეცადე აღმედგინა იმ ტრაგიკული ღამის სურათი.

## ხაფანგი შეცდომა

1941 წლის 25 ოქტომბერს პროხოროვკის მახლობლად პარტიზანთა დროებით ბანაკში გადაწყდა, ახალ ადგილზე გადასულიყვნენ. საგზლად პროდუქტები სჭირდებოდათ. მტერთან ბრძოლაში სამი დღის წინ განადგურებულ ბანაკში შებოლილი ხორცით სავსე ტომრები დარჩათ გადამალული.

— ვინ წავა? — იკითხა რაზმის უფროსმა გორელოვმა.

ხუთი კაცი წამოდგა წინ. მათ შორის იყო გაიდარი. ბილიკმა ხუთნი პროხოროვკის ტყიდან რკინიგზასთან გაიყვანა. ლიანდაგს გადაღმა ლეპლიავა იწყებოდა. სოფლისთვის გვერდის ახვევა მარჯვნივ ტყით შეიძლებოდა, მარცხნივ კი—ჭაობის გაყოლებით. მაგრამ პარტიზანებს გათენებამდე ძველ ბანაკში მისვლაც უნდა მოესწროთ და უკან დაბრუნებაც. გარშემოვლით გზა გრძელდებოდა. და ამიტომ გზის მოჭრა გადაწყვიტეს — გვერდი აუარეს ხის ჯიხურს, სადაც ინსტრუმენტები და ხელის დრეზინა ინახებოდა, გზის დარაჯის აგურის სახლს და სოფლის განაპირას მდგომ ქოხს, სადაც პოლიცაი ცხოვრობდა.

მანამდე პოლიცაები შურისგების შიშით ვერ ბედავდნენ პარტიზანთა ოჯახების აწიოკებას, მაგრამ ტყის სახერხთან სამი დღის წინანდელი ბრძოლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. რაზმმა უკან დაიხია და მოღალატეებმა გული მოიცეს. მაგრამ პარტიზანებმა ალღო ვერ აუღეს ამ უცაბედ ცვლილებას.

## მეთვალთვალე

ლეპლიაველი პოლიცაი (ვთქვათ — მეთვალთვალე) თავის ქოხში ვახშმობდა. უგუნებოდ იყო, რადგან რაიონის მამასახლისი კოსტენკო დაემუქრა, თუ პარტიზანებს ვერ დაიჭერ, ყველა პოლიცაის გერმანიაში გავაგზავნი სამუშაოდო. ამ დროს ნაბიჯების ხმა შემოესმა, ფანჯარაზე ჩამოფარებული საბნის კიდე აჰკეცა, დაინახა რუსულ ფარაჯაში ჩაცმული ხუთი კაცი, ჩაუცმელად გამოვარდა გარეთ და ფეხდაფეხ გაჰყვა მათ. უცნობები პროხოროვკის ტყიდან მოდიოდნენ, თან ჰქონდათ მხოლოდ პისტოლეტები, ვედრო და ცარიელი აბგები.

— ტომრები, ცარიელი ვედრო... — იმეორებდა მეთვალთვალე თავისთვის. — წყალი რომ უნდოდეთ, ჭა აქვეა, მაგრამ ტომრებით წყლის წაღება ვის გაუგონია. ალბათ სურსათისთვის მიაქვთ. წამოიღებენ და პროხოროვკის ტყეში დაბრუნდებიან, ახლა, ეტყობა, აქ არიან დაბანაკებულნი...

და მეთვალთვალე რკინიგზის სადგურისაკენ გაეჩქარა. ლეპლიავა ზოლოტონოშის სარკინიგზო ტოტის ბოლო პუნქტი იყო. აქ ჯერ კიდევ მუშაობდა ტელეფონი.

— გისმენთ!

მოღალატეს ოფლმა დაუცვარა სახე...

## ტომრები ხეებზე

არც გაიდარმა, არც ლეიტენანტმა აბრამოვმა და სკრიპკინმა, შინსახკომის პოლკოვნიკმა ალექსანდროვმა და პარტიის სვირსკის რაიკომის მდივანმა ნიკიტჩენკომ არ იცოდნენ, რომ მტერმა მათ კვალს მიაგნო და მათი უკან მობრუნების დროც ზუსტად იყო გამოთვლილი.

...განადგურებულ ბანაკში მათ ცოტა შეისვენეს და თავიანთ საწყობს მიაკითხეს...

ბრძოლამდე სწორედ ერთი კვირით ადრე რაზმს აცნობეს, რომ ფაშისტებს ჯერ კიდევ არ დაერბიათ სოფელ კალენიკის ღორების ფერმა. არკადი პეტრეს ძემ შესთავაზა ამხანაგებს, ღორები მანქანით გადმოეყვანათ.

— ვის მოუვა აზრად, რომ პარტიზანები სოფელში მანქანებით დასეირნობენ! — გაიღიმა მან.

...საჭეს იგნატ კასიჩი მიუჯდა. რამდენიმე კაცი ძარაში მოთავსდა. ავტომატები და თოფები ფეხებთან თივაში დაიწყვეს.

მანქანამ აუჩქარებლად გადასჭრა ცენტრი და მშვიდობიანად ჩააღწია სოფელში.

ფერმა სოფლის კიდეზე იყო გაშენებული. დარაჯი გააუვნებლეს, მაგრამ



ოპერაცია კინაღამ ჩაეშალათ — ღორებს ცოცხლად ვერ წაიყვანდნენ და ვერც დაკლავდნენ — ჭყვირილი ატყდებოდა.

გაიდარმა პუშკინის ,,დუბროვსკი" გაიხსენა — ერთ-ერთ ღორს ყურთან მიადო პისტოლეტი. გაისმა ჩუმი გასროლა... მალე მძიმედ დატვირთული მანქანა უკან გამობრუნდა.

...ბანაკში მთელი ღამე ხორცს ბოლავდნენ, ქონს ამარილებდნენ და ტომრებით ხეებზე ჰკიდებდნენ...

ამ ტომრების წასაღებად მოვიდნენ ახლა ხუთნი.

...აბრამოვი და სკრიპკინი ხეებზე ავიდნენ და თოკები გადასჭრეს. ტომრებიდან მარაგი ზურგჩანთებში გადაიტანეს, ვედროთი ჩაი აადუღეს, სახელდახელოდ წაიხემსეს. კოცონები ჩააქრეს და გულდადინჯებულნი უკანა გზას შემოუდგნენ. სამ საათში ადგილზე უნდა ყოფილიყვნენ.

## მარათონი

ბანაკიდან გამოსვლისას გაიდარმა საათს დახედა. ზუსტად ღამის ორი საათი იყო. ლეპლიავაში ოთხ საათამდე ვერ მივლენ. მთავარია, სოფელში არავინ დაინახოს ჯგუფი. ,,პირველი დიდი შესვენება ლეპლიავას გზაყრილთან", — გადაწყვიტა მან.

... პარტიზანები დაწყლიკებულნი ბილიკს მიჰყვებოდნენ. ბილიკის პარალელურად კი, სულ ორასი-სამასი მეტრის დაშორებით გაჭრილ სოფლის შარაზე, ჟანდარმები მიდიოდნენ საზიდრებით... ისინი ერთი ადგილისკენ მიიჩქაროდნენ...

პარტიზანები ძალიან დაიღალნენ. ორი ხანმოკლე შესვენება მოაწყვეს. უკვე ლეპლიავას უახლოვდებოდნენ, რომ ხოცკიდან მომავალ გზაზე საზიდრების თვლების ხმაური გაიგონეს. ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მარათონში მონაწილეობდნენ და ეს ხმაური იმას ნიშნავდა, რომ შეჯიბრებაში ერთ-ერთი დაწინაურდა.

... ჟანდარმერიის ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევები საზიდრებიდან გადმოიტანეს და გზაყრილს უკან გადავიდნენ. ერთი ტყვიამფრქვევი პროხოროვკისკენ მიმავალი ბილიკის მარცხნივ, ბუჩქებში ჩადგეს. აქედან მოჩანდა გზის დარაჯის ჯიხური... ჰიტლერელები შეინიღბნენ, გაირინდნენ.

## გაიდარის გული

ჟანდარმთა ასეული ელოდებოდა პარტიზანების გამოჩენას რკინიგზასთან. აქვე, ტყეში უნდა დაეჭირათ რუსები, დაეკითხათ და გაეგოთ მათი ახალი ბანაკის ადგილმდებარეობა.

შვიდი საათისათვის მაშველი ჯარი მოვიდოდა, დაიწყებოდა ოპერაცია ,,ხაფანგის" მეორე ნაწილი — პარტიზანული რაზმის სრული განადგურება.

ხეებს ამოფარებული ჯარისკაცები თვალს არ აშორებდნენ მაღალ გზაყრილს, პარტიზანები კი სხვა მხრიდან გამოჩნდნენ — ბუჩქნარსა და გზაყრილს შორის მოდიოდნენ, მერე შეჩერდნენ. მძიმე ზურგჩანთები ფიჭვების ძირში დაყარეს და დასასვენებლად მოეწყვნენ.

უცებ გაიდარი წამოდგა. მან გადაწყვიტა გზის დარაჯთან, სოროკოპუდთან მისულიყო კარტოფილისთვის. ხორცი და ქონი უკვე აქვთ. პურიც დარჩათ ბანაკში. კარტოფილი კი არა აქვთ, და ტყეში ვერც ვერსად იშოვნიან. სოროკოპუდი კი აქვეა.

ოფიცერი თვალს ადევნებდა... და უცებ გაახსენდა, რომ საზიდარი იდგა მახლობლად. მაღალ-მაღალმა რომ დაინახოს — ყველაფერი ჩაიშლება.

მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. როცა არკადი პეტრეს ძე გზაყრილზე ავიდა, ჯარისკაცმა, რომელიც ტყვიამფრქვევის ლულას არ აშორებდა მას, შემთხვევით კონდახი სამარაგო ვაზნების კოლოფს გამოსდო და რკინამ რკინაზე გაიწკარუნა.

არკადი პეტრეს ძე მაშინვე მიხვდა, რას ნიშნავდა ეს: მტერია ჩასაფრებული, მაგრამ ცეცხლი არ გახსნა, უნდა ცოცხლად შეიპყროს პარტიზანები; ფაშისტები მიხვდნენ, რომ რაკი თავი გასცეს, ოპერაცია შეიძლება ჩაიშალოს, ამიტომ მზად არიან, რადაც უნდა დაუჯდეთ, გამოასწორონ შეცდომა და ახლა იმას ელიან, ის როგორ მოიქცევა.

ჯერ კიდევ მოასწრებს, გზაჯრილს უკან გადახტეს, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ამხანაგები დაღუპოს... და გაიდარი მისთვის შესაძლებელ ერთადერთ გადაწყვეტილებას იღებს.

— ბიჭებო, გერმანელები!

...ტყვიამფრქვევის ჯერმა გაგლიჯა ჰაერი. ტყვია პირდაპირ გულში მოხვდა გაიდარს. და მაშინვე ბილიკს გადაღმიდან გადმოცვივდა იმ ოთხის მიერ ნასროლი ხელყუმბარები. ოფიცერი და ჯარისკაცები მიწას გაერთხნენ. როცა ხმაური მიწყდა, ფიჭვების ძირში აღარავინ იყო. ოპერაცია „ხაფანგი“ ჩაიშალა...

### შემობრუნება

მოსკოვში დაბრუნების დრო იყო.

სად და ვის დაუტოვა გაიდარმა თავისი ნაწერები, მე წინანდებურად არ ვიცოდი. უხალისო იყო გამოსათხოვარი ვახშამი აფანასია თევდორეს ასულის ქოხში.

— მაინც ვისთვის შეეძლო მიეცა გაიდარს თავისი რვეულები?

— საიდან უნდა ვიცოდე, რას აკეთებდა, ვისთან სვამდა ჩაის ხოცკაში და კომაროვკაში თუ გელმიაზევსა ან კალებერდაში? — მომიგო დიასახლისმა და უცებ შეჩერდა. — იქნებ შვაიკოს ოჯახს გადასცა?

პირველად გვარი „შვაიკო“ ბაშკიროვის მოხსენებით ბარათში შემხვდა. „კანევსკის რაიონის სოფელ მიხაილოვკაში... — ეწერა იქ, — მე შევხვდი მეტყევე შვაიკოს ცოლს, რომლის შვილიც პარტიზან გაიდარის შიკრიკი იყო. პოლკოვნიკი ორლოვიც იხსენებდა თავის ჩანაწერებში ხანში შესულ მოკრძალებულ კაცს — მიხეილ შვაიკოს, რომელიც პარტიზანულ რაზმში გადასვლამდე პოლკოვნიკს და მის ამხანაგებს სურსათით ამარაგებდა. ორლოვის ჩანაწერებში საგანგებოდ იყო აღნიშნული: „მეტყევის შვილები — ვასია, ვალოდია და პატარა ოლია ძალიან გვეხმარებოდნენ, არკადი პეტრეს ძე უცბად დაუმეგობრდა ბავშვებს, მეტადრე ვალოდიას, რომელიც გაიდარს არ სცილდებოდა და ამიტომ ჩვენ „ადიუტანტი“ შევარქვით“.

...კიევში ორლოვს დავურეკე.

— ალექსანდრ დმიტრიევიჩ, როგორ ფიქრობთ, შეეძლო არკადი პეტრეს ძეს თავისი რვეულები მეტყევისათვის დაეტოვებინა?

— შეეძლო, — მითხრა პოლკოვნიკმა. — მეც მივეცი მიხეილ ივანეს ძეს შესანახად ჩემი პლანშეტი. საიდუმლო ქაღალდების მთელი შეკვრა მქონდა თან. ფრონტის ხაზის გადაჭრა რომ გადავწყვიტეთ, გაიდარმა მითხრა: „ნუ მიგაქვთ პლანშეტი. მეტყევეს დაუტოვეთ“. მეც ასე მოვიქეცი.

— მერე ხომ დაბრუნდით ლეპლიავაში?

— რა თქმა უნდა. ორმოცდაოთხში. მაგრამ მიხეილ ივანეს ძე ცოცხალი აღარ დამხვდა. პოლიცაებს მოეკლათ. ბიჭები გერმანიაში გაეგზავნათ. ცოლი და გოგონა მიხაილოვკაში გადასულიყვნენ. მოვძებნე ისინი და ჩემი ჯილდოები დამიბრუნეს. პლანშეტი კი აღარ დამჭირდებოდა. იმ დროისთვის დატოვებულ საბუთებს ფასი ჰქონდათ დაკარგული.

ორლოვის ცნობაში იმედის მომცემი იყო ის, რომ პლანშეტი მან არკადი პეტრეს ძის რჩევით დატოვა. გაიდარი კი არავის არ ურჩევდა იმას, რასაც თვითონ არ გააკეთებდა.

მაგრამ სად ცხოვრობს ახლა შვაიკოს ოჯახი? რა დაემართათ ბიჭებს, რომლებთანაც გაიდარი მეგობრობდა?

### გაცნობა

...შვაიკოს ოჯახი ლვოვში ცხოვრობდა.

კარი ხნიერმა ქალმა გამიღო. ეს ანა ანტონის ასული იყო. ხელი ჩამომართვა და ოთახში შემიძღვა.

...მე მეგონა, თვითონ მოიგონებდა გაიდარის რვეულებს, მაგრამ მისი თავისთავად მეტად საინტერესო ნაამბობი არა და არაფრით არ უახლოვდებოდა ხელნაწერებს.

მე ვერ მოვითმინე:

— გახსოვთ გაიდარის ჩანთა?

— რა თქმა უნდა, — მყისვე გამომეპასუხა ანა ანტონის ასული, — ჩანთა მუდამ მხარზე ეკიდა.

— ორლოვმა მითხრა, რომ გაიდარის რჩევით მიხეილ ივანეს ძისთვის თავისი პლანშეტი დაუტოვებია და ვიფიქრე...

— ბევრ რამეს უტოვებდნენ: იარაღს, რუკებს, მეთაურების ან შინაურების წერილებს.

— მერე სად ინახავდა?

— არ ვიცი, ჯერ მწნილის გასაკეთებელ შუშის ქილებში აწყობდა და მიწაში ფლავდა. ვასია ეხმარებოდა. მერე კი თვითონ, მარტო. სად — არ ვიცი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ვაშა, იხაროს ბუნებამ!

„... ხევი მთას ჰმონებს,
მთა — ხევსა,
წყალნი — ტყეს,
ტყენი — მდინარეთ,
ყვავილი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ“

ვაჟა-ფშაველა



## ხილთა ქება

ხილი ქართველი კაცისათვის ფუფუნების საგანი როდია, იგი მისი კვების რაციონის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. დადასტურებულია, რომ ხილის ზოგიერთი სახეობა მსოფლიოში საქართველოდან არის გავრცელებული. შარდენი წერდა: „საქართველოში ხილიც ძალიან იცის, ყოველგვარი ხილეულობა მოდის, ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი“. VI საუკუნის ისტორიკოსი პროკოფი

ძვირფასო ბავშვებო, ალბათ ყოველმა თქვენთაგანმა იცის ეს ჭეშმარიტება — თუ გინდა სამშობლო მარად ლამაზი იყოს, მის ბუნებას მოვლა-პატრონობა სჭირდება. თანაც, მარტო იმის დაცვა, რაც დღეს შემოგვრჩა, საკმარისი არ არის. ადამიანი ოდითგანვე სარგებლობდა ბუნების სიკეთით, თვითონვეა მისი ღვიძლი შვილი, მაგრამ ხშირად უდიერად ძარცვავდა მას, სამაგიეროს კი არაფერს უბრუნებდა. დღეს ჩვენი ბუნება იმ ზომამდეა შელახული, რომ მომავლის გაუთვალისწინებლად მისი ხელის ხლება უკვე დანაშაულია მომავალი თაობების წინაშე.

ოცდამეერთე საუკუნე რომ დადგება, თქვენ ოცდაათ წელს იქნებით გადაცილებულნი, მაშასადამე, ქვეყნის მოვლა-პატრონობა თქვენი და თქვენი შვილების ვალი იქნება. ბუნებისმეტყველების წინაშე ახლაც უზღვავი პრობლემებია წამოჭრილი, კიდევ უფრო მეტი საზრუნავი გექნებათ თქვენ და თქვენ შვილებს. ამიტომ ბუნებასთან სიახლოვე, მისი სიყვარული (დიდი სიყვარულის გარეშე დიდი საქმე არასოდეს გაკეთებულა), ამთავითვე უნდა შთაუნერგოთ თავს. ბუნების ღრმა ცოდნაა საჭირო.

ამას წინათ 60 წელი შესრულდა, რაც ჩვენს ქვეყანაში ნატურალისტთა მოძრაობა დაიწყო. ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა საქართველოს ნორჩ ნატურალისტთა დიდი შეკრება. ბევრი საინტერესო რამ უამბეს ბავშვებმა ერთმანეთს, უყვებოდნენ, თუ რას აკეთებენ თავიანთ ნაკვეთებში, კოლმეურნეობებში, როგორ უვლიან, ამრავლებენ კულტურულ მცენარეებს.

„პიონერმა“ გადაწყვიტა, რომ თავყრილობის რამდენიმე მონაწილე რედაქციაში მოეწვია, რათა მკითხველთა დიდი მასა (ჩვენი ტირაჟი ხომ 150.000-მდეა) გაცნობოდა ბუნების მოყვარულ თანატოლთა სახელოვან საქმეებს. ცხადია, მათი ნაამბობი სრული არ იქნება, საჟურნალო წერილის შესაძლებლობა შეზღუდულია, მაგრამ მაინც, თუ გულდადებით ჩავუკვირდებით აქ დაბეჭდილ სტრიქონებს, მივხვდებით, რა მხურვალედ უყვართ ბუნება ბავშვებს, როგორ არიან შესისხლხორცებული მასთან. იქნებ მათმა ნაამბობმა ბევრ თქვენგანს შეაღებინოს კიდეც საოცრებით სავსე, უაღრესად მიმზიდველი „ბუნების კარი“.

კესარიელი აღნიშნავდა: მესხეთის მკვიდრთ, თემის მთა-გორიანობის მიუხედავად, თავიანთი შრომა-გარჯით ვენახიც და ნაყოფიც საკმაოდ აქვთ გაშენებულიო. X–XI საუკუნეში საეკლესიო გადასახადს თურმე ხილზედაც ახდევინებდნენ. თურქეთის ბატონობის დროს მესხეთის ხილი იგზავნებოდა თურქეთის სულთანის კარზე.

მესხეთში მრავალი ჯიშის ვაშლი და მსხალია გავრცელებული მრავალსაუკუნოვანი ბუნებრივი შერჩევის გზით. მათი უმრავლესობა შეუსწავლელია და ბევრი უკვე გადაშენების გზაზეა დამდგარი. ძველი, თითქმის ასწლიანი ნარგავები თანდათან ნადგურდება და ზოგიერთ უძვირფასეს ჯიშს სამუდამო დაღუპვა ემუქრება.

ჩვენი სკოლის ნორჩ მეხილეთა წრემ, რომელსაც კ. თათეიშვილი ხელმძღვანელობს, სკოლის ნაკვეთზე ძვირფასი ჯიშების შენარჩუნების გზით სცადა გადაშენების გზაზე დამდგარი ზოგიერთი ჯიშის გადარჩენა. ასეთებია, მაგალითად; ნანა მსხალი (ანუ ბებიას მსხალი), სესელა, გოგრა მსხალი, მიხრიკი, ნანაზირი, თავრიზული... ვაშლების ჯიშები: მაჰალმა—მეფის ვაშლი, სობა, შაქარა, ბოსტანა და სხვ.

ყველა ეს ჯიში, მათი ადგილ-მდებარეობა ცალ-ცალკე გვაქვს აღწერილი. დაგაინტერესებთ? პრაქტიკულად თუ მოხერხდება, შეგვიძლია დასამყნობი ყლორტები მოგაწოდოთ, დამერწმუნეთ, არ ინანებთ.

ახლა ჩვენი მიზანია, სანერგეში გავამრავლოთ და შემდეგ სხვაგან გავავრცელოთ მესხური ხილის ის ენდემური ჯიშები, რომლებიც სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ჯერ არ გაგვაჩნია. ეს ხეხილი ადიგენის, ახალციხის, ასპინძის რაიონებში თითო-ოროლაღაა შემორჩენილი და დაუყოვნებლივ უნდა გადარჩენა. ჩამოვთვლით მათ: ვაშლი—ყარაფილა, შაქარ-ნაბადა, მახარა, მსუქანა, აჭარულა, ქონა-ვაშლა და სხვ.

მსხალი: სამარიობო, თეთრი მსხალი, წითელგვერდა, გრძელი მსხალი, სანთელა, კვირისთავა (აქ გავიგე, რომ ლეჩხუმშიც ყოფილა შემორჩენილი), თაფლა, ბოსტანა და სხვ.

**კოტე თათეიშვილი,**

**ადიგენის რაიონი, სოფელ არდის საშუალო სკოლა.**

## პირველყოვლის ყურძენს

## ვაქებ...

მევენახეობას საქართველოში უხსოვარი დროიდან მისდევენ. მისი მნიშვნელობა ქართველი კაცისათვის განუზომელი იყო მუდამ და ასევეა დღესაც. ვაზი უყვარდათ ჩვენს წინაპრებს, ვაზი შემიყვარდა მეც და სწორედ ამან გადამაწყვეტინა მეწარმოებინა ფენოლოგიური დაკვირვებები ლეჩხუმში გავრცელებულ უძველეს ვაზის ჯიშებზე: უსახელოურზე, ალექსანდროულზე, ცოლიკაურზე, ნაკუთნოულზე და ოჯალეშზე.

უსახელოური ერთ-ერთი საუკეთესო წითელნაყოფიანი ჯიშია, იგი მხოლოდ ლეჩხუმში ხარობს, ახლა რამდენიმე სოფელშიღაა შემორჩენილი. ესენია: ოფიტარა, ოყურეში, მახურა, ზუბი, ისუნდერი.

უსახელოურის ყლორტი სუსტად



შებუსულია. მესამე და მეორე ფოთოლი ღია ბრინჯაოს ფერისაა, ყლორტი—მიწველი, ერთწლიანი რქა—მოყვითალო-მიხაკისფერი. მუხლთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის ფოთოლი მომრგვალოა, სამნაკვთიანი, მტევანს ცილინდრის ფორმა აქვს, მარცვალი მომრგვალოა, საშუალო ზომისა, სიგრძე 5-6 მმ.

ბარე სამი წელია ვაკვირდები მის ბიოლოგიურ ფაზათა ცვლილებას. კვირტი აპრილში ეშლება, ყვავილობს ივნისის პირველ რიცხვებში, მწიფს აგვისტოს მეორე ნახევარში. სხვა ჯიშებისაგან განსხვავებით უსახელოური პირველ მოსავალს 5-6 წლისა იძლევა. სამწუხაროდ, მცირე მოსავლიანია (ეტყობა, ამან განაპირობა მისი გადაშენება).

უსახელოურიდან უიშვიათესი ღვინო დგება. იგი საოცრად მდიდარია შემადგენლობით: ალკოჰოლი 10°-დან 13°-მდე აღწევს, შაქარი ტკბილ ღვინოებში 6%, გლიცერინი 7% და სხვ.

ასევე უნიკალური ჯიშია ჩვენში გავრცელებული ოჯალეში (სამეგრელოა მისი ძირძველი სამშობლო, მაგრამ ახლა ლეჩხუმში უფრო ხარობს). ოჯალეშით ცნობილია სოფლები: ორბელი, ცაგერი, უსახელო, უცხერი...

...ვაზი გავსხალი, ნიადაგში სასუქი შევიტანე (აზოტი — ყვავილობამდე და ყვავილობის შემდეგ). ვაზი ხუთჯერ შევწამლე, პირველად 20 მაისს, ოჯალეში კალმით გავამრავლე. ყლორტის მონაჭერი ისე ჩავრგე, რომ ორი კვირტი დარჩა მაღლა. ასე განვითარდა ვაზი... განსაკუთრებით მეამაყება ვაზის გავრცელების რაიონული რუკა, რომლის შედგენას დიდი დრო მოვანდომე.

ჩემი დაკვირვებებით მევენახეობის საკვლევ ინსტიტუტში დაინტერესდნენ.

**ქეთინო ხვადაგიანი,**

**ცაგერის საშ. სკოლა, VIII კლასი.**



ნარგიზა ხასია და ელგუჯა მარღია ერთმანეთს უზიარებენ შეკრებაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს.

## ხეო ნარინჯოვანო

ყინვა იდგა ჩვენში 1974-75 წლის ზამთარში. კვლავ დაზიანდა ციტრუსები. ხომ რთული ამბავია, მაგრამ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა, რაც კი ცოდნაა დაგროვილი ამ დარგში, ანუ გაგვეგო, რატომ ვერ უძლებს ყინვას ციტრუსი და როგორ შეიძლება ყინვაგამძლე გახდეს. ჩვენი მიზანი იყო დინამიკაში შეგვესწავლა ზოგიერთი ფიზიოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ფერმენტ კატალაზას აქტივობა მცენარის ფოთლებში. საცდელ მცენარეებად ავიღეთ მანდარინი „უნიშუ“, ფორთოხალი „ვაშინგტონი ნაველი“, ლიმონი „ახალი ქართული“. მათი ბიოლოგიური თვისებები მეტად ართულებს ყინვაგამძლეობის პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ შეგუების რაღაც ნიშნები მათ მაინც აქვთ. ამათგან ყველაზე გავრცელებული სახეობაა მანდარინი „უნიშუ“. ნაყოფი ჩვენში მწიფდება ოქტომბრის მიწურულს. ფორთოხალთაგან აქ ყველაზე უფრო ხარობს ჭიპოვანი ფორთოხალი. დანარჩენი (რამდენიმეს გამოკლებით) თითქმის ვერ მწიფდება.

ცდებისა და დაკვირვებების შედეგად შევადგინეთ ცხრილი, სადაც მოცემულია ფერმენტ კატალაზას აქტივობა ამ ციტრუსთა სახეობებში. დადასტურდა, რომ კატალაზა დამცველ როლს ასრულებს, ხელს უწყობს წყალბადის ჩქარ დაშლას უჯრედებში. ისიც შევისწავლეთ, რომ კატალაზას შეუძლია იმოქმედოს ფოტოსინთეზის პროცესებზე. საჟურნალო წერილში ყველაფერს ვერ გადმოგცემთ. მთავარი სამუშაო წინა გვაქვს. ვფიქრობთ, გავაღრმაოთ ჩვენი ცდები, კიდევ უფრო ჩავწვდეთ მცენარეთა საიდუმლოს, ხოლო შემდგომ ციტრუსთა აგრონომიას ინსტიტუტში დავეუფლოთ. ჩვენი შორეული მიზანია, ისე შევისწავლოთ ეს საქმე, რომ ფრთები შეესხას ჩვენს ოცნებას — შევქმნათ ყინვაგამძლე ციტრუსები.

**ნარგიზა ხასია,**

**ხობის 1-ლი საშ. სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრი.**

## ჩაის ქება სად არ თქმულა

1974 წელს ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრებს ბიოლოგიის მასწავლებელი გვესაუბრა ჩაის კულტურაზე, მის ისტორიაზე, მის გავრცელებაზე საქართველოში. ის დღე იყო და გულში ჩაგვივარდა ფიქრი: მოდი, ჩვენი ხელით გავაშენოთ პატარა ნაკვეთი, მოვუაროთ და ფოთოლიც ჩვენვე მოვკრიფოთ-თქო. სკოლის ნაკვეთზე მაშინ ჩაი არ იყო, სიმინდი ითესებოდა. შევუდექით შრომას. ჩაის მოსავლიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ნაკვეთზე ახარებ მას და როგორ დაამუშავებ ამ ნაკვეთს. შევარჩიეთ ტალღისებრ ზედაპირიანი ადგილი. ეს იმიტომ, რომ წყალს საწრეტი ექნეს და ფესვებში არ დაგუბდეს. ნიადაგი ღრმად დავამუშავეთ (45-სმ სიღრმეზე) — მიწა რაც შეიძლება უნდა გაფხვიერდეს, ეს სარეველას მოსპობასაც უწყობს ხელს. მიწა ორი ბარის პირზე ამოვიღეთ, მწკრივთა შორის მეტრნახევრიანი არე დავტოვეთ. თითოეულ ბუდეში შვიდ-შვიდი თესლი ჩავრგეთ. მახსოვს, ამ საქმეს 1974 წლის 19 ნოემბერს მოვრჩით. ჩაის თესლი 1975-ის ივნისში აღმოცენდა. ამოვიდა ზოგან 3, ზოგან 4 ყლორტი. ახალგაზრდა პლანტაციაში მთელი წლის მანძილზე შეგვქონდა ორგანული და მინერალური სასუქი. თავის დროზე ვთოხნიდით. ჩაი პირველად 1976 წელს გავსხალით, მერე 1977-ში, მაშინ ბუჩქი უკვე 40 სმ სიმაღლისა იყო. შარშან დაგვიდგა ნანატრი დრო — მოვკრიფეთ პირველი ნაყოფი — 500 კგ „მწვანე ოქრო!“

ასე იხეირა ჩვენმა პატარა პლანტაციამ. თვალს ახარებს მისი ხასხასა სიმწვანე. იკითხავთ ალბათ, შემდგომ რას აპირებთო. გიპასუხებთ: ჩაის ბუჩქმა ისე შეგვაყვარა თავი, რომ ჩვენი ნაკვეთი აღარ გვეყო და უკვე

წლეულს კოლმეურნეობის ფართობზეც 9,8 ჰა პლანტაცია გავთოხნეთ, გავსხალით და 75 ტონა ჩაი მოვკრიფეთ. ასევე გავაგრძელებთ. დარწმუნებული ვართ, ბევრი ჩვენგანი ჩაის მომავალშიც ველარ „უღალატებს“.

ელგუჯა მარღია,
წალენჯიხის რაიონის ლიის საშ. სკოლა,
IX კლ.

## საქართველოს მიწა რადგან საშვრედ გაჩენილა...

1977 წლის სექტემბერში ბიოლოგიის წრის სხდომაზე დაგვინაწილეს თემები. მე დამევალა დავკვირვებოდი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მსვლელობას მოსავლის აღებიდან — აღებამდე. დაკვირვება დავიწყე 1977 წლის ოქტომბერში და შარშან, ოქტომბერშივე დავამთავრე.

1977 წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ წარმატებით დაამთავრა რთველი. გეგმით 6000 ტონა ყურძენი უნდა დაგვეკრიფა, სინამდვილეში კი 7442 ტონა მივიღეთ, კოლმეურნეობას 970 ჰა ვენახი აქვს, აქედან მსხმოიარეა 677 ჰა. იმთავითვე გაჩაღდა საშემოდგომო მუშაობა. ოქტომბრიდან ნოემბრამდე მიმდინარეობდა თოხნა-კულტივაცია და სასუქების შეტანა, სხვლამ გვიან შემოდგომიდან დეკემბრის ბოლომდე გასტანა, ამ საქმეს მამაკაცების მარჯვენა ვერ აუვიდა და ქალებიც ჩადგნენ ზვრებში, შემდეგ შეკეთდა სარ-მავთული, დაიწყო ვაზის დაკავება, თოხნა-კულტივაცია, აზოტოვანი სასუქების შეტანა, აპრილის მიწურულს დადგა მწვანე ოპერაციების დრო. მაისში დაიწყო აბლაბუდმკეთებელი ტკიპის წინააღმდეგ ბრძოლა, კელენითა და „ბი-58-ით“, (ცინებთან ერთად) ეს იყო პირველი წამლობა. მეორე და მესამე წამლობა ბორდოს სითხით ჩატარდა. მეოთხეჯერ ვაზი ყურძნის ჭიის საწინააღმდეგო ფოზილონითა და ისევ „ბი-58-ით“ შეიწამლა, მეხუთედ და მეექვსედ — კვლავ ბორდოს სითხით, მეშვიდედ კი — ძირითადად ქლოროფილით. სხვადასხვა დროს 3-ჯერ შევაფრქვიეთ გოგირდი. მაისის თვეში დაიწყო პირველი ფურჩვნა. ივნისის მიწურულს ჩავატარეთ პირველი „ცის გახსნა“, ხოლო ივლისის დასასრულს — მეორე.



და აჰა, 13 სექტემბრისათვის, როგორც იქნა ჩაშაქრდა ნაყოფი, დადგა „რთველი 78“.

კრეფაზე ქუდზე კაცი გამოვიდა, წაიკაპიწა დიდ-პატარამ მკლავები. გაასწორა დღე და ღამე. 8000 ტონა! დიახ, 8000 ტონა ყურძენი მოვიწიეთ წლეულს.

აქ ფრაგმენტულად აღვწერე მევენახეთა საქმიანობა. რა ვიცი, ამის მიხედვით წარმოიდგენთ, მიხვდებით კი ის ბავშვები, ვისაც ასე არ გიშრომიათ, რა შრომა-გარჯაა, რა ჭაპანწყვეტაა ვენახის მოვლის ყოველ პროცესთან დაკავშირებული? ოფლდაცვარული შუბლი, მზე-ქარით დაშაშრული სახე, ტყვიასავით დამძიმებული ფეხები... და მაინც, თურმე ეს ყველაზე უგემრიელესი, ყველაზე სასიამოვნო შრომაა. შრომა და შემდეგ მისი ნაყოფის მომკა.

ვაზი იყო კახელი კაცის სარჩო, ვაზსავე ვენაცვალებით ჩვენც, როცა საშუალო სკოლას დავამთავრებთ და მევენახეები გავხდებით.

„მაშ დიდება, ძველო ვაზო,
სიხარულო აწინდელო —
ხარისთვალავ, ბუდეშურო,
ძელშავო და რქაწითელო“.

მაყვალა გარამაშვილი,
გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშ. სკოლა, IX კლასი.

მასალა მოამზადა
ზურაბ ლეშკაშელმა




# ზნეობის ანბანი

## გატაცება —

**მხურვალე დაინტერესება, საქმისათვის, გრძნობისათვის თავდადება; რაიმეს მიმართ გაძლიერებული, ყოვლის მომცველი ინტერესი.**

ხშირად გაგვიგონია: შეხედეთ ამ კაცს, რა შრომისმოყვარეა, როგორი თავდადებული — სამსახურის შემდეგაც კი, სახლშიც სულ რაღაც ამოცანებს ჩაჰკირკიტებს. ასეთი გატაცებული ადამიანისათვის ეს შრომა სრულიადაც არ არის სამძიმო, რადგან იგი მშვიდია, როდესაც მუშაობს, უსაქმურობა კი მისთვის ნამდვილი წამებაა.

მე ვიცნობ ერთ ექიმს, რომელიც მეცნიერულ მუშაობას ეწევა. მისთვის უინტერესო კინოფილმის ნახვა თუ სტუმრად გატარებული მოსაწყენი საღამო ერთნაირი სატანჯველია. „რამდენი რამის გაკეთება შემეძლო“, — ფიქრობს იგი და ეს დრო უსასრულოდ გრძელი და ფუჭი ეჩვენება. მას არ სჭირდება საკუთარი თავისათვის ძალდატანება, ნებისყოფის დაძაბვა, რომ ქირურგიაზე სამეცნიერო სტატია დაწეროს ანდა ერთხელ კიდევ მოინახულოს ავადმყოფი. ეს საშიშროება მას არ ელის, რადგან ამ საქმის კეთება მისთვის ბედნიერ მოთხოვნილებად ქცეულა.

ალექსანდრე ბორისის ძეს თითქმის არ უხდება ისეთი საქმის კეთება, რაც გულით არ სურს. საოცარი

ის არის, რომ ამით მას ენერგია უორკეცდება, რადგან გატაცებული ადამიანი იმახვილებს დამკვირვებლობას, ყურადღებას, მეხსიერებას, მთელ თავის სულიერ თვისებებს. თუ ნებისყოფის დაძაბვა ხშირად ქანცავს ადამიანს, გატაცება, პირიქით, მას ძალას ჰმატებს. არა საკუთარ თავზე ძალადობა, არამედ სულის ბედნიერი შრომა!

ის ადამიანი კი, რომელმაც ვერ მიაგნო თავის საყვარელ საქმეს, ანდა საკუთარ თავში ვერ გამოიმუშავა ინტერესი რაიმეს მიმართ, უბედურია. შეიძლება არ გიყვარდეს გეოგრაფია ან ქიმია ან ამ საგნებს ცუდად სწავლობდე, მაგრამ თუ შენ ყველა საგანს ცუდად სწავლობ, თუ ვერაფრით ვერ დაინტერესდი — მაშასადამე, შენი საქმეა ცუდად.

არიან ოჯახები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის გრძნობას ემყარებიან. უფროსებს აქ არაფერი აქვთ სალაპარაკო, ბავშვები მოწყენილები არიან, აქ შეიძლება არც იყოს ჩხუბი, ურთიერთობათა გარკვევა, აყალმაყალი, მაგრამ ასეთ ოჯახებში არც ხალისიანი ხუმრობა ისმის, არც ალერსიანი შერიგება ხდება. მშობლებს არა აქვთ საერთო ინტერესები, გატაცება. ასეთ ოჯახში გაზრდილი ადამიანი უცხვირპიროა. თუ მას ბედმა გაუღიმა და ცხოვრებაში შეხვდა მეგობარი, გულიანი, ალერსიანი, ნაზი, იგი უსათუოდ წლების მანძილზე მოუნდება ასეთი კაცის აღზრდას, მისი გულჩათხრობილობის, გულცივობის დაძლევას. ვიღაცას უთქვამს, სიყვარული არაფრის გარანტია არ არის, გარდა ერთისა — ამ სიყვარულისათვის ბრძოლისაკენ სწრაფვისა. გიყვარდეს — ეს ნიშნავს გატაცებას და არა მოთხოვნას, ეს ნიშნავს გატაცებით ცხოვრებას.

...მოსკოვში ერთი ბებია ცხოვრობს, გამხდარი, ჩია მოხუცი, ოთხი შვილიშვილის ბებია. თვალები დღემდე ყავისფერი ხოჭოებივით უბრწყინავს.

— მიშა, რას სწავლობ?

— ფიზიკას, — უხალისოდ უპასუხებს მიშა. — ელექტროგამტარებს.

—უი, რას ამბობ, როგორი საინტერესოა! მთელი ცხოვრება გავლიე და მაინც არ ვიცი ამ ელექტრობის კანონები. მოდი, გეთაყვა, ჩემთან სამზარეულოში და ამიხსენი.

მიშაც მიდის და იქ კითხულობს.

ნახევარ საათში სამზარეულოდან გამოსული ბებია უკვე საკერავ მანქანას უზის. ვანია ამ დროს გეოგრაფიას სწავლობს.

— მოდი, სამხრეთ ამერიკა ვითამაშოთ, ეუბნება ბებია. — შენ სახელმწიფოები დაასახელე, მე კი მათ დედაქალაქებს გამოვიცნობ; აბა, დაიწყე!..

ასე სწავლობენ გეოგრაფიას.

მეორე დღეს ბებია მეორე სახლში მიდის, ახლა შვილიშვილ ნატაშასთან. იქაც იწყება საინტერესო საუბარი იმაზე, თუ ვინ იყო უკეთესი გუშინ ფიგურულ სრიალში; საუბარი საესტრადო სიმღერებზე, რადგან გოგონა უკვე მე-10 კლასშია და სულ ახალ-ახალ სიმღერებს ისმენს. ბებია არ იცნობს ამ სიმღერებს, მაგრამ ინტერესით ეკითხება ნატაშას და ისიც სიამოვნებით უხსნის.

— აბა, შენ რა იცი ზანგური მუსიკისა, ბებო! ელლა ფიტცჯერალდი! — ეს ხომ სასწაულია!..

ბებია ნატაშასთვის მეგობარია. არც შეგონებები, არც ბუზღუნი. მას ყველაფერი აინტერესებს და მოსმენის ისეთი უჩვეულო უნარი აქვს, რომ გინდა ყველაფერი უამბო.

სწორედ მას, ბებიას უამბობენ სამსახურიდან მოსული მისი შვილები, როგორ მუშაობენ დისერტაციაზე, უამბობენ თავიანთ წარმატებებზე, წარუმატებლობებზე, ოჯახურ უთანხმოებაზე. ეს ხშირად ოჯახის სხვა წევრთა უკმაყოფილებასაც იწვევს, მაგრამ რა გაეწყობა? გატაცებით საუბრისა და მოსმენის ეს იშვიათი უნარი ყველას როდი აქვს. როცა ბებიას ქალიშვილმა იოგების სუნთქვის შესწავლა დაიწყო, დედამისი გახდა მისი პირველი მოწაფე. ვაჟიშვილი რომ მემუარული ლიტერატურით დაინტერესდა, ბებიაც ამ წიგნების მკითხველი გახდა.

მას საშინლად სწყინს, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს ებუტებიან, მთელი დღეები ისე გავა, ერთმანეთს ხმას არ გასცემენ.

„ეს ხომ დანაშაულია, — ფიქრობს იგი, — სიცოცხლე ისეთი ხანმოკლეა, საქმე კი ასე ბევრი და აქ კიდევ ბუტიაობისათვის დროის ფუჭად დაკარგვა გაგონილა?“ თითქმის 70 წლის ასაკში მას კიდევ გულით უნდა ნახოს ბამი, სადაც უნდა მოხვდეს იგი, ყველაფერი აინტერესებს, მის ირგვლივ ადამიანები თითქოს „ღღვებიან“, მას შეუძლია ყველაზე უხასიათოსაც კი გული მოულბოს, რადგან ყველაფერი აინტერესებს, მზად არის ყველას დაეხმაროს.

ისღა დაგვრჩენია გითხრათ, რომ ეს ბებია ტატიანა სტეფანეს ასული კაპუსტინა გახლავთ. მან ოცი წელი იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენითა და რამდენიმე მედლით.

●

ახლა კი გთავაზობთ რამდენიმე ინფორმაციას გატაცების შესახებ.

— კარლ მარქსმა 53 წლის ასაკში დაიწყო რუსული ენის შესწავლა.

— პენიცილინის აღმომჩენელმა ფლემინგმა თავის თავზე თქვა: „მე რომ ცურვით არ ვყოფილიყავი გატაცებული, ვერც იმ საავადმყოფოში მოვხვდებოდი, სადაც მეცნიერი რაიტი მუშაობდა. რაიტი რომ ჩემი მასწავლებელი არ ყოფილიყო, მე ვერასოდეს გავხდებოდი ბაქტერიოლოგი“.

მაგრამ საქმე ამაში როდია: ფლემინგი რომ გატაცებული პიროვნება არ ყოფილიყო, საათობით არ მჯდარიყო და გულმოდგინედ არ ეთვალა მიკრობები მიკროსკოპის ქვეშ, იგი გამოჩენილი ბაქტერიოლოგი ვერ გახდებოდა.

— აშხაბადში ცხოვრობს პროფესორი ანატოლი ივანეს ძე ვენჩიკოვი. 30 წელზე მეტია ატარებს ცდებს, წამლად ხმარობს არა ძლიერ ქიმიურ პრეპარატებს, არამედ წყალში გახსნილ მიკროელემენტებს — ბიოტიკებს და არა ანტიბიოტიკებს! სამეცნიერო დაწესებულებები ჯერჯერობით უარს ამბობენ მისი მეთოდით მკურნალობაზე. მაგრამ ეს ვენჩიკოვს არ აფერხებს; იგი ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად გატაცებით აგრძელებს მუშაობას მიკროელემენტების თვისებათა შესასწავლად.

— რუსმა მხატვარმა კუსტოდიევმა, ოპერაციის შემდეგ მოძრაობის უნარი დაკარგა და 11 წლის მანძილზე ლოგინს იყო მიჯაჭვული. სწორედ ამ წლებში შექმნა მან თავისი ყველაზე კარგი სურათები („ვაჭრის ცოლი“, შალიაპინის პორტრეტი და სხვ.) მხატვრობით გატაცება იყო მისთვის ყველაზე კარგი წამალი. ამ გატაცების წყალობით შეინარჩუნა მან ოპტიმიზმი, სიცოცხლის სიყვარული, ადამიანური მომხიბლაობა.

— რამდენი გატაცებული კოლექციონერი გვყავს, რომლებიც აგროვებენ მონეტებს, სურათებს, ღია ბარათებს! რამდენია მოგზაურობის მოყვარული, რომელსაც ფეხით აქვს შემოვლილი ჩვენი სამშობლოს ბევრი კუთხე-კუნჭული და ყველა შვებულების დღეებს კვლავ საინტერესო მოგზაურობას ანდომებს! მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სხვისი წამხედურობით იწყებენ ხოლმე რაიმე საქმეს. ამას, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ნამდვილ გატაცებასთან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შენი საკუთარი აღმოჩენაა.

**ლ. ალექსეევა**




# რაზმეულის წინამძღოლი

შარშან, ზაფხულში, ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი „შევარდენი“ არსებობის 50 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდა. ამ სამზადისის დროს გავიცანით თბილისის 48-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ნატო კილასონია. სკოლაში პიონერული აქტივის ცხოვრების თავიდათავი ხომ რაზმეულის საბჭო და მისი თავმჯდომარეა. ნატოც ჯარასავით ატრიალებდა ბანაკის მთელ კოლექტივს... ცოცხალი, ენერგიული გოგონა სტუმრებს მოეწონათ.

მას მშობლიური სკოლიდან ჰქონდა მოტანილი რაზმეულის წინამძღოლის ყველა კარგი თვისება.

„კოცონის“ დღევანდელ შეკრებაზე სწორედ ნატო მოვიწვიეთ სასაუბროდ. სათქმელი მან ქვეთავებად დაყო და ასე დაასათაურა: „რატომ მიყვარს პიონერული მუშაობა“, „მე და რაზმეულის საბჭოს წევრები“, „ბანაკური გამოცდილება“, „პატივს ვცემ პიონერულ რიტუალს“, „ენერგიულები და ინერტულები“, „ნაირა და ლალი ხელმძღვანელები“, „კომკავშირის რიგებში შესასვლელად ვემზადები“...

მივყვეთ მის ნაამბობს.

...მეთაურზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამბობენ, როგორიც რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეა, მისი საბჭო და წევრებიც ისეთები არიანო. მართალი გითხრათ, ვერ ვიტან რაზმეულის საბჭოს უქნარა წევრებს, თუმცა ვის მივცემთ უქნარობის საშუალებას! თითოეულს კლუბებისა და მარშრუტების ხელმძღვანელობა ავალია. როცა საქმე პიონერულ მუშაობას ეხება, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის განკარგულება ყველა პიონერისთვის კანონია. ასე რომ არ იყოს, გაჭირდებოდა დისციპლინის დამყარება.

ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. რაზმეულის საბჭოს შეკრებაზე მისვლა მიხარია, ყოველი შეკრება ერთმანეთთან აახლოებს და ამეგობრებს აქტივისტებს.

სკოლაში მეცადინეობა ორ ცვლად მიმდინარეობს; რაზმეულის საბჭოს წევრებიც ორივე ცვლიდან არიან, მათი თავშეყრა ზოგჯერ გვიძნელდება ხოლმე, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერს ვაგვარებთ.

სულ ახლახან ჩატარებულ რაზმეულის შეკრებას სკოლის ორივე უფროსი პიონერხელმძღვანელი — ლალი მჭედლიძე და ნაირა იაშალაშვილი ესწრებოდნენ. დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა: მეორე დღეს პიონერულ ზონებში ჯართისა და მაკულატურის შესაგროვებლად უნდა გავსულიყავით. 5 ტონა ჯართისა და მაკულატურის შეგროვება რომ არ გაგვჭირვებოდა, რაზმებს შორის შეჯიბრება გამოვაცხადეთ.

...რაზმეულის მუშაობაში ძალიან



ნატო კილასონია

მშველის ბანაკური გამოცდილება. ამ შუა ზამთარშიც თვალწინ მიდგას ქვიშხეთის ლამაზი ბუნება; ჩემი ბანაკის „შევარდენის“ მიდამოები ახლა ალბათ თოვლის საბანშია გახვეული („ჩემს“ იმიტომ ვამბობ, რომ უკვე ორჯერ დავისვენე „შევარდენში“ და წლეულსაც ვაპირებ წასვლას; სკოლის დამთავრების შემდეგაც ყოველ ზაფხულს იქ ვიმუშავებ პიონერხელმძღვანელად); თვალწინ მიდგას ტაშისკარი, უკიდეგანო ვენახები, მტკვრის სანაპირო, ბონდის ხიდით სათივეში გასვლა და რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... ბანაკის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობამ დიდ პასუხისმგებლობას მიმაჩვია.

როცა სკოლის რაზმეულის საბჭო იკრიბება, ყოველთვის ვიხსენებ ხოლმე ბანაკის ამბებს, იქაურ საქმიანობას. სწორედ ბანაკიდან გადმოვიტანე სამწყობრო სიმღერების კონკურსი. მახსენდება პირველ ადგილზე გამოსული რაზმი, მისი პედაგოგის ეკა ხარიბაშვილისა და რაზმის ხელმძღვანელის მზია გელაშვილის სიხარული; განსაკუთრებით კი მეცხრერაზმელები მახსოვს, რომელთა პედაგოგიც ჩემი სკოლის მასწავლებელი ზემფირა სადაღაშვილი იყო. მომწონდა ამ რაზმის პიონერების სწრაფვა გამარჯვებისაკენ, პირველობისათვის ბრძოლის ჟინი. ბანაკიდანვე მოვიტანე შეჯიბრებები: „აბა, ბიჭუნებო!“ „აბა, გოგონებო!“ ასეთ შეჯიბრებათა მომზადებისას გულმოდგინედ ვეკიდებით ისეთ საკითხებს, როგორიც არის სიურპრიზი ჟიურისათვის, ერთმანეთისა და ჟიურის მისალმება, მხატვრული ნომრის მომზადება, „ბუშტის“ გაბერვა, „სალათის“ მომზადება, ბუნების „ნობათი“, იუმორისტული ნომერი და ა. შ.

...დიდ პატივს ვცემ პიონერულ რიტუალებს. რაზმეულის საბჭოს ერთ-ერთი შეკრება პიონერული ხაზის მომზადება-ჩატარებას მიეძღვნა. ამ საქმეში VIII$^{2}$ კლასის მოსწავლეები გელა სამნიაშვილი, მზია კაკაურიძე და მანანა ქიმერიძე გვეხმარებიან. განსაკუთრებით აქტიურობს გელა სამნიაშვილი. მის მიერ მომზადებული რაზმი ხაზზე ყოველთვის განსაკუთრებული დისციპლინითა და წესრიგით გამოირჩევა.

პიონერული აქტივი ყველაზე უკეთ უნდა ერკვეოდეს პიონერულ რიტუალებში, უშეცდომოდ უნდა შეეძლოს მათი ზუსტად შესრულება, მან ხომ შემდეგ ყველაფერი სხვას უნდა ასწავლოს. სწორედ კარგად მომზადებული პიონერული რიტუალის მადლია, დღეს რომ ასე კარგად მახსოვს ჩემი მიღება ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რიგებში, მახსოვს ბევრი კარგი დღესასწაული, შეხვედრა და მიტინგი.

განსაკუთრებით ის დღე არ მავიწყდება, როცა რაზმეულის ხაზი დამოუკიდებლად მოვამზადე და ჩავატარე. ვიდექი და ჩემი გულისცემა მესმოდა... გულზე მაშინ მომეშვა, პირველი წინადადება — „რაზმეულო, სწორდი!“-მეთქი, რომ დავიძახე. იმ დღიდან რაზმეულის მწყობრის წინ ყოველთვის თამამად ვარ.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებ პიონერული ხაზის ზეიმურობას. სხვანაირად ის შთამბეჭდავი ვერ იქნება. თითოეულ რაზმზე რაზმეულის საბჭოს წევრები მყავს მიმაგრებული. ისინი ასწავლიან ბავშვებს ხაზზე დგომას, პატაკების ჩაბარებას, დროშის ხაზიდან გატანის თუ ხაზზე შემოტანის წესებს. ამის შემდეგ შეკრების დღეს რიტუალის უშეცდომოდ ჩატარება გვიადვილდება.

რასაკვირველია, მუშაობაში წინააღმდეგობებიც გვხვდება

...პიონერთა ორგანიზაციაში ცხოვრება უფრო საინტერესოდ აეწყობოდა, ზოგიერთი გულგრილობას რომ არ იჩენდეს ამ საქმისადმი. რაზმეულში ენერგიული ბავშვებიც გვხვდებიან და ინერტულებიც. ენერგიულებს იმათ ვაკუთვნებთ, რომლებიც კარგად სწავლობენ და რაზმეულის ცხოვრებაშიც აქტიურობენ, მზად არიან ყველაფერი გააკეთონ რაზმეულის საბჭოს დავალების შესასრულებლად; ინერტულები კი ისინი არიან, რომლებსაც თითის განძრევა ეზარებათ, საზოგადოებრივ დავალებებს გაურბიან, „გაწყობილ“ სუფრასთან მობრძანება კი უყვართ. ზოგიერთი პიონერი კარგად სწავლობს, მაგრამ პიონერთა ოთახში ცხვირს არ შემოყოფს, თავს არიდებს რაზმისა თუ რაზმეულის საბჭოს დავალებებს... ამბობენ, ასეთი პიონერები ყოველთვის ცუდად მომზადებულნი მოდიან კომკავშირის რიგებში, რაზმეულის აქტიურ საქმიანობაში გამოწრთობილნი კი ყოველთვის გამოირჩევიან სითამამით, სიყოჩაღით, საქმეში დაუზარელნი არიან და ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავთო. უნდა გამოვტყდე, რომ ზოგჯერ საბჭოს წევრებიც არა ვართ მართალნი. განა ჩვენ თვითონ კარგად ვიცნობთ თითოეულ პიონერს?

ჰოდა ესეც არის იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი განზე უდგება პიონერულ საქმეს.

...VI² კლასში რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ შარშან პირველად აირჩიეს მაია დონაძე. იგი თავის მოვალეობას სექტემბრიდანვე გულმოდგინედ მოეკიდა, ხშირად მოდიოდა პიონერთა ოთახში, სულ თავისი რაზმის კუთხეს დასტრიალებდა, ალბომს აფორმებდა, რაზმეულის საბჭოს წევრებს გვეხმარებოდა, ენერგიული და დაუზარელი იყო.

ერთხელ მაიას რატომღაც თანარაზმელები აუხირდნენ, ისიც კი აკადრეს, როდის აგირჩიეთო, რა გული გაგვიწყალე, გაკვეთილების შემდეგ სულ დარჩენას რომ გვთხოვ, თავი მოგვაბეზრე ამდენი დავალებითო.

მათი სიტყვები გულზე მომხვდა. მთელი რაზმი მაიას თვალწინ გავკიცხე (არასოდეს დამავიწყდება იმ წუთში მაიას ნაღვლიანი თვალები); მას მარტო მე კი არა, მთელი რაზმეულის საბჭო ამოუდგა მხარში და ჩვენიც გავიტანეთ.

— რაკი რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეთ, კეთილი ინებეთ და მის მოთხოვნასაც დაემორჩილეთ-მეთქი, — გავაფრთხილეთ მისი რაზმის პიონერები. ჰოდა, მალე მაიას თანარაზმელებმა ბოდიში მოუხადეს.

---

ილია აროსია

## უკვდავების ფესვები

ზამთარი მთიდან
თეთრად დაგვხედავს,
თეთრი ფიფქები
იწყებენ ცვენას;
ცივი გული და
თეთრი სახე აქვს
და უცებ აკრთობს
მზის გამოჩენა.
თითქოს განზრახვით
სჩადის სიავეს,
ხან ცივი ქარი
მიეშველება,
როგორ გაძარცვა
ხე — მოშრიალე
და ვერ გაყინა
ქვეყნის მშვენება!
ხეს შერჩა სითბო
მზის მცხუნვარების,
სიყვარულივით
რომ ეკიდება,
არ ეშინია
ყინვის, ქარების,
გულში სიცოცხლის
მღერის დიდებას.
გაყუჩებული
მისი კვირტები
საგაზაფხულოდ
გარინდებულან
და მზე, მხურვალე,
თავის სხივებით
თითქოს ფესვებში
ჩაბუდებულა.
მზე — უკვდავების
თანაზიარი —
მთელ დედამიწას
ჩაეკონება;
ზამთრის თვეა და
მაინც მზე არის,
აპრილის დარი
რომ გეგონება!..
სამარადისოდ
დღის ელვარებას
იმდენი სხივი
მიმალებია,
რომ თქვა:
სიკვდილი უკვე
არ არის...
და ქვეყნად მხოლოდ
იბადებიან!

---

ავთანდილ მეგრელიშვილი

## როგორ ვეგებეთ მეკვლეს

მალე თორმეტი გახდება,
მოველით წვერებლაბუას,
ჭრელხურჯინგადაკიდებულ
ჭაღარა თოვლის ბაბუას...
კედლის საათი ტიკტიკებს,
წინ მიცოცავენ ისრები.
ხან კარს გავცქერით, ხან საათს
წაგრძელებული კისრებით.
აჰა, გაისმა კაკუნი,
მზიამ თქვა: — მგონი ის არი!
მე კი უეცრად კარისკენ
გავვარდი, როგორც ისარი.
გავაღე და სიხარულით
ვიყვირე: — მეკვლე მოვიდა!
მაღალ-მაღალი, მღიმარი
და შებურვილი თოვლითა...
მივხვდი, როდესაც სუყველას
ნობათი ჩამოგვირიგა...
თურმე სოფლიდან მინაგო
ბაბუა ჩამოგვივიდა.



## პირველი ფიფქები

ციდან ციდა ფიფქი ცვივა,
განა ყინავს, განა ცივა?
დღეს ზამთარმა შემოდგომა
საზეიმოდ გააცილა.

## ზამთარი

დღემ იკლო, ღამემ იმატა,
გატკბა ცეცხლი და ზღაპარი...
ხანდახან გამოანათებს
მზე — დედამიწის ლამპარი.
ჩამოათოვა მთა-გორებს...
ჭირხლი მოედო ალიონს
და პაპასავით აბოლებს
სოფელი ბუხრის ყალიონს.

აი, ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭოს თავმჯდომარე მარიკა რევაზიშვილი: უკვე მესამე წელია, რაც იგი ამ მოვალეობას ასრულებს, მაგრამ ზოგჯერ, არ დაგიმალავთ, პიონერული დავალების შესრულებას აგვიანებს ხოლმე, თუმცა ძირითადად საქმეს თავს კარგად ართმევს.

... ხშირად გულიც მტკენია, იმიტომ, რომ რაზმეულში ისეთი პიონერებიც გვყავანან, რომლებიც კარგად კი სწავლობენ, მაგრამ პიონერულ დავალებებს ვერ უხსენებთ; მათ ახლა არ ჩამოგითვლით, როცა ისინი ამ სიტყვებს წაიკითხავენ, თვითონვე მიხვდებიან, ვისი მისამართითაც ვამბობ.

...როგორც ყველა პიონერი, მეც ვემზადები ლენინური კომკავშირის რიგებში შესასვლელად. ერთხელ ზემფირა მასწავლებელმა მითხრა (იგი ჩვენს სკოლაში პირველ კლასს ასწავლის; ერთმანეთს ბანაკში დავუმეგობრდით, ზემფირა მასწავლებელი ძალიან ეხმარება სკოლის რაზმეულს მუშაობაში) — შენ კომკავშირში მუშაობა არ გაგიჭირდება, ვისაც რაზმეულის გაძღოლა შეუძლია, იგი ყველაფერს შესძლებსო...

სიხარულით ცას ვეწიე, როცა სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ნატო დანგაძემ თვითონ მიმიხმო და მითხრა, კომკავშირის რიგებში უნდა მიგიღოთო, კარგად ამიხსნა, თუ რა უნდა გამეკეთებინა, რა წამეკითხა და რა მცოდნოდა, რათა კომკავშირელთა წინაშე პირნათელი წარვმდგარიყავით. მეც გულდასმით გავეცანი საკავშირო კომკავშირის წესდებას, წავიკითხე ლენინური კომკავშირისათვის გადაცემული მთავრობის ექვსი ორდენის ისტორია; აღმაფრთოვანა მის მიერ გმირულად გავლილმა გზამ. წავიკითხე ლენინური კომკავშირის 60 წლისთავზე კრემლში გამართულ ზეიმზე კომკავშირელთა წინაშე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა; საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობის მასალებსაც გავეცანი.

მალე კომკავშირელი გავხდები! პიონერულ ყელსახვევს კომკავშირის სამკერდე ნიშანი შეცვლის, თუმცა რას ვამბობ! — ყელსახვევს მაინც არ შევიხსნი, პიონერულ დავალებებს მაინც ვერ შეველევი, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობა კომკავშირელისათვის დიდ და საპატიო დავალებად მიმაჩნია.

ვერ ვიტყვი, რაზმეულში ყველაფერს უმტკივნეულოდ ვაღწევ-მეთქი. უფროსი პიონერხელმძღვანელები—ნაირა და ლალი რომ არ მეხმარებოდნენ, გამიჭირდებოდა, ისინი ჩემი უახლოესი მრჩევლები არიან, უიმათოდ ასე არ გამიტაცებდა ჩემი მოვალეობა, ასე არ მეყვარებოდა ჩემი საქმე, ალბათ ამდენ სიხარულსაც ვერ მომანიჭებდა რაზმეულის მეთაურობა.

**ნათელა ფაილოძე**




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №1

# სამი „ვაჟკაცის“ ამბავი

„პიონერის“ ყოველ ნომერს სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე. განსაკუთრებით „აისის“ მასალები მოდის გულთან ახლოს — ბავშვობის დროინდელი სიყვარული გამომყვა და იმიტომ.

დანაშაული... მე მგონი, სწორად თქვა ერთმა ავტორმა: ზოგჯერ დანაშაულსა და სიანცეს შორის საზღვრის გავლება ძნელდებაო.

მაგრამ ის, რაც ახლა უნდა გიამბოთ...

ეს ამბავი ამ სამიოდე წლის წინათ მოხდა:

ერთხელ სკოლიდან შინ ვბრუნდებოდი. ჩემს წინ, ასე ოცდაათი ნაბიჯის დაშორებით, პატარა ბიჭუნა მიიჩქაროდა. ვიცანი: ნიკა იყო, ჩემი მეზობელი, მეოთხე კლასის მოსწავლე. უფრო წინ, ქუჩის პირას, ხის ძირში, სამი ბიჭი იდგა, მეშვიდე ან მერვეკლასელები იქნებოდნენ. ნიკა ხეს რომ გაუსწორდა, ერთი იმათგანი ამხანაგებს გამოეყო, ბიჭს წამოეპარა და ნაყინის ნარჩენებით გათხვრილი ქაღალდი სახეზეააკრა. მერე ხარხარითა და ხტუნაობით ამხანაგებს შეუერთდა. ისინიც გულიანად აყვნენ სიცილში.

მე ნიკას მივაშურე, წყენისა და შეურაცხყოფისაგან ატირებული ბიჭუნა იქვე ონკანთან მივიყვანე და სახე მოვბანე.

მერე იმ ბიჭებს მივუბრუნდი:

— რას ერჩოდით ბავშვს-მეთქი?— შევეკითხე გაბრაზებული.

— ოჰ, ეს რა ადვოკატი გამოგვეცხადა?! — გაიკვირვა ბიჭმა.

— არა გრცხვენია, შენზე პატარას აბუჩად რომ იგდებ? — შევუტიე.— ეს რა ვაჟკაცობაა?!

— შენ ვინა გკითხავს? თუ მინდა, უარესსაც გავაკეთებ! — უტიფრად მიპასუხა და ამხანაგებს გადახედა. იმათ თავი დააქნიეს და ჩაიკირკილეს.

— იცი, რა, შებრუნდი, გოგონი, და საიდანაც მოსულხარ, იქით გასწი! — მირჩია მეორე ბიჭმა.

— თორემ... — დამემუქრა მესამე.

მივხვდი, იმათთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იქნებოდა. ერთი კი მივახალე, სირცხვილი თქვენისთანა პიონერებს-მეთქი, და გულდამძიმებული წამოვეწიე მობუზულ ნიკას...

ერთი იმ სამთაგანი მაინც ყოფილიყო ისეთი, რომ მოთავესთვის დაეშალა—იქნებ შეეგნო თავისი საქციელის სიმდაბლე!..

მე ვფიქრობ, იმ ბიჭების საქციელი სწორედ რომ სცილდება ბავშვური ანცობის საზღვრებს და დანაშაულს უახლოვდება. პატარებს შეურაცხყოფა დიდხანს არ ავიწყდებათ, გულზე ლოდად აწევთ და ზოგჯერ ჯავრს სულ სხვაზე ან საკუთარ თავზე იყრიან ხოლმე.

თან რატომღაც მგონია, ნიკას იმ დღეს სიკეთის ათასი სიმიდან ერთი ჩასწყდა-მეთქი...

**ქეთინო ლომიძე,**

ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი.

# ვინ მეტი დააშავა

იმ დღეს, როცა ეს ამბავი მოხდა, შეუძლოდ ვიყავი, მაგრამ სახლში არავის არაფერი ვუთხარი და სკოლაში მაინც წავედი.

ინგლისურის გაკვეთილი გვქონდა. ინგლისური ენა ძალიან მიყვარს და მასწავლებელს სულგანაბული ვუსმენდი. უცებ ჩემმა ამხანაგმა მწარედ მიჩქმიტა. ტკივილისა და მოულოდნელობისაგან შევკრთი და წამოვიყვირე. მასწავლებელი ძალიან გაბრაზდა, კლასს მკაცრი მზერა მოავლო და იკითხა, ვინ დაიყვირაო. მე წამოვდექი. რა გაყვირებდაო, მკითხა. მე არაფერი ვუპასუხე და ვიდექი ასე, თავჩაღუნული. მასწავლებელმა კლასის წინაშე გამომიყვანა და სასტიკად გამკიცხა.

ამასობაში კარგა დიდი დრო გავიდა.

ის ჩემი ამხანაგი კი. რომელმაც ეს ამბავი წამოიწყო, არხეინად იჯდა თავისთვის და ხმას არ იღებდა.

მერე ბევრი ვიფიქრე ამ შემთხვევაზე. ჩაითვლება თუ არა დანაშაულად ჩემი ამხანაგის საქციელი (თუნდაც მარტო მეგობრის მიმართ)? ვაითუ მეც დანაშაული ჩავიდინე, ამხანაგს ხელი რომ დავაფარე და არ გავთქვი (ხვალ უარესი რომ ჩაიდინოს?) იქნებ თანაკლასელებიც დამნაშავენი არიან — ზოგმა მათგანმა ხომ თვალნათლივ დაინახა, რომ მიჩქმიტეს და იმიტომ დავიყვირე?

არ ვიცი... შეიძლება ყველა დამნაშავე ვართ ერთმანეთის მიმართ...

ИРОДИОН КВАЧАНТИРАДЗЕ

**ИРОДИОН**

# ბიჭები დაბრუნდნენ

პატარა მოთხრობები დიდ ამბავზე.
ნაწყვეტი წიგნიდან

**გიორგი პაპუაშვილი**

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე



თავმჯდომარე მინდორში ჩამოვიდა, ცხენის აღვირი ნუგზარს გადაუგდო და მიაძახა:

— შეჯექ, მინდორი მიირბინ-მოირბინე და ყველას უთხარი, მუხის ქვეშ მოდით, თავმჯდომარე გელოდებათ-თქო!.. კრება უნდა ჩავატარო! — დაამატა ბოლოს.

ცოტა ხნის შემდეგ ხალხმა დენა დაიწყო. მოდიოდნენ სხვადასხვა მხრიდან. ზოგს თოხი ედო მხარზე, ზოგს ცელი, ზოგს ფიწალი, ზოგს ნამგალი გადაედო მკლავზე. რაც მთავარია, არავინ არ იყო გახარებული და ყველას სახე ჩამოსტიროდა. ეტყობოდათ, კარგს არაფერს მოელოდნენ.

მეც ავად მენიშნა თავმჯდომარის ჩამოსვლა. განა სხვა დროს არ ჩამოსულა, მაგრამ ახლა როგორღაც შეშფოთებული სახე ჰქონდა. თითქოს რაღაცის თქმას ეშურებოდა და ხალხის შეგროვებამდე ვეღარ ითმენდა.

ნახევარ საათში ყველანი მუხასთან შეგროვდნენ.

თავმჯდომარემ ჩექმაზე მათრახი დაიტყაპუნა და დაიწყო:

— ხალხო!.. ყველამ კარგად ვიცით, რომ ომია. ომს მსხვერპლი მოსდევს.

— მა არ მოსდევს?! — ჩაერია ვიღაცა. — აი, გურმანას ბიჭიც იქ დაიღუპა და ფეიქრიანთ ივანესიც.

— მერე რაო, რომ დაიღუპა?!— თითქოს იწყინა გურმანამ, — განა შეშინდა და წარამარა დაიღუპა, რომა?! ბევრი ედავენ, ეჩხუბნენ, ეომნენ და როგორც იყო, გატეხეს. ისიც ადამიანი იყო, განა რკინა იყო, რო არ გამტყდარიყო. ასი რომ მოგადგება და ათასზე მეტი, გაგტეხავენ, მა რა იქნება. განა წარამარა დაიღუპა ჩემი შვილი, გმირულად დაიღუპა, გმირულად!..

— ვიცი, ძია ვანო, ვიცი. — სცადა დამშვიდება თავმჯდომარემ.

— ჰაი დედასა! — მკერდზე ხელი დაიკრა ძია ვანომ, — რატომ ჩემი დღე შუა არ გაიყო და იქ არ გავჩნდი. მაშინ დაინახავდით, ვინც დაიღუპებოდა!

— ეეჰ! — დაიკვნესეს ზოგიერთებმა.

— დამშვიდდი, ძია ვანო! მარტო შენ ხომ არა ხარ ამ ქვეყანაზე?! — განაგრძო თავმჯდომარემ, — აგერ, აღარც ძია შაქროს ბიჭები ჩანან, აღარც პავლიაანთი, აღარც სესკელაანთი და ვინ მოსთვლის, რამდენი მიჩუმდა.

— აღარც ჩემი ბიჭები ჩანან! — ამოიგმინა კურუშაანთ ვანომ.

— ორი თვეა, ჩემი ბიჭებისაგანაც აღარ მოსულა წერილი. — დაიწუწუნა ლიზა ბაბომ, — განა რაკი ვიცინი და დარდს არ ვუტყდები, ქვის გული ხომ არა მაქვს?

— ვიცი, რომ ეგრეა. ბევრნი გავაცილეთ და ცოტანიღა ჩანან. ზოგი თუ ისეთ ადგილას ჩავარდა, მოწერას ვერ ახერხებს, ზოგი ნამდვილად დაიღუპა. ბოლოს და ბოლოს, ბამბას ხო არ ისვრიან იმ უპატრონო ომში?!. ბრძოლა ძალიან გამწვავდა, ხალხო! ჩვენ ვინც გავგზავნეთ, ეს რა არის? ჩვენი გაგზავნილი ბიჭები ზღვაში წვეთია. ზღვაში კი არა, ოკეანეში. მაშა, ოკეანეში! — მოეწონა თავისი ნათქვამი. — ამ ოკეანეს გასავალი რო აქვს, შევსებაც უნდა.

— კიდევ ხომ არ მიჰყავთ ხალხი? — იკითხა ვიღაცამ.

თავმჯდომარემ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია:





— რა თქმა უნდა.

— მერე და, ვინღა დარჩა, შვილო? — გულუბრყვილოდ იკითხა ვიღაცამ.

— დარჩნენ, როგორ არა, — გულუბრყვილოდვე უპასუხა თავმჯდომარემ, — ჯერ კიდევ მოგვეძებნებიან, ვისაც ომი შეუძლია.

— ე, ბალღები ხომ არ უნდა წაიყვანონ? — იკითხა მაკაანთ გიორგამ და ყველანი გააცინა, რაკიღა ჩემსკენა ჰქონდა თვალი მოპყრობილი.

— ეგ ბალღები აქ დარჩებიან, მაგრამ მე და შენ წაგვიყვანენ, — დინჯად მიუგო თავმჯდომარემ.

— მე წამიყვანენ? — აღფრთოვანებით იკითხა მაკაანთ გიორგამ, — მე თუკი წამიყვანენ, თავი მომიკვდეს, თუ არ გამიხარდეს. ან რაზე უნდა დამზოგონ, როცა სხვაზე მეტი მე შემიძლია. ოღონდ ამ ბალღებს თავი დაანებონ და, ვინ მამაძაღლი, დღესვე არ წავიდეს.

— ვიცი, გიორგი, — გაუხარდა თავმჯდომარეს.

— განა გეხუმრები? თუკი ცეკვის დროს შემიძლია ერთ მეტროზე შეხტომა, იქ რაღა დარდუბალა შემიდგება. დედას ვუტირებ ჰიტლერსა! — მაჯიდან სახელო გადაიწია და დაკუნთული, ბანჯგვლიანი მკლავი გამოაჩინა.

— არა, ჯერჯერობით შენ არ გეძახიან, მაგრამ შენც წაგიყვანენ. ჯერ უფრო შედარებით ახალგაზრდები მივდივართ.

— შენ მიდიხარ? — იკითხა შაქრო პაპამ. — აქ ვინღა გვიპატრონებს, შვილო, შენც რო იქ წახვიდე?

— ეგ რა საკითხავია, ძია შაქრო? ვინც ჩემზე წინა ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას, ისევ ის უხელმძღვანელებს. — ყველამ თავმჯდომარის მზერის მიმართულებით გაიხედა და თოხის ტარს დაბჯენილი ბერიკაცი დაინახეს, რომელიც ორიოდე წლის წინათ თავისივე განცხადებით განთავისუფლებულიყო: დავბერდი და ხელმძღვანელობა აღარ შემიძლიაო. თუმცა მას შემდეგ მაინც არ ისვენებდა: ხან მკაზე მუშაობდა, ხან — ხვნაზე და ხანაც — თოხნაზე.

— ჰო, კოლმეურნეობას ძია ქიტესა გაუძღვება, მაგრამ ჯერ სხვა საქმეა მოსაგვარებელი. ისა რომა, მეცხვარეობის და მეძროხეობის ფერმებიდანაც ხომ მიჰყავთ დაჯავშნული ბიჭები, ტრაქტორისტებიც გამოძახილები არიან და იმათი შეცვლა გვინდა საიმედო ხალხით. ჯერ ეს შეცვლა უნდა მოვახდინოთ და მერე გადავაბაროთ თავმჯდომარეობა.

— ცხვარში მე წავალ! — წამოიძახა ვანიკომ.

— შენ წახვალ? — გაეღიმა თავმჯდომარეს, რაკი ასე ადვილად წყდებოდა ყველაზე ძნელი საკითხი. — მერედა, მაგდენი შეგიძლია?

— რატომაც არ შემიძლია?! პატარა როცა ვიყავი, გელა ძიას დავყავდი ცხვარში და ყველაფერი მასწავლა: პარსვაც, წველაც, ცნობაც, გასარდვლაც, ბატკნის დარჩევაც, გადილავებაც... — კიდევ ბევრი რამ ჩამოთვალა ვანიკომ, მაგრამ მე აღარ დამამახსოვრდა. ამ ჩამოთვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, დამცინავი ღიმილი თანდათან წაეშალათ სახიდან და იმედიანი გამომეტყველება მიეცათ.

— პატარა როდის იყავი? — იკითხა თავმჯდომარემ.

— მეხუთე კლასში როცა ვიყავი.

— ახლა რომელ კლასში ხარ?

— მეექვსეში ვარ, მაგრამ მამაჩემი მეუბნება, ვეღარ გატარებო.

— რატომ ვერ გატარებო?

— პური არა გვაქვს. მამაჩემი კიდევ მეუბნება, სკოლაში პურს არ იძლევიან და კოლექტივში იძლევიანო. ჰოდა, სკოლას კოლექტივი არ მირჩევნია?!

ვიღაცას გაეცინა. დანარჩენებმა მწარედ ამოიოხრეს. დაიწვას ღვთის სამართალი, მაშ, ახლა შენ ყუა პური არ უნდა გეჭიროსო, — ჩაილაპარაკა ერთმა დედაკაცმა.

— არა! — ყოყმანის შემდეგ თქვა თავმჯდომარემ, — მე მაინც ჩემს თავს უფლებას არ მივცემ, ე თითის სიგრძე ბალღი ცხვარში გავგზავნო და სკოლიდან გამოვიყვანო.

— სკოლაში მაინც ვერ ვივლი და... — წამოიძახა ვანიკომ.

— თუკი ვერ ივლის? — თქვა ვიღაცამ.

— არა, არა, უნდა ისწავლოს! — უფრო მეტად დაიბეჯითა თავმჯდომარემ.

— გავგზავნოთ, შე კაი კაცო და... როცა ომი დამთავრდება, მაშინ ვერ გააგრძელებს სწავლას?!

— მართალია! — თქვა რამდენიმე ხმამ და ეს რჩევა ყველას ჭკუაში დაუჯდა.

— ჯერ სადაც გვეფხანება, იქ დავიფხანოთ და ეგ ისეთი ყოჩაღი ბიჭია, ყველაფერსაც გააკეთებს.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა თავმჯდომარემ, — მაინც ბალღია და ამ საკითხის გადაწყვეტა... ავად რომ გახდეს?.. რაც უნდა იყოს, ბალღია და...

ამ სიტყვებზე ყველა შეყოყმანდა, მაგრამ ვანიკომ არც აქ დაიხია უკან:

— რაც ხნისა ვარ, ერთადერთხელ მაციებდა და ეგ იყო. ავად არა ვხდები ხოლმე და რაღა იქ გავხდები?!

ყველას გაეცინა.

— მამაშენი რას იტყვის? — იკითხა ვიღაცამ.

ბიძაჩემი თედო შორიახლოს კოლბოხზე ჩამომჯდარიყო და თავჩაღუნული ნამგალსა ლესავდა. გეგონებოდა, არავის უსმენდა, მაგრამ რაკი შეეკითხნენ, შენ რას იტყვიო, თავი აიღო. ერთხანს იფიქრა, მერე წინდის ყელში ჩაიყო თითი და დინჯად იფხანა, მერე კი, თითქოს ახლა გაახსენდაო, გამწყრალივით მიუგდო ხალხს თავისი პასუხი:

— ოღონდ არ მომიმშიოთ და სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთ!

გადაწყდა. ვანიკო ცხვარში გაგზავნეს. მასთან ერთი თათრის ბიჭიც დაასახელეს.

— ახლა, ამხანაგებო, ორი კარგი ბიჭი გვჭირდება, რომლებსაც სატრაქტორო კურსებზე გავგზავნით და სამ თვეში ტრაქტორისტობას შეასწავლიან.

— მე წავალ! — ყველას დაასწრო ფირუზმა.

— შვიდი კლასი დამთავრებული გაქვს? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ფრიადებზე, — დაასწრო ვანიკომ.

— არა, სამი ოთხიანი მაქვს.

— ძალიან კარგი! — გაუხარდა თავმჯდომარეს.

— ჩემზე უთხარით! — მუჯლუგუნით ანიშნებდა ბიჭებს ვასიკო, მაგრამ სანამ ვასიკოს დაასახელებდა ვინმე, თავმჯდომარემ ნიკოსკენ გაიშვირა ხელი:

— აი, ის მაღალი ბიჭი კაი მკლავღონიერი ჩანს. უბრალო ტრაქტორს კი არა, „ჩეტეზესაც“ კი აამუშავებს. რა გქვია, ბიჭო?

— ნიკუშა! — მთელი ტანით წინ წამოქანდა ნიკო.

— წახვალ სატრაქტორო კურსებზე?

— შორს არის?

— აქვე, ჩვენს რაიონში.

— რატომაც არ წავალ?!

— თუ მაგას არ უნდა, მე წავალ,— თქვა ვასიკომ.

— რატომაც არ მინდა?!

— მაშ, გადაწყდა: ნიკო და ფირუზი სატრაქტორო კურსებზე წავლენ და ახალი წლისათვის ორი ახალგაზრდა ტრაქტორისტი გვეყოლება... შენ კი... — მიუბრუნდა თავმჯდომარე ვასიკოს, მე რომ მეგონა, დაავიწყდა ანდა სულაც ვერ გაიგო იმისი წამოძახილი-მეთქი, — იცი, სად უნდა გაგგზავნო?

— სადა?

— ახოს ყარაულად. ხომ იცი, რამოდენა ახოებია?

— ივანეს ახოში?

— ჰო, ივანეს ახოში. ერთ ბერიკაცსაც სხვას გამოგიგზავნით და ორივენი კარგად უყარაულებთ. იმისი გამოცდილება და შენი სიყოჩაღე ერთმანეთს დაემატება და იოლას გახვალთ.

ვასიკოს გაუხარდა.

— ერთ-ორ ბერიკაცს ცხვარშიც დავამატებთ, — განაგრძო თავმჯდომარემ, —ერთს — ძროხაში და... აქ კი დედაკაცები და ბალღები როგორმე თავს გაართმევენ საქმეს... რაც გაგიჭირდებათ კიდევ... ძია ქიტესამ იტეხოს თავი, — გაიცინა სიტყვის დასასრულს.

ვიღაცამ დაიკვნესა, მისი კვნესა სხვამაც გაინაწილა, მერე კიდევ სხვამა და ბოლოს ყაყანმა დაფარა კვნესა.

— მაშ, მიდიხარ და აღარ იშლი?— შეეკითხა ლიზა ბაბო ხალხის ჯგუფიდა გასულ თავმჯდომარეს.

— მივდივარ, ლიზა ძალო. მაშ მარტო შენი ბიჭები ხომ არ იქნებიან იქ?

— აქაც იმედი იყავი, შვილო. ჩემი შვილი მეგონე, რო გიყურებდი.

— არა უშავს რა. წავალ და ერთ-ერთ შვილს მაინც გამოგიგზავნი.

— მართლა, თუ რაიმე გაიგე, შვილო, ჩემი შვილებისა, ხმა მოგვაწვდინე. გასული კაცი ხარ და ყველაფერი შეგიძლია.

თავმჯდომარე ღიმილით ეთანხმებოდა და თანაც ხეზე მიბმულ ცხენს უახლოვდებოდა. ცხენთან რომ მივიდა და აუშვა, ძია ქიტესას დაუძახა.



უხალისოდ მიუახლოვდა ძია ქიტესა.

— აი, ეს ცხენი, ძია ქიტეს, როგორც ჩამაბარე, ისევე ჩამიბარებია!— ხელში მიაჩეჩა აღვირი. მერე უბის ჯიბე მოიქექა და გაზეთში შეხვეული პატარა რაღაც გაუწოდა, — ესეც კიდე შენი ბეჭედი! ისე ატარე, როგორც გიტარებია!

— არ ჩავიბარებ! — უყვირა ქიტესამ დაურიდებლად.

— კაცო... ჩაიბარე და... იქნებ ხვალვე ვბრუნდები და ისევ უკან უნდა ჩამაბარო?

— ბიჭო, რომ აღარ შემიძლია? — თითქმის უჩურჩულა ძია ქიტესამ, ცხენი იმავე ხეზე გამოაბა და ხმას დაუწია, — ეს ამოდენა მშიერი ხალხი... გაძლება არ უნდა? განა ომში ამაზე უარესობა იქნება?

თავმჯდომარემ ჯერ ჩვენ გადმოგვხედა, გაიგონეს თუ არაო, და მერე თვალებში ჩააცქერდა ძია ქიტესას.

— წადი, შვილო! — დაიხვნეშა ძია ქიტესამ, — წადი და ნურაფერზე იდარდებ. თავში ქვას ვიხლი და მაინც გავუძლევები. ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდაც ზურგი არ აჩვენოთ მტერსა.

— აი, ასე! — გულში ჩაეხუტა თავმჯდომარე ძია ქიტესას, — ყოჩაღად იყავი! დედას ვუტირებ მტერს, თუ ვაჟკაცი ვარ!

— ყოჩაღად იყავი, შვილო, ყოჩაღად!

— სუ მშვიდობის გზებზე გატაროს, შვილო, მამაუფალმა!

— გამარჯვებითამც დაბრუნებულიყავი! — ტიროდნენ დედაკაცები, როცა თავმჯდომარე ყველას სათითაოდ დაემშვიდობა და გზისკენ წავიდა.

— ცხენით წასულიყავი, შვილო, რაიონში და იქიდან გამოატანდი ვინმეს! — ურჩია ძია ქიტესამ.

— ცხენი რად მინდა! აი, შარაგზაზე გადავალ და იქ ჩამოივლიან ბიჭები. აგე, მოდიან კიდეც!

სოფლის ბოლოზე მართლა გამოჩნდნენ კაცები.

— წავიდეთ, გავაცილოთ, ქალებო!

— გავაცილოთ, ხალხო!

ყველანი შარაგზისაკენ წავედით. ჯარში მიმავალი კაცები და ჩვენი კოლმეურნეები ცხვარ-ბატკანივით აირივნენ ერთმანეთში და თითქმის აბლავლდნენ კიდეც.

— ღმერთმა დალოცოს ომის მომგონი! — სიცილით წამოიძახა აყლაყუდა ტრაქტორისტმა, — ციურის

კოცნას ვინ მაღირსებდა, ომი რომ არ მოეგონებინათ?!

ტირილი სიცილმა შეცვალა.

ციური ერთი საცოდავი, ჭკუაზე შერყეული ქალიშვილი იყო, რომელიც ყველა კაცის დანახვაზე პირზე ხელს იფარებდა და თავს ინაზებდა. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, ბავშვობაში ძროხამ ლამის გასრისა და მას შემდეგ დაემართა ასეო.

— გაჩუმდი, ბიჭო, გაიგებენ! — დაიჯერა ციურმა.

— ტანკზე უნდა დავჯდე, ციური, ტანკზე! ისეთი წერილები უნდა გამოგიგზავნო ხოლმე, ქვასა ხეთქავდეს!

— უი, გაგიწყალდა გული! — იფერებდა ციური, — საქვეყნოდ მაინც ნუ იძახი, შე სულელო!

წავიდნენ და წაიღეს ხალისი.

ვიდექით და გავყურებდით მათს გასავლელ გზას. კარგა მანძილი რომ გაიარეს, თავმჯდომარე ჩვენკენ შემობრუნდა, ქუდი მოიხადა და დაგვიქნია. ჩვენც ხელი დავუქნიეთ. მერე ყველამ დაგვიქნია ხელი. ჩვენც ორივე ხელი დავუქნიეთ. მერე ისევ თავმჯდომარემ მოიხადა ქუდი, დაგვიქნია და დაგვიძახა:

— წადით, კარგი, წადით, ნუ სცდებით!

— ეეჰ! — ამოიგმინეს ქალებმა და ბერიკაცებმა.

გოგო-ბიჭებს კი ისევ ის ღიმილი გვიხატავდა სახეს, იმ აყლაყუდა ტრაქტორისტმა რომ ამოგვიქარგა.

— წავიდეთ! — გამოგვაფხიზლა ახალმა თავმჯდომარემ, — მე მგონი, ეს ბოლო გაწვევაა.

— რა იცი, ძია ქიტეს? — დაინტერესდნენ აქეთ-იქიდან.

— მტერი კავკასიას ვერ გამოსცდება. რაკი აქედან დასძრავენ ძუნძულით, მდევარიც ვერ დაეწევა.

— ვითომ გავიმარჯვებთ? — იკითხა ერთმა ქალმა.

ძია ქიტესამ ნაბიჯი შეაჩერა და ამ სიტყვების მთქმელს დაუწყო ძებნა. როგორც იქნა, იპოვა და თვალი თვალში გაუყარა.

— რა ვიცი, კაცნი ვართ. დღედაღამ მაგაზე ვფიქრობ, — თქვა იმ ქალმა.

— ჩვენი საქმე სამართლიანია. მაშასადამე, უთუოდ გავიმარჯვებთ, — ბეჯითად მიუგო ძია ქიტესამ და სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ჩვენც მას მივყევით.



# ·ჰ·ი·ნ·ე·მ·უ·ა·

## ახალზელანდიური ლეგენდა

ახალი ზელანდიის ერთ-ერთი ტომის ბელადი, რომელსაც ჰყავდა მზეთუნახავი ასული ჰინემუა, დიდი ტბის პირას ცხოვრობდა. ტბის შუაგულში პატარა კუნძული იყო.

ერთხელ ჰინემუას მამამ მდიდრული ნადიმი გადაიხადა. ნადიმს იმ მხარის ჭაბუკები ესწრებოდნენ. ახალგაზრდებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ცეკვაში. თითოეული ცდილობდა რაც შეიძლება კარგად ეცეკვა და ჰინემუას გული მოენადირებინა. ქალიშვილს ყველაზე უფრო მოეწონა ტბის კუნძულზე მცხოვრები ჭაბუკი. ნადიმის შემდეგ იგი გამოუტყდა მამას, ის ვაჟი შემიყვარდაო. ბელადი ძლიერ განრისხდა და უთხრა: იმის ცოლი არ გახდები, მდაბიო გვარისააო. ჰინემუამ უპასუხა: მდაბიო გვარისაა თუ არა, ეს სულაც არ მაინტერესებს, მე ის შემიყვარდა და მხოლოდ მას მივთხოვდებიო. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გაახელა ბელადი. ბრძანება გასცა, თუ ის ვაჟი კიდევ გამოჩნდა დიდი ტბის ნაპირზე, აუცილებლად მოკალითო. ისიც ბრძანა, ყველაფერი ეღონათ, რომ მისი ასული კუნძულზე ვერ გადასულიყო და თავის რჩეულს ვერ შეხვედროდა.



დრო გადიოდა, ჰინემუა საღამოებს ტბის ნაპირზე ატარებდა. ეძებდა ნავს, რომ კუნძულზე გადასულიყო. ტბის გამოღმა უხმობდა ვაჟს, მაგრამ მას პასუხს არავინ აძლევდა. ქალიშვილი იმედს მაინც არ კარგავდა.

ერთ საღამოს გადაწყვიტა ტბა გადაეცურა. მხოლოდ სამი მილი ჰქონდა გადასაცური. მაგრამ შევიდა თუ არა ტბაში, იგრძნო, რომ წყალი უზომოდ ცივი იყო. ბნელი ღამე იყო და ჰინემუა ვერ ხედავდა კუნძულს. და თუმცა კარგი მოცურავე იყო, დაიღალა. უკვე ძალა აღარ ჰყოფნიდა, — წამიც და ტბის ფსკერზე დაეშვებოდა... და უცებ ჰინემუამ თბილ წყალში შეცურა. ამ დროს მთვარემაც გამოანათა შავი ღრუბლიდან. ქალიშვილმა დაინახა, რომ კუნძული უკვე ძალიან ახლოს იყო. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და რამდენიმე წუთის შემდეგ ქანცგამოლეულმა კუნძულს მიაღწია. აქღა დაინახა, რომ თბილი მდინარის პირას იდგა. ეს ის თბილი წყალი იყო, რომელმაც ძალ-ღონე აღუდგინა. მალე ჰინემუამ საყვარელი ვაჟიც იპოვა და დაქორწინდა.

თბილ მდინარეს, რომელმაც ჰინემუას ტბის გადაცურვა შეაძლებინა, მისი სახელი — ჰინემუა უწოდეს.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**მარინა ქევხიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ყოველმხრივ ცეცხლისებური

ინდოეთის შტატ უტარ-პრადეშის უკიდურეს ჩრდილოეთში, ჰიმალაის განშტოებაზე, სადაც სათავეს იღებს ინდოეთის ერთ-ერთი წმინდა მდინარე ჯამნა, მდებარეობს პატარა სოფელი ჯამნოტრი. სოფლისაკენ მიმავალი გზების გასწვრივ გორაკები გვიანი შემოდგომიდან ადრეულ გაზაფხულამდე წითლად არის აბრიალებული. ეს ადგილობრივ მკვიდრთა საყვარელი წიწაკაჩილი ყვავის. იმ სიმაღლეზე, მთებში, სულ რამდენიმე სახის მცენარე თუ უძლებს ჰკაცრ ჰავას. ჩილისთვის კი ასეთი პირობები პირდაპირ მისწრებაა. მამაკაცები ხნავენ კორაკების ფერდობებს, რგავენ ჩილის და ფულიან აღმონაცენებს. როგორც კი წიწაკა დამწიფდება, ქალების ჯერი დგება. ისინი ძირიანად იღებენ ჩილის და მზეზე ახმობენ. ამის შემდეგ უკვე შეიძლება მისი ბაზარში წაღება. გემოთი თუ ფერით ცეცხლისებური ჩილი ბაზარში ხელად საღდება.

### ლოკოკინა „ალაპარაკდა“

რამდენნაირი კონკურსი არ ტარდება მსოფლიოში! ამას წინათ ლონდონში ჩატარდა ნატურალისტთა კონკურსი იმ ხმათა საუკეთესო ჩანაწერებზე, რომლებსაც გამოსცემენ ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები. კონკურსზე ახმიანდა ფრინველთა გალობა, ყიყინი, ღმუილი, ბღავილი, ღრენა, სისინი, სტვენა და სხვა ხმები. პირველი პრემია მიეკუთვნა ოცდაშვიდი წლის ჯონ მოლის: მას მაგნიტოფონის ფირზე ჰქონდა ჩაწერილი... ხმა, რომელსაც ლოკოკინა გამოსცემდა, როცა სალათის ფოთლებს შეექცეოდა.



### ძველ ტრადიციებს მტკიცედ იცავენ

ირლანდიის ზღვაში არის ერთი ინგლისური კუნძული — მენი. ცხოვრების წესები აქ რამდენადმე სხვანაირია, ვიდრე თვითონ ინგლისში: გადასახადები უფრო დაბალია, კატები უკუდოდ დასეირნობენ, ზღვის სანაპიროზე დაქრის ევროპაში უკანასკნელი ცხენის ტრამვაი.




კუნძულს საკუთარი პარლამენტი ჰყავს, რომელიც თავგამოდებით იცავს ათასწლიან ტრადიციებს. ამ ტრადიციებს მიეკუთვნება, მაგალითად, კანონი მოზარდთა დასჯის შესახებ: სკოლებსა და საზოგადოებრივ ადგილებში სხვადასხვა უწესო საქციელისათვის 14-დან 20 წლამდე ასაკის ჭაბუკები შეიძლება გაიროზგონ არყის ხის წკეპლებით. ამ სასჯელის გასამართლებლად ის საბუთი მოჰყავთ, რომ კუნძულ მენზე გაცილებით ნაკლები დამნაშავენი არიან, ვიდრე „ზღვის გაღმა“.

ამ კანონის შეცვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მენი აქამდე არ დაშვებულაო: მართალია, „უმწიფარი ახალგაზრდობა“ პროტესტს აცხადებს, მაგრამ არ ესმის, რაოდენ სასარგებლოა ეს კანონი ისევ მისთვისვეო; თუმცა სასჯელის „ესთეტიკური“ დონის ამაღლება სავსებით შესაძლებელია, ტრადიციას ამით ზიანი არ მიადგებაო. და აი, ამ ცოტა ხნის წინათ კუნძულის გენერალურმა პროკურორმა კანონში შესწორება შეიტანა: დამნაშავე ამიერიდან შარვლიანად უნდა გაიროზგოს.

### როგორ გაჩნდა გოლფსტრიმი რუკაზე

ერთხელ ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ბენჯამინ ფრანკლინი დააინტერესა იმ ფაქტმა, რომ ინგლისსა და მის კოლონიებს შორის მოცურავე საფოსტო გემები უფრო სწრაფად სერავენ ოკეანეს, როცა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ უჭირავთ კურსი. ფრანკლინმა გულმოდგინედ შეისწავლა სავახტო ჟურნალების მონაცემები, საზღვაო რუკები, რის შემდეგაც შეადგინა მანამდე უცნობი დინების რუკა. ამ დინებას მან გოლფსტრიმი უწოდა.

### პირველი საფოსტო შტემპელი

ფოსტით გაგზავნილ წერილებზე თარიღის აღმნიშვნელი შტემპელის დასმის იდეა ეკუთვნის ინგლისის მთავარი საფოსტო კანტორის უფროსს ჰენრი ბიშოპს, რომელიც XVII საუკუნეში ცხოვრობდა. შემონახულია პირველი საფოსტო შტემპელდასმული წერილები, ისინი 1661 წელს არიან გაგზავნილი ინგლისის ქალაქ ჯერმიდან.

### ამერიკული ენა

ასეთი ენა არ არსებობს. შეერთებული შტატების მოქალაქეები ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ, და მაინც ზოგიერთი ინგლისელი ფილოლოგი სხვა აზრისაა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ევროპიდან და დედამიწის სხვა ადგილებიდან თავის დროზე მილიონობით ადამიანი გადასახლდა. მათს დიდ უმრავლესობას ინგლისელები წარმოადგენდნენ და ამიტომ იქ ინგლისური ენა გაბატონდა. მაგრამ სხვა ერების წარმომადგენლებმა ამერიკელთა ინგლისურ ენაში რალაც თავიანთიც შეიტანეს, რამაც დროთა ვითარებაში ფეხი მოიკიდა და დაკანონდა. ამის შედეგად შეიქმნა ინგლისური ენის თავისებური ვარიანტი. ოცდაათი წლის წინათ განსხვავებული სიტყვების რაოდენობა სულ სამასს აღწევდა. ეს ნორმალურად ითვლებოდა და არავინ ტეხდა განგაშს. ახლა კი განსხვავება გაცილებით მეტია. „გაფრთხილდით, — აცხადებენ ინგლისელი ფილოლოგები, — რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ინგლისურ და ამერიკულ ენებს შორის ისეთი განსხვავება იქნება, რომ ამერიკელი ბრიტანულ გაზეთს ულექსიკონოდ ვერ წაიკითხავს“.




### აბა სცადე!

კენიის ქალქ ნაირობში უამრავ ტურისტს იზიდავს ქვეწარმავალთა პარკი. პარკში, ვეებერთელა ნიანგების აუზთან, ასეთი განცხადებაა გაკრული:

„კატეგორიულად აკრძალულია აუზში რაიმეს ჩაგდება. ამ წესის დამრღვევს თვითონ მოუწევს წყალში ჩაგდებული საგნის ამოღება“. ბიჭი ხარ და სცადე ნიანგებით მოფუთფუთე აუზში ფეხის ჩაყოფა...




ზამთარში ფეხსაცმლის ყელში თოვლი რომ არ ჩაგეყაროს და ფეხი არ დაგისველდეს, ფეხსაცმელის ყელს შიგნიდან პოროლონი გამოაკერე. ფეხსაცმლის შეკვრის შემდეგ, პოროლონი მჭიდროდ შემოეტმასნება ფეხს და ერთ ფიფქსაც კი აღარ გაატარებს.



კედლის გაბურღვისას დრელის ჰორიზონტალურად დაკავება გაგიჭირდება. ლეიკოპლასტის საშუალებით დრელს თარაზო დააკარი და მის მდგომარეობას იოლად გაუწევ კონტროლს.

დროთა განმავლობაში კარმა დაბლა იცის დაწევა, იატაკს ეხახუნება და იოლად აღარ იხურება. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საკმარისია კარს თხელი ხერხი დაუტანო ქვეშ, მერე იმ ხერხის ტანს ზედ შეადგე, კარი კი მძლავრად მისწი-მოსწიო. ხერხის პირი კარს იმ ზედმეტ ფენას თანდათან ააცლის.

ერთმანეთზე შედგმულმა წიგნის თაროებმა დეფორმირება იცის და მინები ჩვენს ნებაზე აღარ იღებ-იხურება. თუ გინდა ეს უსიამოვნება თავიდან აიცილო, ადექი და თაროს შუაზე ველოსიპედის სპიცი ჩაუდგი — ის არც გამოჩნდება და თაროსაც კარგად შეამაგრებს.

ეს რჩევა-დარიგება ალბათ ყველას გამოადგება: იმასაც, ვინც ელექტროსაქმით არის გატაცებული, და იმასაც, ვინც შინ სარემონტო საქმეს მოჰკიდებს ხელს.

საქმე ისაა, რომ კედელში ჩამალული ელექტრომავთულის მოძებნა საკმაოდ რთულია (ხშირად კედლის გამოტეხაც კი ხდება საჭირო), ელექტროქსელში ჩართე ხმაურის რაიმე სუსტი წყარო (ვთქვათ, წვერსაპარსი), შემდეგ ტრანზისტორი საშუალო ტალღაზე დააყენე, კედელს მიადე დაააყოლ-ჩააყოლე. როცა ის ელექტრომავთულს მიუახლოვდება, ახრიალდება.









# სარჩევი


ლ. ი. ბრეჟნევი — ბავშვები ჩვენი მომავალია . . . . . . 1
ვინოგრადსკაია ს. — ჩეკუნოვის წერილი (მოთხრობა) . . 1
ფორჩხიძე შ. — საახალწლო (ლექსი) . . . . . . . . . 3 გვ.
კვაჭაძე ზ. — ისვენებენ, კაჟდებიან (წერილი) . . . . . 4
ქინქლაძე ზ. — ჩიბუხა (მოთხრობა) . . . . . 6
„დილა“ 50 წლისაა . . . . . . . 12
იოსებ ნონეშვილის დაბადების 60 წელი . 13
კამოვი ბ. — გაიდარის ჩანთა (მოთხრობა-ძიება, გაგრძელება) 14
ლეჟავაშელი ზ. — ვაშა, იხაროს ბუნებამ! . . . . . . . 18
ზნეობის ანბანი — გატაცება . . . . . . . . . 21
ფაილოძე ნ. — რაზმეულის წინამძღოლი (წერილი) . . . 28
აროსია ი. — უკვდავების ფურცლები (ლექსი) . . . . . . 24
მეგრელიშვილი ავთ. — ახალი ლექსები . . . . 24
„აისი“ . . . . . . . . . . . 25
პაპუაშვილი გ. — როგორ დავიქსაქსენით (ნაწყვეტი მოთხრობიდან) . . . . . . . . . . 27
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული — გარეკანის . . . . . 3



გარეკანის მხატვრობა თენგიზ სამსონაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26.XI-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/I-79 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90$^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 3176. ტირ. 150.600. უე 07635.

ფასი 20 კაპიკი


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

 © „პიონერი“, 1979 წ.



## კროსვორდი

თარაზულად. 6. დიდი რუსი ქიმიკოსი; 7. ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი; 8. კონცხი საბჭოთა კავშირის უკიდურეს ჩრდილოეთში; 11. სახელმწიფო აფრიკაში; 14. წელიწადის თვე; 15. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი; 16. ნათება, რომელიც წარმოიქმნება ლუმინოფორში დამუხტული ნაწილაკის გავლის დროს; 17. ელექტრონებისა და ნახვრეტების დაშლა მათში მუდმივი დენის გატარების დროს; 20. გამოჩენილი ქართველი პოეტი; 22. ქიმიური ელემენტი; 23. ქიმიური ელემენტი; 26. რუსი მათემატიკოსი და მექანიკოსი; 27. დიდი რუსი ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ფილოსოფოსი და პოეტი; 28. საბჭოთა ფიზიკოსი.

შვეულად: 1. ინგლისელი მწერლის სახელი და გვარი; 2. სამხრეთ ავსტრალიაში გავრცელებული ცხოველი; 3. შვედი ქიმიკოსი და მინერალოგი; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. მწვანილი; 9. ძვირფასი თვალი; 10. კონტინენტი; 12. იტალიელი ასტრონომი, ფიზიკოსი და მექანიკოსი; 13. საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი; 18. ნაწილაკი, რომელიც განსხვავდება ნუკლონისაგან ელექტრული მუხტის ნიშნით და მაგნიტური საწინააღმდეგო მიმართულებით; 19. ასტრონომიის ნაწილი, რომელიც იკვლევს ციური სხეულების ქიმიურ შედგენილობას; 21. ტკივილის დამაყუჩებელი ნივთიერება; 24. მდინარე საქართველოში; 25. ჰიპოთეზური ნაწილაკები, რომელთაგანაც შესაძლებელია შედგებოდეს მეცნიერებისათვის ცნობილი ყველა ელემენტარული ნაწილაკი.




ლია ბაგლიძე,

ქ. ბათუმის პ. კაკაბაძის სახელობის 26-ე საშუალო სკოლის VIII კლასი.


---

პასუხი № 12-ში დაბეჭდილ ცხრაკლიტულზე

### კროსვორდი

თარაზულად: 3. სირაქლემა; 5. ნორიო; 6. დანია; 8. ბრინჯი; 11. ხნეული; 13. ირისი; 14. ლაკმუსი; 16. პელაგია; 17. ასი; 20. პიონერი; 21. იმერეთი; 22. კურკა; 24. პარიზი; 25. გლინკა; 26. აბული; 28. შოლტი; 30. აბესალომი.

შვეულად: 1. კურსივი; 2. კაიმანი; 3. სიო; 4. აბი; 5. ნინუა; 7. ასული; 9. ნეკრასოვი; 10. მიწისძვრა; 12. ენგურჰესი; 15. ირემი; 16. პაიკი; 18. მელია; 19. თერგი; 22. კოლხეთი; 23. აპოლონი; 27. ბია; 29. ტეი.

### დაბადების დღე

ექვსი გოგონა მაგიდის ირგვლივ 120-ნაირად შეიძლება დასხდეს, მაგრამ ამჯერად ამის გაანგარიშება არ გვჭირდება.

განვიხილოთ ის ნათქვამი. თუ მან მართალი თქვა, მაშინ ხათუნა და დარო შემცდარან, მაგრამ ნანას ნათქვამი ეწინააღმდეგება ქეთინოსა და ნინოს ნათქვამს. ამიტომ თუ იამ მართალი თქვა, სამ გოგოს არასწორად გაუხსენებია, სად იჯდა. გამოდის, რომ ია იყო ერთ-ერთი, ვინც სინამდვილე ვერ გაიხსენა. ანალოგიური მსჯელობით მივდივართ დასკვნამდე, რომ მეორე შეცდომა ნანამ დაუშვა. ამდენად, სწორი თქვეს: ხათუნამ, ქეთინომ, დარომ და ნინომ. ასე რომ, გოგონები მაგიდას შემდეგი თანმიმდევრობით უსხდნენ: ქეთინო, ია, დარო, ხათუნა, ნანა, ნინო.

### შეჯიბრი

შეჯიბრში მონაწილეთა სახელები აღვნიშნოთ პირველი ასოებით: ზ. გ, თ, ს. მათი ნავებიც იქნება ზ, გ, თ, ს.

ზ, გ, თ, ს.

I გაცურვა გ.

II გაცურვა თ X

პასუხი № 12-ში დაბეჭდილ ცხრაკლიტულზე

III გაცურვა ს.

IV გაცურვა X

დავუშვათ, რომ X — „კალიბრია“, მაშინ X ალბათ არ იქნება არც გ, არც თ, და არც ს, რადგან ს-ეს „ნამცეცაა“. ამდენად X—ზ-ა. ახლა შეიძლება ცხრილი შევსოს: „ნამცეცა“ — სანდროს ნავი ყოფილა, „კალიბრი“ — ზურაბის, „მერცხალი“—თამაზის, „ტალღა“ კი — გიასი.

ИНДЕКС 76157



ეროვნული ბიბლიოთეკა